

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

მანანა იამანიძე

# ილია ჭავჭავაძე და ფრანგული ლიტერატურა



თბილისი  
„მეცნიერება“  
1988

ნაშრომი ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას. მასში გაანალიზებულია მწერლის დამოკიდებულება საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი, ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი. განსაკუთრებული ყვლევის ობიექტადაა ქცეული ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანები ფრანგული ლიტერატურიდან; განხილულია ილიას მიერ თარგმნილი ფრანგი ავტორების შემოქმედების ძირითადი მოტივები; ნაჩვენებია ის მთავარი მომენტები, რომლებიც უფრო რელიეფურად წარმოაჩენენ ილიას მიერ თარგმნილი ნაწარმოებების ისტორიულ კულტურულსა და შემეცნებით ღირებულებას. ილიასეული ქართული თარგმანების წყაროს დადგენის მიზნით მოძიებულია შესაბამისი ფრანგული ორიგინალები, მათი რუსული თარგმანები; ხაზგასმულია ილიას ინტერესები მის მიერ თარგმნილი ნაწარმოებებისა და მათი ავტორებისადმი, აგრეთვე, ამ თარგმანების კავშირი ი. ჭავჭავაძის ორიგინალურ შემოქმედებასთან.

რედაქტორი: ფილ. მეც. დოქტორი გურამ შარაძე

რეცენზენტები: ფილ. მეცნ. კანდ.  
ი. დობოროჭგინიძე

ფილ. მეცნ. კანდ.  
მ. კვატაია

## შესავალი

მხატვრული თარგმანი წარმოადგენს ხალხთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ფაქტორს, ცივილიზაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალას. იგი არის უცხო ქვეყნების ისტორიისა და კულტურის შესწავლის შეუდარებელი, შეუცვლელი საშუალება. ყოველგვარ ისტორიულ ვითარებაში საუკუნეების მანძილზე თანდათან ვითარდებოდა და იხვეწებოდა თარგმანის ხელოვნება — დაწყებული ანტიკური ხანიდან დღემდე იგი განუხრელად ასრულებს თავის მაღალ დანიშნულებას ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული და ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

თარგმანის მიზნისა და დანიშნულების შესახებ სხვადასხვა ეპოქაში ბევრი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა ისტორიკოსების, ფილოსოფოსების თუ მწერლების მიერ. განსაკუთრებულად ფასეულია მარქსიზმის კლასიკოსთა შეხედულებანი თარგმანის მნიშვნელობის შესახებ, რადგან ისინი ბრწყინვალედ ფლობდნენ უცხო ენებს, თარგმნიდნენ მათთვის საინტერესო ნაწარმოებებს და წერდნენ უცხო ენაზე თავიანთ მოსაზრებებსა თუ თეორიებს. მათი თვალსაზრისით, თარგმანი არას ხალხთა კულტურისა და ლიტერატურის გაცნობის გზით სამყაროს შემეცნების საუკეთესო პირობა. უცხო ენების შესწავლას და თარგმანს ისინი მიიჩნევდნენ იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად, ახალი სოციალისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთ საშუალებად.

კ. მარქსის, ფ. ენგელსისა და ვ. ი. ლენინის მოსაზრებებში თარგმანის შესახებ გატარებულია ის პრინციპები, რომლებსაც ისინი იყენებდნენ თავიანთ მთარგმნელობით მოღვაწეობაში: უცხო და მშობლიური ენის ზედმიწევნითი ცოდნა, იმ სოციალური ვითარების შესწავლა, რომელშიც შეიქმნა დედანი, ორიგინალის შინაარსისა და ფორმის ერთიანობის შენარჩუნება, სიტყვასიტყვითი თარგმანისა და ენის მოუქნელობის უგულვებელყოფა და სტილის სიმსუბუქე. კ. მარქსი ერთ-ერთი თარგმანის შესახებ აღნიშნავს: „... მას ამკარად აკლია ენის ის სიმსუბუქე და მოქნილობა, რომელიც საჭიროა სწორედ ამ წიგნის თარგმანისათვის... საერთოდ თარგმანი... ხშირად გვანცვიფრებს თავისი უძლური ფილისტერული და მშრალი ენით...“<sup>1</sup>

ვ. ი. ლენინის აზრით, სიტყვასიტყვით თარგმანი ზოგჯერ დიდ ზიანს აყენებს ორიგინალში განვითარებულ აზრს, იგი მომხრეა თავისუფალი თარგმანისა იმ შემთხვევაში, თუკი არ დაირღვევა ორიგინალის არსი: „ჩემი მომკვედინებელი ცოდვა ყოფილა „თავისუფალი თარგმანი“ ან, ალბათ, ის, რომ მე მარქსს „ჩემი სიტყვებით“ გადმოვცემ, ... აბა, წარმოიდგინეთ! მარქსს „ჩემი სიტყვებით“ გადმოვცემ! „ნამდვილი“ მარქსიზმი ისაა, რომ „კაპიტალი“ ზეპირად დაისწავლო და უთავბოლოდ მოიყვანო იქიდან ციტატები...“<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, მართალია, მომხრეა თავისუფალი თარგმანისა, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს დედნის სტილისა და ენობრივი გამოთქმების ზუსტ გადმოცემას, ავტორის იდეოლოგიის გათვალისწინებას, მისი აზრებისა და შეხედულებებს შესწავლას.

- მარქსიზმის ფუძემდებელთა შეხედულებანი, გამონათქვამები თარგმანის შესახებ, მეტად აქტუალურია და მუდამ სახელმძღვანელო თარგმანის პროცესების სწორად შესწავლისა და გაგებისათვის. მათ, როგორც მეცნიერულ საუნჯეს, უნდა ემყარებოდეს ყოველი მთარგმნელი.

- თარგმანის რეალისტური თეორიის შესახებ მნიშვნელოვანი მოსაზრებანი განავითარეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა — ბ. ბელინსკიმ, ნ. ჩერნიშევსკიმ და ნ. დობროლიუბოვმა, რომელთა აზრით, მთარგმნელმა ანგარიში უნდა გაუწიოს საზოგადოების მოთხოვნილებას, მის ხასიათს, განათლებას და იდეურ-მხატვრული ღირსებების მიხედვით სათანადოდ უნდა შეარჩიოს სათარგმნი ნაწარმოები; ამასთან, ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს როგორც მშობლიური, ისე უცხო ენაც. იგი მოვალეა გაეცნოს სათარგმნი ნაწარმოების ეპოქის ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებს.

თანამედროვე მთარგმნელი დღეს, როცა სოციალისტური ერები ქმნიან ფორმით ეროვნულ, შინაარსით სოციალისტურ კულტურას და აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, ითვალისწინებს თარგმანის ისტორიულ დამსახურებას და დღევანდელ მნიშვნელობას, უყოყმანოდ ირჩევს თარგმანის რეალისტურ მეთოდს, რადგან „დედანს წარმოადგენს ცოცხალი სინამდვილის ანალოგიურ მხატვრულ სინამდვილედ და ახდენს მის მხატვრულ ასახვას ახალ ენობრივ ფორმაში, რეალისტურ თარგმანში ასახულია დედნის არსებითი, ტიპიური და დამახასიათებელი მხარეები, ტიპიური გარემოცვა, ეროვნული სპეციფიკა, ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, მთელისა და ნაწილის ურთიერთიმართება“<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., გამოც. IV, ტ. III, გვ. 728.

<sup>3</sup> გ. გაჩეჩილაძე, მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966-



მხატვრულ თარგმანს ქართულ ლიტერატურაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს, „რადგან ჩვენი ქვეყანას იზოლირებულად არ უცხოვრია არასდროს, მას ასეთი თუ ისეთი ურთიერთობა ჰქონდა სხვა, მანბლებელ თუ შორეულ ქვეყნებთან, მისი კულტურა და ლიტერატურა იმყოფებოდა მოწინავე ერთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთმომკვედრების სფეროში“<sup>4</sup>.

როგორც სასულიერო, ისე საერო თარგმანების მიხედვით პოლიტიკურ-კულტურულ თუ ლიტერატურულ ურთიერთობის ასპარეზი ძველთაგან იყო ბიზანტია, არაბეთი, ირანი, საქართველო, სომხეთი, სირია, პალესტინა, ახალ საუკუნეებში — რუსეთი და დასავლეთ ევროპა.

ქართული ლიტერატურის სინამდვილეში მხატვრული თარგმანი განვითარების ახალ დონეზე აიყვანა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც აღზრდილი იყო მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებზე და შთაგონებული რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვის მოწინავე ესთეტიკური შეხედულებებით.

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე თარგმანის როლს მშობლიური ლიტერატურის განვითარება-გამდიდრებაში, ვრწმუნდებით მისი წერილის — „ორიოდე სიტყვა თავად რევან შალვას-ძის ურისთავის მიერ კახლოვის „შეშლილის“ თარგმანზედა“ მიხედვით, რომელიც 1861 წელს უფროსად „ცისკარის“ № 4-ში გამოქვეყნდა. წერილში სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გვერდით მწვავედაა დასმული თარგმანის პრობლემა, რომელიც ილიას სათანადოდ აქვს გადაწყვეტილი. მისი აზრით, თარგმანი უნდა ემსახურებოდეს მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმეს. ამდენად, უდიდესი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა შეირჩეს სათარგმნი ნაწარმოები. ამ მხრივ ილია უპირატესობას აძლევს იმ ევროპელ მწერლებს, რომლებიც გამოირჩევიან მეტრძოლი სულით, სიახლისაყენ, წარმატებისაკენ მისწრაფებით. მისი აზრით, დრომოკმული და უვარგისი ლიტერატურიდან უნდა განიდევნოს, ხოლო ლიტერატურის შენამატია ის, რაც ხალხის სულიერ მოთხოვნილებას ემსახურება და მის ინტერესებს გამოხატავს. ამასთან, ილია გარკვევით მიუთითებს, რომ ქართული ლიტერატურისათვის დადგა რეალიზმის ეპოქა და სანტიმენტალური მწერლობა მას არავითარ სარგებლობას არ მოუტანს. ქართველმა მკითხველმა უნდა გაიცნოს და შეისწავლოს იმ შემოკმედთა ნაწარმოებები, რომელთა სახელი მარად უკვდავი დარჩება მსოფლიო ლიტერატურაში: „რა საჭიროა ახლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ჩვენი ხალხისათ-

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 9.

ვის სენტიმენტალური სულის მწერლობის გაცნობა?.. ან იქნება ფიქრობენ, ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ ღრთა სიცრუე და ცდომილება?! თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიან კაზლოვსა“. სათარგმნი ნაწარმოების შერჩევის შემდეგ მთელი ყურადღება გადადის თარგმანის ხარისხზე. ილიას აზრით, თარგმანი თავისი იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით უნდა პასუხობდეს მშობლიური ლიტერატურის წინაშე დასმულ ამოცანებს და ხელს უწყობდეს მისი განვითარების პროცესს.

საინტერესოა ი. ჭავჭავაძის აზრი მთარგმნელის, როგორც შემოქმედის მოვალეობის შესახებ: „მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება, უპირველესად მან უნდა იცოდეს ორი ენა... მეორეც, უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება... ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა ცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვისი აზრი ქართულ ენაზე ისე, რომ ნამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს რა იოტის ოდენა განსხვავება“<sup>5</sup>.

ილიას მოჰყავს მრავალი უარყოფითი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, თუ რა მოსდევს ენისა და აზრის შეუსაბამობას. დედნის ფორმისა და შინაარსის ერთიანობას და ორიგინალის საერთო სტილის შენარჩუნებას თარგმანში მკვლევარი გ. ნადირაძე სამართლიანად უწოდებს რეალისტურ მეთოდს<sup>6</sup>, რომლის გამოყენებას ილია მოითხოვდა ყოველი მთარგმნელისაგან.

ილია მიბაძვასა და გადმოკეთებას უფრო რთულ პროცესად გვისახავს, ვიდრე თარგმნას და სრულიად სამართლიანად მიიჩნევს მას დიდ და საპატიო საქმედ: „გადმომკეთებელს უფრო დიდი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა. გადმომკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს და ამას გარდა თვითმოქმედი ძალაც შემოქმედებისა“<sup>7</sup>. და თუ ნაწარმოები „ქარგად გადმოკეთებულია ჩვენს ხასიათსა და ზნე-ჩვეულებაზედ, ამ შემთხვევაში მიმბაძველის შრომა ფუჭად არ ჩაივლის — „ნატვრას ჩვენის საკეთარისას ცოტად თუ ბევრად დააკმაყოფილებს“.

ილია ჭავჭავაძეს, როგორც მთარგმნელს, დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე. მან მშობლიური ლიტერატურა გაამდიდრა როგორც რუსული (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი...), ისე დასავლეთევროპული ლიტერატურის კლასიკოსების (უ. შექსპირი, ჯ. ბაირო-

5 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებ., 1953, ტ. III, გვ. 12.

6 გ. ნადირაძე, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი მხატვრულ თარგმანზე, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1951, № 46.

7 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრ., ტ. III, 1953, გვ. 125.

ნი, ფრ. შილერი, ვალტერ სკოტი, ჰ. ჰაინე, ა. შენიე, ტ. მური...) პირველხარისხოვან ნაწარმოებთა მაღალმხატვრული ქართული თარგმანებით: „თავის მთარგმნელობით პრაქტიკაში მან, პირველმა განახორციელა რეალისტური თარგმანის ძირითადი პრინციპები: ფორმისა და შინაარსის მთლიანობა, თხზულების ყველა მხატვრული კომპონენტის მაქსიმალური შენარჩუნება თარგმანში“<sup>8</sup>

ამჯერად ჩვენ განვიხილავთ ილია ჭავჭავაძეს, როგორც მთარგმნელს ფრანგული ლიტერატურიდან შესრულებული თარგმანების მიხედვით.

---

<sup>8</sup> ქ. ბურჯანაძე, ი. ჭავჭავაძე და მხატვრული თარგმანი, ი. ჭავჭავაძის სათუბილო კრებული, 1977, გვ. 120.

ილია ჭავჭავაძე და ფრანგული სინამდვილე

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა დასაწყისიდანვე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენებით აღინიშნება — რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის წარმოშობამ და განვითარებამ, ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლუბოვის მეთაურობით, მდარე და ერთფეროვან ცხოვრებას ახალი, მებრძოლი სახე მისცა. ახალგაზრდა ილია, რომელიც ევროპისა და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღიზარდა, გაბედულად ჩაება ახალ ცხოვრებაში, მან მიზნად დაისახა მთელი ლიცეუმის შეალიოს თავისი ქვეყნის უკეთესი მოჰავლისათვის ბრძოლას.

რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა თანამედროვე და ევროპული განათლებით აღჭურვილი ილია ქართველი ზალხის ქეშმარიტ მოჰავალს ეროვნულ და სოციალურ თავისუფლებაში, მის გონებრივ და სულიერ განვითარებაში ზედავდა. ამ მხრივ მას ერთგვარ საშუალებას გაუწევდა ევროპული ცივილიზაცია და კულტურა, რომელსაც თავისი ქვეყნის კლიმატს შეუხამებდა და ეროვნულის გვერდით მტკიცედ დაამკვიდრებდა: „ილიას ევროპეიზმის უპირველეს და მთავარ ნიშნად, უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ ასპექტში გაშუქებული საზოგადოებრივი სატყივრების ასახვა“<sup>1</sup> მიაჩნდა. ახალგაზრდული ენერგიით და მომავლის იმედით სავსე ჭაბუკი ილია გრძნობდა, თუ რაოდენ დიდ წინააღმდეგობას წააწყდებოდა თავისი მოწინავე იდეების განხორციელებისათვის, ერთი მხრივ, რუსეთის ცარიზმითა და, მეორე მხრივ, ბატონყმობით დაბეჩავებულ საქართველოში. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი დაერწმუნებინა თავისი თანამემამულენი ახალი, უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლის აუცილებლობაში.

ქართული ყოფისათვის ევროპული იერის მიცემა, ევროპული ცხოვრების საუკეთესო ფორმების შემოღებისა და დამკვიდრების მცდელობა ილიას შემოქმედების ყველა სფეროში შეინიშნება — საზოგადოებ-

1 დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977, გვ. 21.

რივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, მხატვრულ ლიტერატურასა თუ პუბლიცისტიკაში: „ილიას არ უნდოდა, რომ ქართველი მწერლები სპარსულ მწერლობას დაწაფებოდნენ. პირიქით, მას სურდა ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთის გაუქნისაგან გაენთავისუფლებინა და გაევერობებინა. ამას თვითონაც უწყობდა ხელს. იგი არა მარტო ლიტერატურის, არამედ საზოგადოდ, ცხოვრების ევროპეიზაციის მომხრეც იყო... თავად კი, მიუხედავად ევროპული განათლებისა, სულთ და გულთ მუდამ ქართველად დარჩა“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ევროპის ქვეყნებიდან საფრანგეთსა და ფრანგულ ლიტერატურას თავის შრავალმძნრე შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო. საკმარისია გადავხედოთ მის პუბლიცისტურ წერილებს: „ხიზნების საქმე“, „ქვათა ლაღადი“, „ომის საფრთხის წინ“, წერილები უცხოეთზე“ და სხვ., რომ თვალწინ წარმოგვადგეს XIX საუკუნის II ნახევრის საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სრული სურათი, ფრანგი ხალხის მძიმე სვედრი — გარეშე თუ შინაური მტრისაგან მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტანჯვა. ის დიდი მხარდაჭერა, გულისხმიერება და სიმპათია, რასაც ილია განიცდიდა ამ ქვეყნის მიწართ, გამოსკვივის საფრანგეთისადმი მიძღვნილ მისი ყოველი სტრიქონიდან. ფრანგი ხალხისადმი თანაგრძნობა და სიყვარული ჩანს ილიას მიერ თითქოსდა საგანგებოდ შერჩეულ სიტყვებში, როცა იგი მოუთხრობს ქართველ მკითხველს გერმანიის მიერ 1870-იან წლებში საფრანგეთის ოკუპაციის ამბავს: „ჯერ ეს ზარალი ნივთიერი და მერე თავმოწონებული სითამამე საფრანგეთის ერისა, შიგინებული, დამარცხებული და დამცირებული ქვეყნის წინაშე სიამაყე ამაყისა საფრანგეთისა, — ორივე ერთად წყლულსავით ჩასდგომია გულში საფრანგეთს და მოსვენებას არ აძლევს. არ არის არც ერთი კაცი საფრანგეთში. რომ არ ნატრულობდეს ხელახლად გამკლავებას, ხელახლად შეჭიდებას“<sup>3</sup>.

ილია ჭავჭავაძე საფრანგეთისადმი მიძღვნილ მრავალ მიმოხილვაში იძლევა ქვეყნის საგარეო და საშინაო ვითარების კონკრეტულ მაგალითებზე აგებულ ღრმა ანალიზს. საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა განსაკუთრებით საინტერესო იყო მწერლისათვის. ქვეყანა, რომელიც შედიოდა ევროპის „ომთაჯრეს სახელმწიფოთა ოთხეულში“, „რომ იგ ოთხი სახელმწიფოა მესვეური კაცობრიობის ცივილიზაციისა“. თუნდაც ამ კუთხით მისი წარდგენა ქართველი მკითხველისათვის იქნებოდა მეტად სასარგებლო და სავალალო.

2 ბ რ ტ უ რ ლ ა ი ს ტ ი, საქართველოს გული, თბ., 1963, გვ. 44.

3 ი ლ ი ა ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. IX, 1957, გვ. 75—76.

ილია დიდი მონდომებით ცდილობს რაც შეიძლება სადად, ზოგან ჩვეულებრივ იუპორითაც აღწეროს არაერთი ქართველისათვის მხოლოდ სიტყვად გაგონილი „ფრანსიის“ მრავალპირიანხული ცხოვრების რეალური სურათი; XIX საუკუნის II ნახევრის საფრანგეთის მძაფრ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაზე ასე დეტალური მსჯელობა ხალხის ვათვითცნობიერებასთან ერთად მათ მიერ მშობლიური ქვეყნის რეალური სურათის აღქმასაც გულისხმობს — უცხო ქვეყნების გამოცდილებამ შესაძლებელია ბიძგი მისცეს ქართველი ხალხის ამოქმედებას თავიანთ სასიკეთოდ, ილიამ იცის, რომ დაპყრობილი საფრანგეთის მწარე ხვედრი უცხო ხილი არ იყო ქართველისათვის და დიდ თანაგრძნობასაც გამოიწვევდა მასში: „რაც საფრანგეთი დამარცხდა პრუსიისაგან არ არის ერთი ფრანსიელიც, რომ სავაგიეროს გადახდას, ჯავრის ამოყრას არა ჰფიქრობდეს. რომ საქმე ამაზედ მიდგეს, დიდი და პატარა თოფ-ქვეშ დადგება საფრანგეთში, ყოველისფერს გააჩეტებს, არ დაპზოვავს არც ქონებას, არც სიცოცხლეს, ოღონდ ყი დიდის ხნის ჯაფრი როგორმე ამოიყაროს, დიდის ხნის წყალული როგორმე გაიმთელოს. მას აქეთ ეს თექვსმეტი წელიწადია და საფრანგეთს ერთი დღეც ისე არ გაუტარებია, რომ ჯაფრის ამოყრისათვის არ ეზრუნოს და შურისძიების დღისათვის მზადებაში არა ყოფილიყოს“<sup>4</sup>. ილია ზაზგაშვითადმოგვცემს ფრანგი ხალხის მისწრაფებას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. მას აქვე მოჰყავს ფრანგი პოეტისა და პოლიტიკური მოღვაწის პოლ დერულადის (1846—1914) პატრიოტული მოწოდება თავისი თანამებამულეებისადმი — „ხმალი ქარქაშიდამ ამოიღოს და თავისი დამარცხებული სახელი კვლავ ძლევით შეჰმოსოს“.

„წერილები საფრანგეთზე“ გვიჩვენებს, თუ რამდენად ვათვითცნობიერებულა ილია საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებში. როგორც ჩანს, ახალ ინფორმაციებს იგი უნდა იღებდეს ფრანგული წყაროებიდანაც: „ამას წინათ საფრანგეთში დაიბეჭდა ერთი წიგნი სახელად „Avant la bataille“ („ომის წინათ“)<sup>5</sup>, რომელშიაც აღწერილია ფრანგი ხალხის შეუპოვრობა და მათი მზადება გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ილია მოკლედ მიმოიხილავს ნაწარმოების შინაარსს და მკითხველის ყურადღებას ამახვილებს მის ერთ ეპიზოდზე: „საფრანგეთში ერთი საზოგადოებაა შემდგარი, რომელსაც ჰქვიან: „კავშირი მამულისშვილთა“. ეს ზემოხსენებული წიგნი ქებით იხსენიებს ამ საზოგადოებას და ეუბნება დიდი სამსახური გაუწიეთ საფრანგეთსაო, მით, რომ დღეს ნაწილს საფრანგეთის ერისას გაუღვიძეთ ომის სურვილი და აუფრთოვანეთ მიძინებული სასოებაო“... როგორც ილია ვუბ-

<sup>4</sup> ი. ჯავახიანი, თბულებანი, 1927, ტ. X, გვ. 257.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 260.

ყობინებს, ამ წიგნს დიდი გამოხმსურება ჰქონია: „გერმანიამ ყურები აცქვიტა: ამისთანა რიხიანი და ფხიანი ლაპარაკი დიდი ხანია არ გაგვიგონია საფრანგეთისგანაო და დღეს რა ამბავიაო! საკვირველიც არ არის: ჯერ სახელი გაუსინჯეთ ამ წიგნსა და მერე შიგ ჩაიხედეთ და მაშინ დარწმუნდებით, რომ გერმანიას საბუთი ჰქონდა შეფუტხუნებულყო“.

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული მკვერმეტყველებით აღწერს ფრანგი ხალხის შეუირიგებლობას არსებული უსამართლობისადმი. ილია ამ გზით ცდილობს ქართველებშიც გამოიწვიოს იგივე რეაქცია — „გაუღვიძოს ომის სურვილი და აუფრთოვანოს მიძინებული სასოება“. ილიას შეხედულებით, ქართველებს თითქოს დაეკარგათ ის იდეალი, რომელიც საერთო მისწრაფებებსა და ინტერესებს ბადებს, მათი ინერტულობა, ქვეყნის მომავალს საფრთხეს უქადის. მართალია, ამის მიზეზი ბევრეულმართობაცაა, ისტორიულად რომ თან ჯდევს საქართველოს: „ამგვარის გაქირვებული დრო დადგება ხოლმე ერისათვის ხანგრძლივის და დიდისხნის მღელვარე ცხოვრების შემდეგ. იშვიათად მიჩვენებთ ერს, რომ როდისმე მაინც ამ გვარადვე არ გასქირვებოდეს, როგორც ჩვენ ქვეყანას და ერს უქირდა ორმოციან და ორმოცდაათიან წლების განმავლობის დროს. (მეისტორიე მიშლესი არ იყოს, რომელიც საფრანგეთის დიდის რევოლუციის შემდეგ მდგომარეობაზე ლაპარაკობს), მაშინ რომ ქართველისათვის გეკითხათ, რას ფიქრობთ. რა გსურთო, სიცოცხლეზედ ფიქრობთ, სიცოცხლე გვინდაო, გიპასუხებდნენ. — მაგის გარდა კიდევაო? — კიდევ სიცოცხლე გვინდაო...“ ამ თანაგრძნობაში ერთგვარი უკმაყოფილო ტონიც შეიმჩნევა „ერთის სიტყვით ხალხს და ერს მხოლოდ ხორციელის ცხოვრების ნატვრა ჰქონდა, მხოლოდ იმაზედ ჰფიქრობდა, (რომ უნდა გაეფრთხილდე, თორემ სულს ხომ აღარა ვჩივი, ხორცილაც არ დავიღუპოვო) აბა ამ-გვარს დროს სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულობას (ერისათვის), საქვეყნო საქმისათვის“<sup>6</sup>. ალბათ, ამიტომაც იყო ფრანგი ხალხის შემართებაზე, მათ ბრძოლისუნარიანობაზე ილია ასეთი აღზნებით რომ ლაპარაკობდა.

ი. ჭავჭავაძე უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა სხვა ქვეყნის იმ პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური სურათის აღწერას, რომელიც ცოტად თუ ბევრად ემსგავსებოდა თავისი ქვეყნის ვითარებას. თავის წერილებში სიტყვებით „ჩვენში კი...“ მას მოჰყავდა შესაბამისი მაგალითი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებიდან. ეს შედარებები ავტორს ეხმარებოდა, ერთი მხრივ, ქვეყნის ღირსება-ნაკლოვანების ნათელყოფაში, მეორე მხრივ, თავისი ხალხის თვალსაწიერის გაფართოებაში, ქვეყნის განვითარების ცხებისა და მიმართულების გარკვევაში.

ევროპის რომელიმე ქვეყანაში გატარებულ ზოგიერთ პოლიტიკურ თუ სოციალურ სიახლეს ილია სიამოვნებით აცნობს ქართველ მკითხველ საზოგადოებას და თავის მხრივ გამოთქვამს სურვილს საქართველოში მისი განხორციელების შესახებ. მაგალითად, თვითმმართველობის დაწესება საქართველოში ილიას საუკეთესო პირობად ესახებოდა. მისი პოზიტიური დამოკიდებულება თვითმმართველობის მიმართ აშკარად ჩანს პუბლიცისტურ წერილში „ცხოვრება და კანონი“, სადაც დეტალურადაა წარმოდგენილი მმართველობისა და თვითმმართველობის ილიასეული განმარტება. საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგულირების ერთ-ერთ საშუალებად ილიას მმართველობის ზელსაყრელი ფორმის შემოღება მიაჩნია. მას არაერთხელ შეუდგენია იდეალური მოდელი „მთავრობის წყობილებისა“, რომელიც ყველაზე მეტად არგებდა ხალხს. ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მოიხმობს ფრანგი ეკონომისტის ლეონს დე ლავერნეს (1809—1880 წწ.) მოსაზრებას მმართველობის შესახებ საფრანგეთში<sup>7</sup>.

თვითმმართველობის სიკეთეში ღრმად დარწმუნებულ ილიას სურს მკითხველიც თავის თანამოაზრედ გაეხადოს. იგი მოიხმობს ცოცხალ თაქტს პრუსიისაგან ელზასსა და ლოტარინგიაში ბისმარკის მიერ თვითმმართველობის დაწესების შესახებ: „ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის გაძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივი საზოგადოების კრებანი უნდა დაიწყეთო ადგილობრივის მმართველობისთვისო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნის საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოწილნი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს, და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გეკენებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი“<sup>8</sup>. ილია გაკვირვებას ვერ ფარავს: „იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკი, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცა და მაინც არ არის, ისე იღწვოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნის შესახებ, რომელთაც გერმანიის შორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ“<sup>9</sup>.

საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების პარალელურად ილია გულსტკივილით აღწერს თავისი ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობას: „ჩვენში სოფლის მმართველობაზედ დიდი ჩივილი და დრტყინვა.

7 ი. ჯავახიძე, თხზულებანი, ტ. VII, 1956, გვ. 259.

8 ი. ჯავახიძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 38—39.

9 იქვე, 1928, გვ. 38—39.



სმის... იგი (ჩვენი წესდება) მთლად გადმოღებულია რუსეთიდან. რაკეტორველია, თვითმმართველობას იმისთანა ზოგადი თვისებანიცა აქვს, რომელნიც ყველაშათვის ერთნაირად სახეიროა, მაშასადამე ყველგან ამოსადგია, და იმისთანანიც, რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნებს და სხვადასხვაობას უნდა შეეფერებოდეს. ჩამოაკილეთ სოფლის მმართველობას თვითმმართველობის სიკეთენი, ზედ დაუმატეთ, რომ ის მმართველობა სულ სხვა ნიადაგიდამ არის ამოღებული და გადორგული, მაშინ ცხადად დაინახავთ, რატომ ჩვენს სოფელს არ მოუხდა იტრეთ წოდებული თვითმმართველობა. ამ სახით შეორე, უდიდესი მიზეზი ჩვენებურის მმართველობის უეარგისობისა ის გახლავთ, რომ იგი არ არის აღმოცენილი და დამყარებული ჩვენის სოფლის შინაურს მოწყობილობაზედ, მის ეკონომიურს, ოჯახობრივს და საზოგადოებრივს ვითარებაზედ“<sup>10</sup>.

პუბლიცისტურ წერილებში „ხიზნების საქმე“ დაწვრილებითაა საუბარი კერძო საკუთრების შესახებ ევროპის ქვეყნებში. ილია ძირფხვავიანად გასცნობია ამ საკითხზე არსებულ ლიტერატურას, როგორც რუსულ, ასევე უცხო ენაზე „ერთის მხრით უქაშულობა მიწის მოქმედებასა და მეორეს მხრით უხელობა მიწის მეპატრონეებისა იყო დასაბაძი თვითონ ბატონყმობისა და იმ გვარ მიწათმფლობელობის, რომელთაც ფერპერობას, ხიზნობას და სხვას ამ გვარს მიწის ქირით დაქვრას ეძახიან. ამ წინთხვევაში სხვადასხვა ქვეყნებში საოცარი ერთგვარობა და მსგავსება არის“<sup>11</sup>.

ილია საქმის ცოდნით განიხილავს, თუ რამდენად გაძლიერდა კერძო საკუთრება ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში, მათ შორის საფრანგეთში: „საფრანგეთში დიდ რევოლუციამდე — ერთი მეხუთედი მთელი სამეურნეო მიწებისა დაიჩემა ხაზინამ, ერთი მეხუთედი ეკლესიამ, ერთი მეხუთედი ღიდკაცობამ, დანარჩენი ორი მეხუთედი შუაწოდების (ბურჟუაზიის) და გლეხობის წილად დარჩა. რევოლუციამ შეცვალა ეს რაოდენობა წილებისა, მაგრამ ამ შეცვლაში მარტო ბურჟუაზიამ მოიგო, გლეხობა კი, მეცნიერის ლეონს-ლავერნეს სიტყვით, ერთის მეხუთედამდე მეექვსედზედ და მეშვიდედზედ ჩამოხტა“<sup>12</sup>.

ი. ჰავკვაძე არ ფარავს ევროპის ქვეყნების ესოდენ ვრცელი მიმოხილვის მიზანს: „ჩვენი წერილები ხიზნების თაობაზედ სავსე არ იქნებოდა, რომ არ მოვიყვანოთ ცნობანი მასზედ თუ, — სულ რამდენი კაშლი ხიზანია საქართველოში, რამდენი მიწა უქირავს და რამდენი გადასახადი მოსდით დღიურ მიწაზედ...“<sup>13</sup>.

10 ი. ჰავკვაძე, თხზულებანი ტ. VIII 1928, გვ. 48—49.

11 ი. ჰავკვაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 137.

12 იქვე, გვ. 138.

13 იქვე, გვ. 197.

ი. ჭავჭავაძის ინტერესი მიმართული იყო იქითკენ, როგორ გაეუმჯობესებინა ქართველ ხალხს თავისი ეკონომიკური პირობები, ამაღლებინა ცხოვრების კულტურა, გასცნობოდა ევროპულ ცივილიზაციას, აქტიურად ჩართულიყო ახალი ცხოვრების დინებაში. „საქართველოს მოამბესა და „ივერიამი“ საინტერესოდ, მხატვრული ენით იხილებოდა მსოფლიოს თითქმის ყველა მოწინავე ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მეტად აქტუალური პრობლემები. ამ მხრივ ვალში არ დარჩა მწერლის მხატვრული შემოქმედებაც, სადაც არანაკლები სიცხადითაა არეკლილი მის პუბლიცისტურ წერილებში გამოთქმული მოსაზრებანი.

პარიზის კომუნის — ამ დიდი ისტორიული მოვლენის ასახვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ერთხელ კიდევ გარწმუნებს მის დიდ მხარდაჭერასა და ღრმა პატივისცემის გრძნობაში, რომელიც გამოწვეული იყო ფრანგი ხალხის მტკიცე ნებისყოფით, გმირული სულით, მაღალი პატრიოტიზმით, სიახლეებისადმი მისწრაფებით. ლექსში „1871 წლის 23 მაისი“ აღბეჭდილია პარიზის კომუნის დამარცხებით გამოწვეული ტკივილი, რადგან ამ ბრძოლას ილია არა მარტო ფრანგი ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის ცხოვრების განახლების მათწყებლად მიიჩნევდა. ამიტომ ფრანგ კომუნართა დამარცხება მან „განახლების ძალთა“ შეჩერებად აღიქვა.

ინტერნაციონალური სულისკვეთება, ზოგადსაქაობრიო რევოლუციურ-დემოკრატიული იდეალები, დამარცხებით გამოწვეული ტკივილი და უკეთესი მომავლისადმი სწრაფვა — აი, რა გამოსჭვივის ი. ჭავჭავაძის ლექსში „კომუნის დაცემის დღე“. თავის დამოკიდებულებას პარიზის კომუნისადმი ილია ჭავჭავაძე დიდი მღელვარებით აღბეჭდავს. ლექსში „1871 წლის 23 მაისი“ ფრჩხილებში იძლევა განმარტებას ქვესათაურის სახით („კომუნის დაცემის დღე“). ეს ლექსიც, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, დაიბეჭდა „პარიზის“ სახელწოდებით. ნამდვილი სათაურით კი იგი მხოლოდ 1925 წელს გამოქვეყნდა<sup>14</sup>. როგორც ქართველი მკვლევრები აღნიშნავენ, პარიზის კომუნისადმი ილიას მხურვალე დამოკიდებულება მარტო მისი ლექსით „1871 წლის 23 მაისი“ არ შემოიფარგლება. პ. ინგოროყვას აზრით, „საკმაოა გადავიკითხოთ ილიას ლექსი „1871 წლის 23 მაისი“ („კომუნის დაცემის დღე“) და „აჩრდილის“ მე-13-14-ე თავები, რათა ცხადი შეიქნეს, რომ ილია „აჩრდილის“ დასახელებული თავების წერის დროს შთაგონებულია პარიზის კომუნის დიდი მაგალითით“<sup>15</sup>. აკაკი სურგულაძე გვაწვდის

<sup>14</sup> მიხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1968, გვ. 7—10.

<sup>15</sup> პ. ინგოროყვა, თხზულებანი, 1963, გვ. 420.

ასევე საინტერესო აზრს ამ საკითხზე: „1871 წელს ილიამ გადაამუშავა ადრე დაწერილი დრამატული პოემა „ქართლის დედა“, რომელშიც რიგი შესწორებები შეიტანა. პოემას ილიამ დაუმატა თავისუფლების პიშინი... თავისუფლების ეს სახოტბო სტრიქონები უეკველია, პარიზის კომუნის უშუალო შთაბეჭდილებებით არის დაწერილი“<sup>16</sup>. ინტერეს-მოკლებული არაა შევიტყვოთ მიხ. ზანდუკელს მოსაზრება ამის შესახებ: „პარიზის კომუნის იდეების გამოძახილი მარტო ამ ლექსითა და პოემა „აჩრდილით“ არ ამოიწურება. ვფიქრობთ ი. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებშიც“ აშკარად შეიმჩნევა პარიზის კომუნის კვალი“<sup>17</sup>.

მკვლევარი აკ. კენჭოშვილი კი დოკუმენტურად გვისაბუთებს: „რომ პოეტმა მიძიმედ განიცადა კომუნის დაცემა, რაც ჯერ ცოლისადმი გაგზავნილი წერილის ფრაზაში გამოვლინდა „მეწყინა ძალიან ფრანკულუბების დამარცხება, მაგრამ რა გაეწყობა“. „კომუნის დაცემის დღეში“ თავის ამ განცდას ილიამ მაღალი პოეტური განათება მისცა“<sup>18</sup>.

ილია ჭავჭავაძემ ღრმად განიცადა და გაიაზრა პარიზის კოპუნა, მისი მიზანდასახულებანი, და როგორც პუბლიცისტური წერილებიდან თუ მხატვრული ნაწარმოებებიდან შევიტყვოთ, მაღალი შეფასება მისცა გვირ ფრანგ ხალხს, რომელიც ასე გაბედულად, მედგრად და თავდადებით იბრძოდა ძმობის, ერთობისა და თავისუფლებისათვის.

ილიასათვის პარიზის კომუნა არ ნიშნავდა მხოლოდ ჟრანგი ხალხის ლტოლვას ახალი ცხოვრებისაკენ: ეს იყო თვითმპყრობელობისაგან დამონებული სხვადასხვა ერის თავისუფლებისათვის ბრძოლის საწყისი და მისი დამარცხება ერთგვარად მომავლისადმი იმედის ჩახშობას გულისხმობდა. ამდენად, ეკვგარეშეა, რომ მწერლისათვის რომელიც მთელი არსებით განიცდიდა თავისი ხალხის წაჩაღულს, აწყყოსა და მომავალს, ეს სამწუხარო ფაქტი განსაკუთრებით გულსმოსახვედრი იქნებოდა.

თავის პუბლიცისტურ წერილებში ილია ჭავჭავაძე ხშირად მოიხსენიებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ფრანგ წარმომადგენლებს, დაწერილებით აცნობს ქართველ მკითხველს მათ საქმიანობას და მოსაზრებებს, ამასთან, ნათლად გვისახავს თავის პოზიციას ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. ასეთი ვრცელი მიმოხილვა ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია მეცნიერული პოლემიკით, რომელიც ილიას პუბლიცისტური წერილების მთავარ ძარღვს წარმოადგენს. ფრანგ მეცნიერთა შრომების მოშველიებით იგი ცდილობს დაარწმუნოს მოკამათე თავისი განმარტების ან უბრალოდ, პასუხის ჭეშმარიტებაში. ამ მიზნით წე-

16 აკ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, ეროვნულ-განმათავისუფლებლო მოძრაობის დიდი მებრძოლე, ი. ჭავჭავაძის საიუბილეო კრებულე, 1977, გვ. 215—216.

17 შ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, 1968, გვ. 10.

18 აკ. კ ე ნ ც ო შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე, 1962, გვ. 56.

ჩილში „ქვათა ღაღადი“ ი. ჭავჭავაძეს მოხმობილი აქვს ფრანგი მოგზაურის ეან შარდენის, ცნობილი ორიენტალისტების ეან სენ მარტენის, დიუბუა დე მონპერეს, ლუი ბურნუფის და ცნობილი არქეოლოგის „ყველა საგან დიდ სწავლულად მიჩნეული კაცის“ ფრანსუა ლენორმანის მოსაზრებანი. „ვაპატიოთ ამ მეცნიერს სოპეხს ასეთი უმეცრება და არცოდნა „ვეფხისტყაოსნისა“. მარტო ეს ვიკითხოთ: რაღა პირით გვეუბნება, რომ თქვენი „ქართლის ცხოვრება“ არაფრის მაქნისიაო, როცა ამისთანა საქმეებში სახელდადებული სწავლულნი ეან სენ მარტენი, ვივიან დე სენ მარტენი, დიუბუა დე მონპერე ცხადად და გარკვევით ამბობენ, რომ ქართულნი ისტორიულნი მოთხრობანი ღირსშესანიშნავნი წყარონი არიან არა მარტო კავკასიისა, არამედ აზიას ისტორიისთვისო“.<sup>19</sup> ამ პატარა ნაწყვეტიდანაც გასაგებია, თუ რატომ დასჭირდა ილიას ავტორიტეტულ ფრანგ მეცნიერთა შრომების ძირფესვიანო გაცნობა, როგორც რუსული, ასევე ფრანგული წყაროებიდან. „ქვათა ღაღადის“ სქოლიოში ილიას აღნიშნული აქვს:

„ბოდენშტეტი: „კავკასიის ერნი“, მიუნხენი, 1847 წ.. ფრანგულად თარგმნილი, გვ. 202 და 302,<sup>20</sup> S—Mart. Mém. sur l'Arm. II. p, 190, W. S. Mart. Recherches sur la populat. du Caucase, p. 78—79, Dubois de Mont., Voyage autour du Caucase, I, p. 62—63,<sup>21</sup> იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერთა, რუს. თარგმნილი“<sup>22</sup>.

ილია მოწიწებით და ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც მოიხსენიებს ფრანგ მეცნიერთა სახელებს, რადგან მათ გამოამკვლავნეს დიდი ინტერესი ქართველი ერისადმი, საქართველოსადმი. ილია გრძნობდა, თუ რა დიდ აუცილებლობას წარმოადგენდა ის, რომ ქართველი ხალხის ნიჭითა თუ უნარით შექმნილ და აქამდე შემონახულ სახელოვან წარსულს გაცნობოდა ევროპის ცივილიზებული ქვეყნები. ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ქართული კულტურის ფრანგ მეგობრებს, როგორც განსაკუთრებული დეაწლი დასდეს ჩვენი ეროვნული კულტურის მეცნიერულ შესწავლას და უცხოეთში პოპულარიზაციის საქმეს.

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოსადმი უცხოელ, განსაკუთრებით ფრანგ მკვლევართა და მოგზაურთა ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა; იწერებოდა შრომები საქართველოს აწყყოსა და წარსულზე, მის კულტურაზე და ლიტერატურაზე, განსაკუთრებით კი ქარ-

19 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957, გვ. 111.

20 იქვე.

21 იქვე, გვ. 142.

22 იქვე, გვ. 178.

თული ისტორიული ძეგლების შესწავლა-აღწერის შესახებ. ჩვენ აქ გაცვრით შევეხებით მხოლოდ იმ ფრანგ მეცნიერებს, რომელთა მოღვაწეობა გარკვეულ მიმართებაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებასთან. პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ მარი ფელისიტე ბროსე, ბარონ დე ბაი, ყიუღ მურციე. მათ შესახებ არაერთი შრომა გამოქვეყნებულია ჩვენი მკვლევარების მიერ.

მარი ფელისიტე ბროსე (1802—1880) გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგი, რომლის ცხოვრება და მეცნიერული მოღვაწეობა მკიდროდ და დაკავშირებული საქართველოს წარსულთან, მის ისტორიასა და კულტურასთან. „არ დარჩენილა ქართველთა მოცოდნობის თითქმის არც ერთი დარგი (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ხელოვნება...), რომლის მეცნიერული საძიკვლის განმტკიცებასა და შემდგომ წინსვლაში მარი ბროსეს რომ საკუთარი წვლილი არ შეეტანოს“<sup>23</sup>.

მარი ბროსეს მეცნიერული მემკვიდრეობის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს. თვით ილია ჭავჭავაძე დიდი პატივისმცემული ყოფილა მარი ბროსეს ნიჭისა და საქმიანობისა. მას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელით 1902 წლის 2 მარტს მიუმართავს ქალაქის თვითმმართველობისათვის ასეთი განცხადებით: „მარი ბროსეს დაბადების ასი წლისთავის შესრულების გამო, მისი ღვაწლის ყურადსაღებად და სახსოვრად, საზოგადოების გამგეობას აქვს პატივი სთხოვოს ქალაქის თვითმმართველობას ქალაქის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მარი ბროსეს სახელი“. გარდა ამისა, მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავი დიდი ზემოთ აღინიშნა 1902 წელს საქართველოში. ამხვე წელს ილია ჭავჭავაძემ, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ, საფრანგეთის განათლების მინისტრს უორე ლეგს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ატყობინებს ამ ღირსშესანიშნავი ღონისძიების შესახებ. დეპეშა მთავრდება შემდეგნაირად: „საფრანგეთის კიდებული ერი ჰქმნის დიდებულ კაცთა არა მხოლოდ საფრანგეთისათვის, არამედ ყველა ერისათვის. საღამო საფრანგეთს!“<sup>24</sup>.

ისტორიულ თხზულებათა გარდა, მარი ბროსემ თარგმნა ზოგიერთი ნაწარმოები ქართული მხატვრული ლიტერატურიდან. აღსანიშნავია პეტერბურგში 1876 წელს მის მიერ ფრანგულად თარგმნილი ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „კაცია-ადამიანი?“<sup>25</sup>.

23 გ. შარაძე, მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი, თბ., 1983, გვ. 8.

24 ამ საკითხებზე დაწერილებით იხ.: რ. დოდაშვილი, მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, 1962, გვ. 121—122; ს. ხუციშვილი, ილია ჭავჭავაძის სიტყვები და გამოსვლები, ი. ჭავჭავაძის საოლბილო კრებული, 1977, გვ. 114; გ. შარაძე, მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი, 1983, გვ. 73.

25 ამის შესახებ იხ. ს. თურნავა, ლიტერატურული ნარკვევები, 1978.

ფრანგი მეცნიერი, ისტორიკოსი და არქეოლოგი ბარონ დე ბაი (1853—1931 წწ.) იმ მოღვაწეთა სახელოვან პლეადას მიეკუთვნება, რომლებიც დანიტერესებული იყვნენ ვაეცნოთ თავიანთ თანამედროვეთათვის უცხო ქვეყნების კულტურული ცხოვრება. საქართველოში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოგზაურობის შემდეგ ბარონ დე ბაიმ დაწერა რამდენიმე გამოკვლევა საქართველოს ისტორიაზე, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე, კულტურასა და ლიტერატურაზე. იგი პირველად 1898 წელს ჩამოვიდა საქართველოში და გახდა მისი ხშირი და საპატიო სტუმარი. ბარონ დე ბაის შრომები: „საქართველოში“ (1898 წ.), „თბილისი“ (1900 წ.), „იმერეთში“ (1902 წ.) და სხვ. დოკუმენტურად ასახავს იმდროინდელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. იგი მრავალი ქართული ლეგენდის მთარგმნელია<sup>26</sup>.

უიულ მურიემ, ფრანგმა ორიენტალისტმა, საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოიარა კავკასია; შეისწავლა და აღწერა ტაძრები, ეკლესიები, ძველი ხალხური ხელოსნობა და ხელოვნების ნიმუშები. 1889—1901 წლებში იგი იყო რედაქტორ-გამომცემელი ფრანგული ყოველთვიური ჟურნალის „Le Caucase illustré“, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1889—1902 წწ. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა როგორც ფრანგ, ისე ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ნაწარმოებები. აქვე ქვეყნდებოდა ქართული ლიტერატურის ნიმუშთა ფრანგული თარგმანები<sup>27</sup>.

ი. ჭავჭავაძე ყოველ ღონეს ხმარობდა ყურადღება და პატივისცემა არ მოკლებოდა იმ ევროპელთ. ეინც საქართველოსთან დაახლოებას, მის გაცნობას და შესწავლას, ან მისი ლიტერატურული ძეგლების უცხო ენებზე თარგმნას მოიწადინებდა. თავის მხრივ, უცხოელი მეცნიერებისა თუ მოგზაურებისათვის შეუძლებელი იყო ილიას პიროვნებისა და მისი შემოქმედებისათვის გვერდი აევლოთ. ბარონ დე ბაი თავის წიგნში „ერთი მისიის მოგონებანი“ (პარიზი, 1900 წ.) მოიხსენიებს ილია ჭავჭავაძეს, როგორც ეროვნულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს<sup>28</sup>.

---

26 ბარონ დე ბაის ღვაწლი საქართველოს წინაშე სათანადოდაა აღწერილი დ. ფანჩულაძის გამოკვლევაში; „ბარონ დე ბაის წიგნები საქართველოზე“, „ბარონ დე ბაი და ქართველი საზოგადოებრიობა“, წიგნში: ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969.

27 ეიულ მურიეს მოღვაწეობა შესანიშნავადაა ასახული ფ. გოკიელის შრომაში: „ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში“, 1968 წ. ხელნაწერი შრომა დაცულია ი. ჭავჭავაძის თბილისის სახლმუზეუმში.

28 ამის შესახებ იხ.: შ. გოზალი შვილი, „ილია ჭავჭავაძე და ქართული კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები“, 1973, გვ. 85—88.

ფ. გოკიელის ცნობით, საფრანგეთის გაზეთში „Paris“ (1885 წ. ოქტომბერი) პროზად დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის თხზულება „განდეგილი“. ეს პოემა გადაუღია ცვლილებებით ფრანგულ ენაზე მწერალ ქალს კანდიანი კოლონას („თეატრი“, 1886 წ. № 248).

პოემა „განდეგილის“ ფრანგული თარგმანი გამოქვეყნდა აგრეთვე ე. მურიეს ყურნალ „Le Caucase illustré“-ს 1899—1900 წწ. № № 3, 4, 5-ის ფურცლებზე „S. J“. ფსევდონიშით. თარგმანი შესრულებულია პროზად, რადგან ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში არსებობდა უცხოური ენოდან პოემების პროზად თარგმნის ტრადიცია. აღსანიშნავია აგრეთვე ე. მურიეს შინაწერი „ილია ჭავჭავაძე, როგორც ადამიანი“... დავით კარიჭაშვილის წერილზე „ქართველი პუბლიცისტიები, თავადი ილია ჭავჭავაძე“<sup>29</sup>

ფრანგი მოგზაური, პერცოგ დე როპანის მეუღლე (ეკატერინე დელიანის ასულის სალომეს მძახალი) თავის წიგნში „Les dévoilées du Caucase“, Notes de voyage, Paris, 3-ième édition, p. 386. („კავკასიის საბურველახდინი“) უზიარებს ფრანგ მკითხველებს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს და აწვდის მათ ქართველ პოეტთა რამდენიმე ნაწარმოებს, მათ შორის ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ დასაწყისის პროზად შესრულებულ ფრანგულ თარგმანს<sup>30</sup>. ილია ჭავჭავაძე ფრანგული ხელოვნებისა და ლიტერატურის ნიმუშებს მოხდენილად იყენებს ამა თუ იმ ეროვნული საკითხის უკეთ გაშუქებაში. ყოველი მოვლენის თუ ფაქტის პირუთენელი, ყოველმხრივ ცოდნაზე დაყრდნობით შეფასებით იგი მკვიდრო კონტაქტს ამყარებდა სხვადასხვა ფენის მკითხველთან.

მეტად მნიშვნელოვანია ი. ჭავჭავაძის დამსახურება ქართული პედაგოგიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. დასავლეთ ევროპისა და რუსეთის პედაგოგ მეცნიერთა შრომების ღრმა შესწავლის შემდეგ მან შეიმუშავა საკუთარი შეხედულება ამ საჭირობოროტო საკითხზე. ილია დიდად აფასებდა ფრანგი ჰუმანისტის ფრანსუა რაბლეს მოსაზრებას სწავლა-აღზრდის შესახებ, რომელსაც იგი გაეცნო მისი განთქმული თხზულებიდან „გარგანტუა და პანტაგრუელი“. ილია ჭავჭავაძე ქართველ მკითხველს აცნობს საქართველოში სწავლა-აღზრდის საეკლასიკო მდგომარეობას: „უხლანდელი სწავლა-ცოდნა სკოლისათვისა ჰმეფლის კაცს გონების თვალთ დაანახვოს და გონებითვე ყუ-

<sup>29</sup> ჟურნ. „Le Caucase illustré“, Tiflis, 1899—1900, N 2, p. 14.

<sup>30</sup> ამის შესახებ იხ.: ფ. გოკიელი, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში 1968 წ. ხელნაწერი შრომა დაეულა ი. ჭავჭავაძის თბილისის სახლ-მუზეუმში,

რით გააგებინოს, რაც კაცის გარშემო არსებობს და თავს იჩენს, მაგრამ ადამიანის საქციელზედ-კი თითქმის სრულებით არა ჰმოქმედობს, ამიტომაც დღევანდელს დღეს აღვილად შესაძლოა შეჰხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამორკვეულნი, მარტო ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის ბუნებურის შინაარსითა“<sup>31</sup>. ილია განიხილავს ფრანსუა რაბლეს მოძღვრებას და გვთავაზობს მისი ნაწარმოების „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ამ კუთხით გარჩევას: „მთელის თავის მწვავეს ენით სასაცილოდ აიგდო საქოლასტიკური წესი სწავლებისა და დასწერა მწვავე სატირა-რომანი, რომელსაც „გარგანტუა“ ჰქვია“. ილია განსაკუთრებით ეთანხმება ფრანსუა რაბლეს მასში, რომ „... საჭიროა ბავშვთა თავის საკუთარს დანახვით, საკუთარს მოსაზრებითა და განსჯითა იცოდინოს ბუნება და ცხოვრება“<sup>32</sup>.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებდა ფრანგულ ლიტერატურას. გაცეცებით კითხულობდა ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს, მაგრამ დაბეჯითებით მოითხოვდა ისეთი ნაწარმოების გადმოკეთებას, რომელიც მიესადაგებოდა ქართველი ხალხის ცხოვრებას, დააკმაყოფილებდა მის სულიერ მოთხოვნილებას.

გამსაკუთრებულ გულისტკივილს გამოთქვამს ილია თავის წერილებში ფრანგულიდან გადმოკეთებული პიესების შესახებ. ილიას ეროვნული თეატრი მიაჩნდა ქართული კულტურის წინსვლისა და წარმატების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. სამწუხაროდ, ვერ კიდევ არ იყო ქართული თეატრი წელგამართული. სხვა მიზეზთან ერთად, პიესა არ შეეფერებოდა ქართულ სინამდვილეს, ვერ ჩასწვდებოდა ქართველის გულს, ვერ აანთებდა მას „ბოროტის შესამუსვრლად“. „იქნება იგი პიესა საფრანგეთის ზნესა, ყოფა-ცხოვრებას უხდებოდეს, და ჩვენთვის კი სწორედ მოგახსენოთ, შემაზრუნია.. ჩვენ ვერ საბუღვარე ცივილიზაციისაგან იზოდენად ხელუხლებელნი ვართ, — ვიტყვი, ჩვენდა სასიხარულოდ, — რომ გარყვნილება და ნამუსახდილობა ვერ კიდევ საზიზღარია ჩვენთვის და არა გასართობი და სახუმარო. იგი პიესა ზიზღით კი არ ამღვრევს ადამიანის გულს, ავზნეობის დანახვითა გაწბილებულს, გულის წყრომას კი არ აფთრებს და ამგელუბს ბოროტის შესამუსვრელად, არამედ აგრილებს გულს სიცილითა და ამ რიგად ბოროტს სახუმარ საგნად ჰხდის და არა საზიზღისად...“<sup>33</sup>.

ილია ჭავჭავაძე დიდ ინტერესს იჩენდა ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარდუსს შემოქმედებისადმი. ეს ჩანს მის წერილებში თე-

31 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V, 1955, გვ. 300.

32 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV, 1955, გვ. 311—312.

33 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. III, 1953, გვ. 112.



ატრზე, სადაც დიდი გულმოდგინებით არის გარჩეული ვ. სარდუს პიესები, რომლებიც იდგმებოდა იმდროინდელ ქართულ სცენაზე. ილია აქაც არ დალატობს თავის ჩვეულებას — ფრანგულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში დასმული პრობლემის ეროვნულ ასპექტში გაშუქებას.

ვ. სარდუს პიესებს შორის ილიას დიდი მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურეს პიესებმა „გავიყარნეთ“ და „სამშობლო“, რომლებიც დიდი წარმატებით იდგმებოდა ქართულ სცენაზე XIX საუკუნის 80-იან წლებში. ილია განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს ქართველ მსახიობთა შესანიშნავ ოსტატობას, მათ არტისტულ ნიჭსა და შრომისუნარიანობას. ამავე დროს, იგი არ ფარავს იმ ნაკლოვანებას, რომელიც, მისი აზრით, შეუძლებელი იყო არ ჰქონოდა ჯერ კიდევ გამოუცდელ თეატრალურ კოლექტივს და რომლის აღმოფხვრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

ილია ქავეკვაძე არ დაკმაყოფილდა ფრანგული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ზოგადი მიმოხილვითა და დახასიათებით, აგრეთვე, ცალკეული გამონათქვამებით და ქართველ მკითხველს ერთ-ერთმა პირველთაგანმა გააცნო არაერთი პირველხარისხოვანი ფრანგი მწერალი თუ მოაზროვნე. სწორედ მათ თხზულებათა ილიასეული ქათული თაგმანების მონოგრაფიულ შესწავლას ეძღვნება ჩვენი გამოკვლევა.

ილია ჭავჭავაძე — ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი

§ 1. ანდრე შენი, „ზღვათა მფლობელის...“

ანდრე შენი (1762—1794) მიეკუთვნება საფრანგეთის უნიჭიერეს პოეტთა რიცხვს, რომლის ორიგინალურმა და ნათელმა შემოქმედებამ აღიარება შედარებით გვიან პოვა.



ანდრე შენი

XIX საუკუნის I ნახევრის ცნობილი ფრანგი ლიტერატურის კრიტიკოსი ლუი ბეკ დე ფუკიე წიგნში „ანდრე შენიეს ცხოვრება და მისი თხზულებანი“ (პარიზი, 1888 წ.) ასე ახასიათებს მას: „ის იყო ხელოვანი, რომელიც ფლობდა მრავალმხრივ ნიჭს, დახვეწილ გემოვნებას და ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის დაბადებული ადამიანის ძლევამოსილებას“.

ანდრე შენიეს შემოქმედება არის პოეტური განახლება პლეადის პოეზიისა. ის იყო ანტიკური ხელოვნების თაყვანისმცემელი, უზადო ლირიკოსი და ამავე დროს პოეზიის დიდი თეორეტიკოსი: „ლექსს ქმნის ხელობა, პოეტს — გული“ — ამბობდა შენიე.

ანდრე შენიეს მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა ფრანგ განმანათლებელთა უშუალო გავლენით. მისი რევოლუციამდელი პოეზია გამსჭვალულია ანტიფეოდალური, განმანათვისებელი იდეებით, უშიშრად აკრიტიკებს მონარქიას და იბრძვის პიროვნების დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის. იგი თავისი სევდიანი ხმით უმღერის სიყვარულს, თავისუფლებას, მშვიდ სოფლურ იდილიას. ასეთი შეხედულებებით შეეგება პოეტი 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რომლისადმი დამოკიდებულებას მალე მკვეთრად იცვლის — აშკარად ემხრობა მონარქისტებს, თანაგრძობას უცხადება ლუი XVI-ს და ილაშქრებს იაკობინელთა წინააღმდეგ. ანდრე შენიეს შემოქმედება, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ, ხასიათდება სუბიექტივიზმით. პოეტი ვერ გრძნობს რევოლუციის აუცილებლობას, ვერ ჩაწვდა მის ღრმა შინაარსს, ის რევოლუციაში ხედავს მხოლოდ სისხლისღვრას და უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვას. ასეთი სულისკვეთებითაა დაწერილი მისი, შეიძლება ითქვას. უკანასკნელი ნაწარმოებები, გულსაკლავი სევდიან და უიმედობით სავსე ოდები და იამბები.

ანდრე შენიე დაიბადა 1762 წელს კონსტანტინოპოლში, სადაც მამამისი მსახურობდა საფრანგეთის კონსულად. პოეტის დედამ, ბერძნულ კულტურაზე აღზრდილმა და ანტიკური ხელოვნების თაყვანისმცემელმა ქალმა, დიდი როლი ითამაშა მომავალი პოეტის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ანდრე 2 წლის იყო, როცა დედამისი თავისი ორი ვაჟით (მარი-ჟოზე და ანდრე) გადავიდა პარიზში საცხოვრებლად. იქ ანდრე შენიეს დედამ გახსნა სალონი. სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი პოეტები, მსახიობები და მიეცნიერები. ანდრეს და მის უფროს ძმას — მარი-ჟოზეს პოეზიისადმი სიყვარული ძალიან ადრე გაუღვივდათ და სწორედ ამ სალონში შედგა მათი პოეტური დებიუტი.

ნავარის კოლეჯის წარმატებით დამთავრების შემდეგ 1782 წელს ა. შენიე გაიწვიეს ჯარში, ოღონდ სუსტი ჯანმრთელობის გამო აქ მხოლოდ 6 თვე დაჰყო. პოეტმა იმოგზაურა იტალიასა და შვეიცარიაში. ამ მოგზაურობის დროს მიღებულმა შთაბეჭდილებებმა ღრმა კვალი დატოვა მის რომანტიკულ ბუნებაზე და 1785—1787 წლებში დაწერა მრავალი ბუკოლიკური ლექსი და ელეგია, რითაც მკითხველი საზოგადოების გარკვეული ფენის სიმპათია დაიმსახურა.

1787—1790 წლებში ა. შენიე ჩაბმულია დიპლომატურ სამსახურში (ის გაგზავნეს ლონდონში საფრანგეთის საელჩოს მდივნად). ამავე

დროს, იგი ეწევა ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობას — შეიქმნა ვრცელი პოეტური გეგმა შემდეგში დაუმთავრებელი პოემებისა: „გამოგონება“, „პერმესი“ და „ამერიკა“. სწავლობდა დაბრუნების შემდეგ იცვლება პოეტის პოლიტიკური მრწამსი, მისი დამოკიდებულება თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხისადმი. იაკობინელთა ბეზადის — რობესპიერის დამარცხებამდე ორი დღით ადრე, 1794 წლის 25 ივლისს, ანდრე შენიე სიკვდილით დასაჯეს.

ა. შენიეს ნაწარმოებების არასრული კრებული პირველად გამოქვეყნდა 1819 წელს ცნობილი ფრანგი გამომცემლის ანრი ლატუშის მიერ. ამ გამოცემაში გარკვეული ბიძგი მისცა რომანტიზმის შემდგომ განვითარებას. გარდაცვალებიდან მხოლოდ 25 წლის შემდეგ გამოსული ამ პოეტური კრებულის<sup>1</sup> მიხედვით აღიარა ფრანგმა ხალხმა ადრე დაღუპული თანამემამულის უზადო ტალანტი, მხოლოდ მაშინ მიაკუთვნეს იგი საუკეთესო ფრანგ პოეტთა რიცხვს. ცნობილმა ფრანგმა ლიტერატორმა ანრი დე რენიემ მთელი ფრანგული პოეზია წარმოავლინა მხოლოდ სამი პოეტური სახელის — რონსარის, შენიესა და ვიქტორ ჰიუგოს მიხედვით.

ა. შენიეს უსათაურო ლექსი „Près des bords où Venise...“ („ზღვათა მფლობელის ვენეციის ზღუდეთა თანა...“) ბუკოლიკური ჟანრისაა და XXXV იდილიის ფრაგმენტს წარმოადგენს. ამ ჟანრის ნაწარმოებები პოეტის შემოქმედების ადრინდელ პერიოდს — 1785—1787 წწ. ეკუთვნის.

ანდრე შენიეს 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციამდელი პერიოდის ნაწარმოებები — პოემები: „გამოგონება“, „მათხოვარი“, „პერმესი“, „თავისუფლება“, „ბურთის თამაში“ და იდილები პოეტის შემოქმედების საუკეთესო ქმნილებებს წარმოადგენენ.

„ზღვათა მფლობელის...“ შენიეს ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია, რომელშიაც ყველაზე მეტად იგრძნობა პოეტის მისწრაფება თავისუფლებასა და დამოუკიდებლობისაკენ. ამ ლექსში იგი შენატრის დამის გონდოლიერს, რომელიც მღერის და ებრძვის ზღვის ტალღებს. მას არ აწუხებს მომავლის შიში და არც დიდების სურვილი კლავს. პოეტს სურს ასევე უანგაროდ, დიდების გარეშე გაუმკლავდეს დაბრკოლებებს და თავისი უბრალო, სადა სიმღერებით გაიკვლიოს ცხოვრების რთული გზა.

ანდრე შენიეს მდიდარი და ანტიკური შთაგონებით აღსავსე პოეზია საყვარელი იყო არა მარტო ფრანგი მკითხველისათვის, ის ძვირ-

<sup>1</sup> Poésies d'André Chénier, précédées d'une notice par M. H. de Latouche, Paris, 1884.

ფასი და მახლობელი გახდა რუსი და სხვა ეროვნების ხალხებისათვის. პოეტის ნაწარმოებთა კრებულის პირველი რუსული თარგმანები არაერთხელ გამოიცა პეტერბურგში, მათ შორის, ა. შენიეს უსათაურო ლექსი „ზღვათა მფლობელის...“ რამდენჯერმე ითარგმნა რუსულად: 1827 წელს — ა. ს. პუშკინის, 1828 წელს — ი. კოზლოვის, 1835 წელს ვ. ტუმანსკის მიერ.

ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ა. შენიეს ბერძნული კოლორიტით დამზვენებულ პოეზიას: მის ლექსებში „ცხადად ისმის ის ნაზი და წრფელი სიტკობება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდვილო და ნამდვილი ბგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა“<sup>2</sup>.

პოეტის „უმანკო, უცოდველი და ნამდვილი ბგერა გულისა“ ასე ცხოვლად, ასე ობიექტურად შეიძლება იგრძნო ნაწარმოების ორიგინალის გაცნობის შედეგად, ე. ი. საფიქრებელია, რომ ილია ა. შენიეს არა ერთ და ორ პოეტურ ნაწარმოებს გასცნობია ორიგინალში, მაგრამ სათარგმნელად ამოირჩია ლექსი „ზღვათა მფლობელის...“, რომელიც მის პოეტურ სულთან უფრო მახლობელი იყო; ეს უსათაურო ლექსი ილიამ თარგმნა 1861 წელს, იმ პერიოდში, როცა XVIII საუკუნის ფრანგ ლირიკოსთა და განსაკუთრებით ა. შენიეს შემოქმედება პეტერბურგის მკითხველი საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა. ანდრე შენიეს ლექსის „ზღვათა მფლობელის...“ ილიასეული თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ IX ნომერში (გვ. 6), ხოლო მეორედ 1892 წელს, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა კოლექციის 1 ტომში.

საინტერესოა გაირკვეს, საიდან თარგმნა ილიამ ანდრე შენიეს აღნიშნული ლექსი, მაგრამ მანამდე გადავხედოთ „ზღვათა მფლობელის...“ რუსულ თარგმანებს.

ა. პუშკინის თარგმანი შესრულებულია მაღალი პოეტური ოსტატობით, მევეთრად იგრძნობა პუშკინისეული ლექსის ყლერადობა და ლაკონიურობა რაც განსაკუთრებით ჩანს ნაწარმოების ბოლო სტროფში:

На море жизненном, где буря так жестоки  
Преследуют во мгле мой парус одинокий  
Как он, без отзыва, утешно я пою  
И тайные стихи обдумывать люблю.

შდრ.:

„Comme lui je me plais à chanter —  
Les rustiques chansons que j'aime à répéter

<sup>2</sup> ილ. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. III, თბ., 1953, გვ. 8.

Adoucissent pour moi la route de la vie,  
Route amère et souvent de naufrage suivie“.

ი. კოზლოვის უფრო თავისუფალი ხასიათის თარგმანია:

Poet он по сердцу, сует удален,  
Чужого суда не сграшится,  
И песней любимой неволью пленен,  
Над бездною весело мнитсся,...

შდრ.:

Il aime les chansons, il chante sans desir  
Sans gloire, sans projets, sans craindre l'avenir,  
Il chante—et cheminant sur le liquide abime  
Sait ézayer ainsi sa route maritime...

ამ თარგმანს ილია ჭავჭავაძემ მკაცრი შეფასება მისცა: „ძლივს-  
ლა იცნობთ კაზლოვის ლექსებში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ სა-  
უკუნეში თითქმის პირველად დაანახნა ფრანციას, და მის გამო ევრო-  
პასაც, ჭეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერე-  
ბისა...“.

შენიეს ამ ლექსის ვ. ტუმანსკისეული თარგმანი დედანთან ძა-  
ლიან მიახლოებულია. მთარგმნელი ცდილობს შეუნარჩუნოს ლექსს  
ორგინალისეული მელოდიურობა, ფრომისა და შინაარსის ჰარმონიუ-  
ლობა, რასაც იგი ნაწილობრივ ახერხებს.

შედარების შედეგად ირკვევა, რომ ილიას თარგმანი ემსგავსება  
ვ. ტუმანსკის რუსულ თარგმანს.

შევეუდართო:

1. შენიე: „Le gondolier nocturne“ (ღამის გონდოლიერი).

ტუმანსკი: „безпечный гондольер“.

ი. ჭავჭავაძე: „უდარდელი გონდოლიერი“.

2. შენიე: „Il aime les chansons, il chante sans desir sans gloire...“  
(მას უყვარს სიმღერები, მღერის დიდების სურვილის გარეშე. — მ. ი.).

ტუმანსკი: „Он любит свой напев, без платы он поет“.

ი. ჭავჭავაძე: „თავისი სიმღერა იმას უყვარს, უფასოდ მღერის“.

3. შენიე: Les rustiques chansons que j'aime à répéter...“

(სადა, უბრალო სიმღერები, რომლებსაც ხშირად ვიმეორებ, ან:  
მიყვარს გამეორება).

3 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953 წ. ტ. III, გვ. 8.

ტუმანსკი: „И звуки тайные придуманные мной“.

ი. ჭავჭავაძე: „და ხმანი ჩემგან მოგონილინი“...

ფრანგული დედნის ზოგიერთი ნიუანსი არ არის დაცული ტუმანსკისეულ თარგმანში, რომლებიც გადმოდის ილიას ქართულ თარგმანშიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ ილია, მართალია, ა. შენიეს შემოქმედებას, მის პოეტურ სტილს ნიჭსა და შთაგონებას იცნობდა ფრანგული ორიგინალის წყალობით, მაგრამ ფრანგი პოეტის უსათაურო ლექსის „ზღვათა მფლობელის...“ (1785—1787 წწ.) ქართულად თარგმნისას სარგებლობდა ვ. ტუმანსკისეული რუსული თარგმანებით.

## § 2. ვიქტორ ჰიუგო, „წერილი შენიველებიდან“

„გადაფურცლეთ!“ („Fcuilletz—moi!“) — უთქვამს ახალგაზრდებთან საუბრისას ვ. ჰიუგოს. მართლაც, იგი XIX საუკუნის სამი მეოთხედის ცოცხალი მატიანაა. მისი მღელვარე და ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება დაკავშირებულია ამ პერიოდის საფრანგეთის პოლიტიკურ და სოციალურ ძვრებთან, დაწყებული 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციიდან, ვიდრე პირველ პროლეტარულ რევოლუციამდე — პარიზის კომუნამდე (1871 წ.) და შექმდედაც. ძნელია წარმოვიდგინოთ XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ეს მდიდარი ხანა ვ. ჰიუგოს გარეშე. იგი თავისი ხალხის ეროვნული გენიაა. მან დიდება და აღიარება მოიპოვა, როგორც პოეტმა, დრამატურგმა, რომანისტმა, პუბლიცისტმა, ორატორმა. ვ. ჰიუგოს მხატვრული ნაწარმოებები უმთავრესად დევნილ ბედკრულ, დაბეჩავებულ ადამიანთა ცხოვრებას აღწერს. მწერალი მთელი არსებით მათ მხარეზეა. ეს იგრძნობა ყოველ ნაწარმოებში, სადაც ასე მძაფრად წარმოგვიდგება მათი ცხოვრებისეული ეპიზოდები — მხიარულება თუ მწუხარება, ღიმილი თუ კვნესა, ბრძოლა თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის. ვ. ჰიუგოს ნაწარმოების გმირები, — რაგინდ უჩვეულო, მოულოდნელი ბედი არ მიენიჭებინა გენიალური მწერლის ამოუწურავ ფანტაზიას, — ყველანი უკლებლივ ებრძვიან არსებულ სოციალურ უთანასწორობას — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სიღატაკეს. მწერალმა არაჩვეულებრივი ობიექტურობით შეძლო ფართო ისტორიულ ფონზე ეჩვენებინა. კლასობრივი ჩაგვრით გაწამებულ, უუფლებო ადამიანთა ცხოვრება.

შეუდარებელია ვ. ჰიუგო, როგორც პამფლეტისტი და სატირიკოსი. როგორი ძალა და რწმენა ჩანს მის სიტყვებში, რომლითაც შეუბრალებლად ამათრხახებს მკვლევრებსა და ბოროტმოქმედებს. სატირის

საშუალებით სააშკარაოზე გამოაქვს სახელმწიფო აპარატის უკანონო-  
ბა და დაუნდობლობა მდაბიო, უბრალო ადამიანების მიმართ. მწერლის  
ანგვარი უარყოფითი განწყობილება ამა ქვეყნის უფალთადმი და ასე-



ვიქტორ ჰიუგო

თი გულითადი დამოკიდებულება ჩაგრულისადმი მის თანამედ-  
როვეთა გულწრფელ გაკვირვების იწვევდა: „Que cet homme  
arrivé, gavé d'honneurs, d'argent et de bonnes fortunes ait choisi  
d'écrire un roman sur la misère voila qui est déjà remarquable“.  
(„ბატყით, ფულითა და ქონებით განებივრებული ადამიანი რომ სი-  
ლატაკზე დაწერს რომანს, აი, ეს არის სწორედ გასაკვირი“)<sup>4</sup>.

საფრანგეთის არმიის გენერლის გრაფ ჟოზეფ-ლუი პოლდ-სიგისბერ  
ჰიუგოს უმცროს უაიშვილს, ფუფუნებაში გაზრდილ ვიქტორს თით-

<sup>4</sup> Marius- François Guyard. Histoire d'un romancier, Paris, 1963.



ქოსდა რა საერთო უნდა ჰქონოდა მდაბიო, დევნილ, გაჭირვებულ ადამიანებთან?! მეორე მხრივ კი, როცა მამამისი ეზოფედი, ბონაპარტეს ერთგული ჯარისკაცი, თავდადებით იბრძოდა იტალიასა და ესპანეთში (სადაც ერთ ხანს გუბერნატორადაც მსახურობდა). პატარა ვიქტორს თავის ორ ძმასთან ერთად უხდებოდა ამ ქვეყნებში ჰოგზაურობა. ომისაგან დანგრეულმა ქალაქებმა, სიკვდილით დასჯილთა გვამებმა, შიმშილითა და წამებით დაბეჩალებულ ადამიანთა სახეებმა სამუდამო კვალი დატოვა ბუნებით ნაზ და შთაბეჭდილებიან ყმაწვილზე:

«... а главное, запомнились ему висевшие на деревьях человеческие обрубки. еще красные от крови; вместе с братьями он смотрел на них в окошко кареты, на которое налезил от скуки крестик из соломынок. Ужас, который внушала ему смертная казнь, пытки и виселицы, антитеза — виселица и крест, — все эти мысли, преследовавшие его до самой смерти, первые свои корни пустили в его душе еще в детстве нищу им дали впечатления ребенка»<sup>5</sup>.

უცხო ქვეყნებში რამდენიმე წლით ცხოვრებამ ჯერ ბუნდოვნად, შემდეგ კი ნათლად დაანახვა ვიქტორს მამის დამპყრობლური მისია, რომ ეს დევნილი, სიკვდილით დასჯილი ადამიანები თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობას იცავდნენ, ანან გაუღვიძა მას თანაგრძნობა და სიმბათია დაპყრობილი ხალხის მიმართ:

«Обратный путь в охраняемом караване был долгим и полным тяжелых впечатлений. Дети видели ужасные картины: эшафот, человека, казнимого с помощью «гаротты», то есть ошейника, который постепенно стягивали, чтобы удавить приговоренного, крест с прибитыми к нему окровавленными кусками человеческого тела — казненного разодрали на клоушья»<sup>6</sup>.

ამ სასტიკმა სინამდვილემ სამუდამო ადგილი დაიმკვიდრა მის ნაწარმოებებში.

8 წლის „სასწაულებრივი ბავშვი“ თარგმნის ვარგილიუსს, ჰორაციუსს, ლუკრეციუსს, ტაციტუსს და სხვ, წერს ლექსებს, ხოლო 15 წლიდან იგი საბოლოოდ ეზიარა ლიტერატურას. იგი ქმნის პოემებს, ოდებს, ელიგიებს სატირულ ნაწარმოებებს, რომლებშიც უკვე იგრძნობა ავტორის ფილოსოფიური აზრვნება, დახვეწილი მხატვრული სტილი, მაღალი გემოვნება.

5 Андре Моруа, Олимпико или жизнь Виктора Гюго, Москва, 1982, с. 17.

6 Андре Моруа, Олимпико или жизнь Виктора Гюго, Москва, 1982, с. 28.

1819 წელს ჟურნალ „კონსერვატორმა“, რომლის რედაქტორი ვ. ჰიუგოს სათაყვანებელი მწერალი ფრანსუა-რენე შატობრიანი (François-René de Chateaubriand) იყო, დამატების სახით გამოაქვეყნა აღფრედ დე ვინის, ვ. ჰიუგოსა და სხვათა ლექსების კრებული. ამავე წელს ამბებმა აბელ, ევენ და ვიქტორ ჰიუგომ დააარსეს ჟურნალი „ლიტერატურული კონსერვატორი“, რომელმაც იარსება მხოლოდ 16 თვე. ამ პერიოდში მარტო ვიქტორმა გამოაქვეყნა 11 ფსევდონიმით 12 სტატია და 22 წერილი. ვ. ჰიუგო ყმაწვილობიდანვე დაუშრეტელი ენერგიით შეუდგა ლიტერატურულ საქმიანობას და ეს ენერგია ბოლომდე შეინარჩუნა, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, რომელიც გაუთავებლად თან სდევდა ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე.

„Le génie de V. Hugo était un génie de combat: aussi sa gloire est toujours marché dans un déchainement de passions furieuses. Il était donc dans sa destinée d'être aussi violemment injurié dans son rôle politique que dans son oeuvre littéraire“.

(„ვ. ჰიუგოს გენია (სული) მერძოლია, მისმა დიდებამ მძინვარე ვნებათა გრიგალი გამოიარა. მას წილად ხვდა ყოფილიყო მეტისმეტად შეურაცხყოფილი, როგორც პოლიტიკურ, ისე ლიტერატურულ საქმიანობაში“)<sup>7</sup>. ამას დაემატა ოჯახური ტრაგედიაც „Ayant perdu tous ses enfants sauf Adèle, qui n'ayant plus raison, était comme morte pour lui. Hugo n'avait plus que ses petits enfants comme famille“ („დაელუბა რა ყველა შვილი, გარდა ჭკუიდან შეშლილი ადელისა, რომელიც მისთვის უკვე მკვდარი იყო, ჰიუგოს ოჯახს მხოლოდ ორი შვილიშვილი შეადგენდა“)<sup>8</sup>. უსამართლობამ, დაუნდობლობამ და მწუხარებამ ვერ შეცვალა მწერლის მებრძოლი ბუნება, პირიქით, მეტი ძალა და მზნეობა შემატა მას, როგორც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეს. მწვავე სატირით, გროტესკული ნახატებით, საზარელი პერსონაჟებით და უფრო მეტად საზარელი ეპიზოდებით ვ. ჰიუგო ცდილობდა ცხოვლად აღქმულიყო მკითხველის მიერ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მანკიერებანი. მწერლის ამგვარი განწყობილება — სინამდვილისადმი ჯანსაღი, კრიტიკული დამოკიდებულება იყო საწყისი რეალისტური მიმართულებისა, რომელმაც შემდგომი განვითარება კპოვა XIX საუკუნის II ნახევრის ფრანგულ ლიტერატურაში.

ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, კამილ პელეტანი თავის წიგნში „ვიქტორ ჰიუგო — პოლიტიკური მოღვაწე“ აღნიშნავს, რომ ვიქტორ

<sup>7</sup> Camille Pelletan, Victor Hugo, homme politique, Paris, 1907, p. 2.

<sup>8</sup> Larousse, Dictionnaire de Victor Hugo. Chronologie, p. 10.

პოეგოში საზოგადო მოღვაწე გვიან განვითარდა, მაგრამ აღმოცენდა, შეიძლება ითქვას, თავიდანვე: მის პირველ პოეტურ ნაწარმოებებში გატარებული იყო ბრძოლის აუცილებლობის იდეა და პოლიტიკური სულისკვეთება<sup>9</sup>.

ვ. ჰიუგოს მწერლური ასპარეზი ისეთივე გრანდიოზულია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური. იგი ნახევარი საუკუნის განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკანონმდებლო და სახალხო კრებებში. მხურვალე სიტყვამ, თავისებურმა ლაპიდარულმა სტილმა, არგუმენტთა დამაჯერებლობამ, აზრთა სილალემ და სხვა საუკეთესო თვისებათა ერთობლიობამ შექმნა მისი, როგორც საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის ჭეშმარიტი სახე.

ვ. ჰიუგოს წერილები, მიმართვები და პოლიტიკური ხასიათის სტატიები იბეჭდებოდა მრავალ ჟურნალ-გაზეთში, მაგრამ მას სურდა შეექმნა ისეთი გამოცემა, რომელიც უფრო აქტუალური იქნებოდა, ვიდრე პარიზის სხვა ჟურნალ-გაზეთები, და რომელიც მეტი სიტყვადით გააშუქებდა საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების წინაშე წარმოქმნილ სირთულეებს, სადაც გამოსაქვეყნებელი მასალა შეირჩეოდა მხოლოდ ვ. ჰიუგოს მიერ მისი შეხედულებებისა და გეგმვნების მიხედვით. გაზეთს ეწოდა „d'Evenement“ მისი პირველი ნომერი გამოქვეყნდა 1848 წლის აგვისტოში. აქვე იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებებიც, მაგრამ მეტწილად გაზეთი „d'Evenement“ პოლიტიკური ხასიათისა იყო<sup>10</sup>.

იდადი ხნის დაუღალავი პოლიტიკური ძიების პერიოდში ვ. ჰიუგოს თანდათან უგრძობდებოდა საკითხები, რომელთა მოგვარებასაც იგი მოითხოვდა ტრიბუნიდან, თავის ილუსტრაციებსა თუ მხატვრულ და პოლიტიკურ ნაწარმოებებში. აღნიშნული საკითხები, საბოლოო დამუშავების შემდეგ ვ. ჰიუგოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის პროგრამად გადაიქცა: „Le programme de Victor Hugo comprenait, avec le maintien de la République, l'amnistie, l'abolition de la peine de mort, la rentrée de l'assemblée à Paris, la levée de l'état de siège, la dissolution de l'assemblée aussi rapide que possible, le service militaire obligatoire pour tous, l'instruction primaire obligatoire, gratuite et laïque, l'instruction secondaire laïque, gratuite, la séparation de l'église et de l'Etat, les libertés d'association, de reunion, de presse, l'élection des maires et ad-

<sup>9</sup> Camille Peletan. V. Hugo. homme politique, Paris, 1907, p. 1.

<sup>10</sup> Jules Garson. L'évolution démocratique de Victor Hugo, Paris, 1904, p. 10.

joint, la décentralisation, la suppression de l'inamovibilité de la magistrature...“.

„ვ. ჰიუგოს პროგრამა რესპუბლიკის შენარჩუნება, ამნისტია, სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება, ასამბლეის განახლება პარიზში, სააღყო მდგომარეობის მოხსნა, რაც შეიძლება მალე, არსებული ასამბლეის ლიკვიდაცია, საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახური, უფასო საერო დაწყებითი და საშუალო განათლება, სახელმწიფოს გამოყოფა ეკლესიისაგან, ამხანაგობის თავისუფლება, მერისა და მისი მოადგილის არჩევნები, დეცენტრალიზაცია...“<sup>11</sup>.

ჰიუგოსეული პროგრამის მიხედვით ამნისტია და სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება ერთ-ერთი უმთავრესი და გადაუდებელი საკითხია. აქედანვე ჩანს ვ. ჰიუგოს დამოკიდებულება ამ კანონისადმი.

სიკვდილით დასჯის ცხოვრებისეულ ფაქტებს არაერთხელ შეუხსნამს ხორცი ვ. ჰიუგოს მხატვრულ ნაწარმოებებში. ღარიბი ფრანგი მუშის (რომელსაც ბრალი ედებოდა მამის მკვლელობაში) სიკვდილით დასჯა გამოიხატა მწერლის ამ თემაზე დაწერილ პირველ ნაწარმოებში „სიკვდილმისჯილის უკანასკნელი დღე“, რომელიც გამოქვეყნდა 1829 წელს ხელმოუწერლად. ამ ღრმა ფილოსოფიურ ეტიუდში დაწვრილებითაა აღწერილი მორალური და ფიზიკური ტანჯვა-წამება, რაც მუდამ წინ უძღვის სასჯელს<sup>12</sup>.

პარიზელი ღარიბი მუშის კლოდ გეს სიცოცხლის შესანარჩუნებლად ამოდ იღვწოდა მწერალი. იგი, როგორც მრავალი სხვა, სიღარიბემ მიიყვანა ეშაფოტამდე. 1834 წელს, მისი სიკვდილით დასჯის ორი წლის შემდეგ, ვ. ჰიუგომ დოკუმენტური სიზუსტით აღწერა პარიზელი მუშის კლოდ გეს უიღბლო ცხოვრება, რომელსაც დაურთო მიმართვა საფრანგეთის მთავრობისადმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ.

1839 წელს ვ. ჰიუგომ პოეტური სტრიქონები მიუძღვნა ლუდოვიკ ფილას, რათა სიკვდილით დასჯისაგან დაეხსნა აჯანყების ერთ-ერთი მოთავე არმან ბარბესი. მეფემ პოეტის თხოვნა დააკმაყოფილა.

ვ. ჰიუგოს ბრძოლის ასპარეზი უფრო და უფრო ფართოვდება. 1848 წელს იგი დამფუძნებელი საბჭოს ტრიბუნიდან ქადაგებს სიკვდილით დასჯის კანონის ბარბაროსობას, მის შეუფერებლობას ცივილიზებული ქვეყნისათვის.

<sup>11</sup> Camille Pelletan, Victor Hugo, homme politique, Paris, 1907, p. 328.

<sup>12</sup> Пасевский А. Н., Виктор Гюго, его жизнь и литературная деятельность, СПб, 1893, с. 49.

სამშობლოდან ჯერისი კუნძულზე 1951—1870 წლებში განდევნილი პოეტი მაინც განაგრძობდა ბრძოლას სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ამერიკის მთავრობისადმი ვ. ჰიუგოს მრავალჯგუფის თხოვნის მიუხედავად 1859 წელს ზანგების ქომაგი, ამერიკელი ჯონ ბრაუნი ჩამოახრჩვეს.

1862 წელს მწერალი დიდი შემართებით განაგრძობს მოქმედებას. მან სიხარულით დაუჭირა მხარი ენეველ რესპუბლიკელებს, რომელთაც გადაწყვიტეს სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება, ხოლო 1865 წელს კი ვ. ჰიუგო ასევე, ჩვეული პასუხისმგებლობის გრძობით, მხარში ამოუდგა იტალიელებს სიკვდილით დასჯის გაუქმების საქმეში. სხვა მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიხმოთ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ვ. ჰიუგოს ცხოვრებიდან.

ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი მასალა დაუგროვდა მწერალს თავის მრავალფეროვანი და ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. იგი ფიქრობდა კიდევ წიგნის გამოცემას სათაურით: „სიკვდილით დასჯის საქმე“ („Le dossier de la peine de mort“).

პ. სავეი-გაზარის წიგნში „Le crime et la peine dans l'oeuvre de V. Hugo“ („დანაშაული და სასჯელი ვ. ჰიუგოს შემოქმედებაში“) ისმება კითხვა: „რით აიხსნება მწერლის ესოდენ დიდი დაინტერესება დანაშაულისა და სასჯელის მიმართ? — იქნებ იმით, რომ მისი მოღვაწეობის პერიოდში ეს საკითხი ჯერ კიდევ რომანტიზმიდან ფეხმოკიდებული, უკვე განვითარებული იყო; რომ ვ. ჰიუგოს არასრული იურიდიული განათლება ჰქონდა (არ გასულა ხარისხის მისანიჭებელ გამოცდებზე) ან იქნებ იმითაც, რომ მამა და სიმამარი — სამაჟდრო იუსტიციის ერთგული მსახურნი და ცოლისძმა — თავისი დროის ცნობილი იურისტი, ხშირად ესაუბრებოდნენ ამ საკითხზე?“<sup>13</sup>. მთავარი მაინც მისი ადამიანური ღირსებები, ჰუმანურობა, მოყვასისადმი სიყვარული და ღრმა პატრიოტიზმი, რამაც განაპირობა ვ. ჰიუგოს პრინციპული ბრძოლა ადამიანის თავისუფლებათვის, მისი ღირსების შეუვალობისათვის.

პ. სავეი-გაზარი აქვე გვაწვდის ცნობას, რომ მწერლის აურაცხელ ხელნაწერში, რომლებიც მის მიერვეა დასაბუთებული, სხვათა შორის, გვხვდება ასეთი სათაურიც: „სიკვდილით დასჯის შესახებ“ (მასალა განადგურებულია. აქვე ვხვდებით საპოლიტიკო და სოციალურ საკითხებს და პერიოდებად დაყოფილ წერილებსა და მიმართვებს: „გადასახლების წინ“, „გადასახლების პერიოდში“, „გადასახლების შემდეგ, რომლებიც ვ. ჰიუგოს სიცოცხლეშივე გამოქვეყნდა.

<sup>13</sup> P. Savey-Gasard, Le crime et la peine dans l'oeuvre de Victor Hugo, Paris, 1956, p. 337.

3. სავეი-გაზარი მრავალი კვლევა-ძიების შედეგად აღნიშნავდა, რომ სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით ჩვენამდე მოღწეული, ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ვ. ჰიუგოს წერილები ტაპნერის საქმეზე (ტაპნერი იყო კუნძულ ჯერსის მცხოვრები, რომელიც 1854 წელს დასაჯეს ჩამოხრჩობით, მიუხედავად ვ. ჰიუგოსა და კუნძულის მცხოვრებთა მრავალგზისი თხოვნისა) და წერილი ენეველებისადმი (1862 წ.)<sup>14</sup>.

ვ. ჰიუგოს წერილი ენეველი რესპუბლიკელებისადმი არის სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ ვ. ჰიუგოს მოქმედების კულმინაციური წერტილი; იგი გაისმის როგორც სიცოცხლის საღიღებელი ჰიზნი და ეკუთვნის არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის ხალხს, არამედ მთელ კაცობრიობას.

1862 წელს ენევის რესპუბლიკა ხელახლა იხილავდა თავის კონსტიტუციას. სხვა საკითხებთან ერთად სიკვდილით დასჯის საკითხიც უნდა გადასინჯულიყო. პირველი კენჭისყრის შედეგად სიკვდილით დასჯის კანონი ხმის უმრავლესობით (43 მომარე, 5 წინააღმდეგი) ძალაში დარჩა. ხელახალი არჩევნების მოლოდინში ენეველმა რესპუბლიკელ-პროგრესისტებმა დახმარებისათვის მიმართეს ვ. ჰიუგოს. რეფორმისტული ეკლესიის წევრმა გ. ბოსტმა ენეველი პროგრესისტების სახელით ვ. ჰიუგოს გაუგზავნა ვრცელი წერილი, სადაც დაწვრილებით. ატყობინებს სიკვდილით დასჯის საკითხთან დაკავშირებით დამფუძნებელი კრების შედეგებს და მოწიწებით თხოვს: „თქვენი ჩარევა უდიდესი ძალა და მხარდაჭერა იქნებოდა ჩვენთვის, რადგან ეს არა მარტო კანტონალური და ფედერალური, არამედ საერთო საკაცობრიო საკითხია და ყოველგვარი ჩარევა უდიდესი ძალა და მხარდაჭერა იქნებოდა ჩვენთვის. დიდი საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა დიდი ადამიანები“<sup>15</sup>.

1862 წლის 17 ნოემბერს ვ. ჰიუგომ დაუყოვნებლივ უპასუხა ენეველებს, მაგრამ, სამწუხაროდ, წერილმა დაიგვიანა, ენევის დამფუძნებელი კრება დასრულდა და კონსტიტუციაში სიკვდილით დასჯის მუხლი დატოვებულ იქნა.

1862 წლის 29 ნოემბერს ვ. ჰიუგოს ამჯერად გ. ბოსტისათვის გაუგზავნია წერილი, სადაც წერს: ჩემს მიერ გამოგზავნილ წერილს მიიღებდით 19 ან 20 ნოემბერს... ამავე დღეს წავიკითხე გაზეთ „La Presse“-ში გამოქვეყნებული შემდეგი შინაარსის განცხადება: „გ. ბოსტისადმი ენევაში ვ. ჰიუგოს მიერ გაგზავნილი წერილი სიკვ-

<sup>14</sup> P. Savy-Gasard. Le crime et la peine dans l'oeuvre de V. Hugo, Paris, 1956, p. 310.

<sup>15</sup> Oeuvres complètes de Victor Hugo, Pendant l'exil, Paris, 1883, p. 305.

დილის დასჯის შესახებ გვიან გამოქვეყნდა. ორი კვირის შემდეგ ჟენევის დამფუძნებელმა კრებამ დაამთავრა ძუშაობა. მის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია ვერ აკმაყოფილებს პოეტის მოთხოვნებს, რადგან სიკვდილით დასჯა ძალაში დარჩა, იგი გაუქმდა მხოლოდ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის“. ვ. ჰიუგო ვერ ფარავს ამ განცხადებით გამოწვეულ აღშფოთებას. ქვემოთ, იგი აიძვლებს ჟენეველებს: „არა, ჯერ კიდევ არ არის ივანი, ჩემი წერილი მეტწილად ხალხისადმი მიმართული, მან უნდა მიიღოს ახალი პროექტი და არა დამფუძნებელმა კომისიამ, რომელმაც უნდა შეიმუშაოს იგი“. ვ. ჰიუგო წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: „რესპუბლიკისათვის შეუფერებელია ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მე-19 საუკუნეში სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს, რადგან სიტყვა რესპუბლიკაში იგულისხმება ცივილიზაცია“<sup>16</sup>.

1862 წლის 17 ნოემბერს ჟენეველებისადმი გაგზავნილი ვ. ჰიუგოს წერილი დაიბეჭდა მრავალ ეურნალ-გაზეთში და აგრეთვე ცალკე — 4 ათასი ეგზემპლარის ოდენობით. 1862 წლის 7 დეკემბერს ჟენეველებმა უარყვეს კონსერვატორთა კონსტიტუციით გათვალისწინებული კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ. ეს რესპუბლიკელ-პროგრესისტთა უდიდესი ტრიუმფი იყო. ყველა ზეიმობდა. ღრმა პატივისცემითა და მაღლიერებით სავსე წერილი მიიღო ამგდარმა პოეტმა ჟენეველებისაგან: „თქვენი წერილი გადაიქცა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იარაღად, თქვენი წყალობით სიკვდილით დასჯის კანონის მოწინააღმდეგეთა რიცხვმა იმატა და ჩვენც გავიმარჯვეთ“<sup>17</sup>.

სამწუხაროდ, ვ. ჰიუგოს ხმა ყოველთვის როდი აღწევდა მიზანს. 1862 წლის 17 ნოემბერს ჟენეველებისადმი გაგზავნილ წერილში იგი სინანულით ანბობს: „მე ხშირად ვცდილვარ დავეხსნა სიკვდილისაგან თავით შორეულნი პირნიცა, ზოგჯერ ხელი შემწყობია და უფრო ხშირად კი ვერა მიქნია რა“<sup>18</sup>.

ვ. ჰიუგო ამ წერილში მოკლედ ეხება ამ უმაღლესი ზომის სასჯელის ისტორიულ მხარეს, მის სისასტიკეს და სავალალო შედეგებს. იგი მაღლიერების გრძნობით მოიხსენიებს მე-18 საუკუნის ფრანგ მწერლებს, რომლებმაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, ადამიანთა წამება მოსპეს და იქნებ მე-19 საუკუნის მწერლებმა სიკვდილით დასჯის მოსპობა შეძლონო. აქვე მოგვითხრობს სიკვდილით დასჯის თვალთ ნანახსა თუ გაგონილ რამდენიმე შემთხვევას: ჯერსის კუნძულზე ვინმე ტანერს მიუსაჯეს ჩამოხრჩობა. ვ. ჰიუგო თავგამოდებით შეებრძოლა

16 Виктор Гюго, Против смертной казни, за свободу печати (статья и речи), пер. А. Апекштейн, Киев, 1906, с. 23.

17 А. Апекштейн, Виктор Гюго, против смертной казни, за свободу печати (статья и речи), Киев, 1906, с. 25.

18 ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 8.

ამ განაჩენს — 600 ხმას თავისი მიწავერი ხმაც შეუერთა, არაერთი წერილი, მოთხოვნა გამოაქვეყნა, მაგრამ ამაოდ... ტაპნერი ჩამოახრჩვეს. მაგრამ მ. პიუგოს ტაპნერის საქმეზე გამოქვეყნებულმა წერილმა სიცოცხლე შეუნარჩუნა სიკვდილიმისჯილ კანადელ ყულიენს... სხვა ამგვარი საშინელი, მაგრამ რეალური შემთხვევებია აღწერილი ქენეველებისადმი ვ. პიუგოს წერილში სასჯელის უაზრობის, მავნებლობისა და ბარბაროსობის დასამტკიცებლად: „დევ, ყოველი გონიერი სათითაოდ იბრძოდა იმ აზრით, რომ სისხლის კანონები შეამსუბუქოს. სასჯელის შეცოტალება და განათლების გამრავლება — აი, რა უნდა იქონის იმათი დევიზი“.

ვ. პიუგო მოუწოდებს ქენეველებს: „გული გაიმაგრეთ, ხალისს ნუ დაჰკარგავთ... მაშინ, როდესაც მთელი ევროპა უკან მიდის, კარგი იქნებოდა, რომ ქენევა წინ წავიდეს... მშვენიერი საქმე იქნებოდა, რომ ქენევა მსიკვდილით დასჯის გადაგდება დიდს სახელმწიფოებს დაასწროს!“<sup>19</sup>.

ამ წერილში საუკეთესოდ ჩანს ვ. პიუგოს კაცთმოყვარეობა, მისი დიდი ბუნება, ადამიანის სამსახურისათვის მზადყოფნა და მისთვის თავდადება: „თქვენ გიჭირთ დახმარება და მე მომაკითხეთ. მაღლობელი ვარ. თქვენ მეპატიეებით და მეც თქვენკენ მოვისწრაფი...“ აი, ასეთი იყო ყველას მიმართ დიდი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. მასზე, მის ცხოვრებაზე მრავალი მოგონებაა დაწერილი და გამოქვეყნებული, რომლებშიც ვ. პიუგოს, როგორც პიროვნების, იშვიათი ბუნება, კეთილშობილება, სულგრძელობა ხაზგასმითაა გადმოცემული. უ. კლარეტის მოგონებაში ვკითხულობთ: „მე მქონდა ბედნიერება არაერთხელ მენახა პოეტი ახლოს. ყოველი შეხვედრა აღტაცებისა და ახალგაზრდული ოცნებების განხორციელება იყო ჩვენთვის. შინაურულად იგი უფრო მეტად დიდებული, ამასთან სადა, ღვთისნიერი, უკიდურესად გულკეთილი იყო... მას შეეძლო შეხვედრა, დაპყრობა, მოხიბვლა!.. („...j'ai eu bonheur de voir de près, pendant de longues années, le poète qui incarnait pour moi toutes mes admirations, les plus profondes émotions de ma jeunesse. Dans l'intimité de sa vie, il semblait encore grandir. Il était simple, cordial et bon... Il savait accueillir, conquérir et charmer“).<sup>20</sup>

ვ. პიუგოს წერილი ქენეველი რესპუბლიკელებისადმი, როგორც პროტესტი სიკვდილით დასჯის კანონის წინააღმდეგ, ცნობილი გახდა არა მარტო ფრანგი და ქენეველი ხალხისათვის, არამედ მთელი მსო-

<sup>19</sup> უფრ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 8.

<sup>20</sup> Claretie Jules, Victor Hugo, Souvenirs intimes. Paris, p. 2.



ფლიოსათვის. როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, იგი გამოქვეყნდა მრავალ ჟურნალ-გაზეთში: „Revue Bleue“, „Revue de Paris“, „La Presse“ და სხვ. ამდენად ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა ქვეყნის მკითხველი საზოგადოებისათვის. მაგალითად, 1862 წლის 17 ნოემბერს ენეველეზბისადმი ვ. ჰიუგოს გაგზავნილი წერილი იმავე წელს ითარგმნა რუსულად: „Вопрос об отмене смертной казни и письмо по этому предмету Виктора Гюго“ და გამოქვეყნდა კიდევ პეტერბურგში, „Журнал Министерства юстиции“-ის დეკემბრის ნომერში „М. З.“-ს ხელმოწერით. რუსულ თარგმანს წინ უძღვის შესავალი — სხვადასხვა ქვეყანაში სიკვდილით დასჯის გაუქმებისათვის ბრძოლის შესახებ და ვ. ჰიუგოს ენეველეზბისადმი გაგზავნილ წერილის მთარგმნელისეული მოკლე მიმოხილვა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „Вопрос об отмене смертной казни и письмо по этому предмету Виктора Гюго“ მისდევს „Случай судебной ошибки во Франции“, სადაც მოთხრობილია რომის დეპარტამენტში გამართული ბელგიელი როზალი დუაზის სასამართლო პროცესი, რომელსაც, როგორც ვ. ჰიუგო წერს გ. ბოსტისადმი მეორედ გაგზავნილ წერილში, მოჰყვა სერიოზული ცვლილებები პარიზის ციხესა და სასამართლო აპარატში. ვ. ჰიუგოს წერილმა ენეველეზბისადმი, რომელიც ის-ის იყო გამოქვეყნდა გაზეთებში, გარკვეულწილად განავითარა ეს ცვლილებები.

ვ. ჰიუგოს წერილს ენეველეზბისადმი ქართველი მკითხველი საზოგადოება გაეცნო 1863 წელს, როდესაც იგი ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მერვე ნომერში „ბ. ვ.“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნდა („ბ. ვ.“-ს ფსევდონიმის ილია ჭავჭავაძისადმი მიკუთვნების შესახებ ვეყრდნობით ალ. კალანდაძის მოსაზრებას)<sup>21</sup>. ქართული თარგმანის სათაურია „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ეპიტორ ჰიუგოს წიგნი“. რადგან თარგმანის წყარო, „Ж. М. Ю.“ 1862 г. декабрь“, მითითებულია ი. ჭავჭავაძის მიერ ნაწარმოების პირველივე გვერდზე სქოლიოში ამდენად, აღარ გახდა საჭირო ქართული თარგმანის ფრანგულ ორიგინალთან შედარება.

საერთოდ, ი. ჭავჭავაძისეული თარგმანების შესწავლით ირკვევა, რომ ქართული ტექსტი უმეტესად შემოკლებულია, ზოგჯერ ჩართულია მთარგმნელისეული კომენტარები სიტყვის ან აზრის მეტი ცხადყოფისათვის, ზოგჯერ შეიმჩნევა ამა თუ იმ ადგილის თავისუფალი თარგმანიც და სხვ. ყოველ შემთხვევაში, თარგმანის ეს მანერა, ილიას

21 ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე“, 1963, გვ. 38. 

მეორე თითქმის საგანგებოდ შერჩეული, გვაფიქრებინებს, რომ იგი ითვალისწინებს თავისი ხალხის ინტერესებს, მსოფლმხედველობას, გემოვნებას, ცდილობს თარგმანს მისცეს ქართული სინამდვილისათვის რაც შეიძლება მახლობელი ფორმა.

ვ. ჰიუგოს დასახელებული თარგმანის შემთხვევაში კი ი. ჭავჭავაძეს არ ჩაუთვლია საჭიროდ ტექსტის შეცვლა-შემოკლება, რადგან წერილის ყოველი სიტყვა ზუსტად პასუხობდა იმდონდელი საქართველოს ერთ-ერთ საჭირობოროტო საკითხს.

სიკვდილით დასჯის პრობლემის უკეთ გაცნობისათვის რუსი მთარგმნელი თავის შესავალში, რომელიც წინ უძღვის ვ. ჰიუგოს წერილის რუსულ თარგმანს, მიმართავს უფროსად „Журнал Министерства юстиции“-ს მკითხველებს: „Отсылаем читателей нашего журнала к превосходнейшему исследованию этого предмета отличным криминалистом Миттермаером, исследованию, основанному на окончательных выводах науки, успехах законодательства и опыте...“ ...და მიუთითებს სქოლიოში მიტერმაიერის შრომას გერმანულ ენაზე და იქვე მის რუსულ შემოკლებულ თარგმანს «Извлеченне из этого сочинения помещено в журнале Библиотека для чтения. 1862 г. ноябрь месяц».

ქართულ თარგმანში ეს შესავალი გადმოტანილია და ნახსენებია მიტერმაიერიც, მაგრამ არაა მითითებული მისი თხზულება, ალბათ იმიტომ, რომ ხელმისაწვდომი არ იქნებოდა ქართველი მკითხველისათვის.

აქვე შევნიშნავთ, რომ რუსი მთარგმნელის ეს შესავალი წერილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მიკუთვნებულია ილია ჭავჭავაძისადმი: „სანამ ილია ქართველ მკითხველს გააცნობდა ვიქტორ ჰიუგოს წერილის შინაარსს, ის მიმოიხილავს მოკლედ სიკვდილით დასჯის საკითხის მდგომარეობას ევროპაში. ილია აღნიშნავს, რომ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში არ არსებობს სიკვდილით დასჯის კანონი. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ამ საგანზე საყურადღებო აზრები გამოუთქვამთ მხვადასხვა მეცნიერებს, კერძოდ, ბეკარიოს, მონტესკიეს და სხვ...“<sup>22</sup>.

ი. ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თავობაზედ ვიქტორ ჰიუგოს წიგნი“ ზუსტად მისდევს რუსულ წყაროს, თუმცა ქართული თარგმანის 90-ე გვერდზე (მრავალწერტილის ნაცვლად) უნდა იყოს: «Интересно было бы посмотреть на общество, которое поведут по пути к цивилизации Эхила, Софокла, Пифагора, Пиндара Плавта.

<sup>22</sup> იხ. დ. ფანჩულიძე, ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხისათვის, 1969, გვ. 77.

ლუკრეციის, ვირგილიის, იუენალის, დანტე, სერვანტესა, შექსპირის, მილტონის, კორნელის, მოლერის და ვოლტერის! და ეს ბი რიშლიო უმერტი სო სმეხა! ვე სერეზნიე ლიუდი ზაჰოტალი ბი, ვე ვაჟნიე ლიუდი პოჟალი ბი პლეჩაი. ვოტ ბილ ბი ჰაოს. სპროსიტი უ ვევეოჟნიე სუდოვ, ვოჟნიე ლი დელო — ოტმენიე სმერტნიე კაზნი!» საფიქრებელია, რომ ეს ნაწილი ცენზურის შიერაა ამოღებული.

ილია ჭავჭავაძის ბრძოლა სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად, რა თქმა უნდა, ვ. ჰიუგოს ენეველებისადმი გაგზავნილი წერილის თარგმანითა და გამოქვეყნებით არ შემოიფარგლება. საერთოდ, ი. ჭავჭავაძის ბრძოლა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ სათანადოდაა შესწავლილი ქართველი მკვლევრების (პ. ინგოროყვა, ი. ჯიბლაძე, ს. ჯორბენაძე, ვ. ევანია და სხვ.) მიერ და აქ დაწვრილებით მას აღარ შეეცხებით.

ვ. ჰიუგოს აღნიშნული წერილის ქართული თარგმანი ჩვენ გვიანტერესებს იმ თვალსაზრისითაც, რომ ვუჩვენოთ კიდევ როდის ყოფილა დაინტერესებული ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმებით, რომელსაც მან ჯერ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ და შემდეგ 1906 წელს, სახელმწიფო საბჭოს წევრად ყოფნის დროს, ასე აქტიურად დაუჭირა მხარი.

ილია ჭავჭავაძის ინტერესი, მისი საქმიანობა უთუოდ ეხმაურება ე. ჰიუგოს შემოქმედების ზოგიერთ საკითხს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბევრი რამაა საერთო მათში, როგორც პიროვნებაში და როგორც შემოქმედში. გავიხსენოთ თუნდაც ჰიუგოსეული პროგრამა, რომლის საკითხთა უმრავლესობა (სიკვდილით დასჯის გაუქმება, ამნისტია, არჩევნების განახლება, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სავალდებულო უფასო საერო დაწესებულები და საშუალო განათლება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ამხანაგობათა თავისუფლება, გაერთიანება, პრესის თავისუფლება, მმართველობისა და თანამშემწეობის არჩევნები და სხვ.)<sup>23</sup>. მეტად აქტუალური და პრობლემური ყოფილა ილია ჭავჭავაძისათვისაც, რაშიც გვარწმუნებს მისი პუბლიცისტური წერილები, როგორიცაა: „ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსების საჭიროებაზე“ (ტ. IV, გვ. 328—330), „სამეურნეო და დაბალი სკოლების შესახებ“ (ტ. IV, გვ. 341—343), „ჩვენი ხალხი და განათლება“ (ტ. IV, გვ. 338—340), „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“ (ტ. VII, გვ. 210—227), „საქართველოდან და ქვეყნიიდან ჯარისკაცთა გაწვევის გამო“ (ტ. VII, გვ. 298—300), „პრესა და პირადობა“ (ტ. VIII, გვ. 259—263), „ერთობის საკითხი და დეპუტატთა საკრებულო“ (ტ. VIII, გვ. 339—349), „ქვეყნიის სასოფლო-

<sup>23</sup> P. Savey-Gasard. Le crime et la peine dans l'oeuvre de Victor Hugo, Paris, 1956, p. 14.

სამეურნეო საზოგადოების შესახებ (ტ. VIII, გვ. 257—261), „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ (ტ. IV), „ქირახულის მოწყვანთა გაერთიანებული აზნანაგობა“ (ტ. VII, გვ. 317—324), „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“ (ტ. VII, გვ. 485—489) და სხვა ნაწარმოებები<sup>24</sup>.

რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მყოფ საქართველოს წინაშე ილიას, როგორც ერის მეთაურის, მისია უდიდესი იყო, შესაძლებლობა კი — მეტისმეტად შეზღუდული. ილიასეული თარგმანებით ქართველი ხალხი ეცნობოდა უცხო ქვეყანას და მისი ხალხის ცხოვრებას, ინტერესებს და მისწრაფებებს. ხოლო უსამართლობისა და სიღარიბისადმი ქედმოუხრებლობა, მოწოდებები, ლოზუნგები, ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის — ყოველივე ეს, ილიას აზრით, დააფიქრებდა ქართველებს თავის ბედზე, აწმყოსა და მომავალზე. გარდა ამ განმანათლებლური ხასიათისა, თარგმანები ერთ-ერთი საშუალება იყო იმ უმთავრესის სათქმელად რომლის დაბეჭდვას ილია თავისი სახელით ვერ შეძლებდა.

### § 3. ალფონს დოდე „უაანასკანელი გასაკვეთი“, „ტიშროსი კოვხელთა შორის“

მზატვრული პროზის უბადლო ოსტატი, პოეტი და დრამატურგი ალფონს დოდე (1840—1897) XIX საუკუნის ფრანგული რეალიზმის ღირსეული წარმომადგენელია. მართალია, იგი თავისი ბუშბერაზი თანამედროვეების — გუსტავ ფლობერის, გი დე მოპასანის, ემილ ზოლასა და სხვათა მსგავსად არ გამხდარა თაობათა აზროვნების მეუფედ და არც ისე ძლიერი ყოფილა მისი გავლენა საფრანგეთის სულიერ ცხოვრებაზე, მაგრამ განუზომელია მისი ესთეტიკური მნიშვნელობა.

ა. დოდეს შემოქმედება ჰუმანურობის, სიკეთისა და კაცთმოყვარეობის სიმბოლოა. მისი პოეტური პროზა, დახვეწილი სტილი, იშვიათი, მახვილგონივრული ეპიგრაფი ერთნაირად მახლობელია ყველა ნკითხველისათვის რა ეროვნებისაც არ უნდა იქოს იგი.

ალფონს დოდე დაიბადა 1840 წლის 13 მაისს საფრანგეთის პატარა ქალაქ ნიშში. მწერლის მამა ვინსენტ დოდე წვრილი ფაბრიკანტი იყო. მწერლის დედამ, ადელინ რეინომ, გარეგნობით მიმზიდველმა, ბუნებით სათნო და მეოცნებე ქალმა პატარაობიდანვე ჩაუნერგა მომავალ მწერალს წიგნის სიყვარული. სასიამოვნო ბავშვობა სიზმარივით მალე გაქრა, ოჯახი გაღარიბდა და იძულებული შეიქმნა მიეტოვებინა საყვარელი კარნიდამო და დასახლებულიყო ლიონის ღარიბთა უბანში. პატარა ალფონსი ადგილობრივ კოლეჯში მიაბარეს. თავდაპირველად

<sup>24</sup> ილია კ ა ე კ ა ე ა ძ ე, პ. ინგოროვას რედაქციით, 1961.

მასწავლებელი და ამხანაგები აბუჩად იგდებდნენ ღარიბ ბიჭუნას, შემდეგ კი თავისი წარჩინებული სწავლით ყველას ყურადღება მიიქცია. ამ პერიოდში თანდათან ყალიბდებოდა ალფონს დოდეს პოეტური ბუნება. მისი პირველი ლექსები არაერთხელ გამოქვეყნდა ადგილობრივ გაზეთებში. კოლეჯის დამთავრების შემდეგ 17 წლის ა. დოდე გავზავნილ იქნა მასწავლებლად პატარა ქალაქ ალოეში, სადაც მან მხოლოდ



ალფონს დოდე

ორი წელი დაჰყო. იგი ვერ შეეწყო იქაურ მძიმე და უინტერესო ცხოვრებას და მალე გაემგზავრა პარიზს, სადაც მისი უფროსი ძმის ერნესტ დოდეს დახმარებით დაიწყო მუშაობა ერთ-ერთი გაზეთის გამომცემლობაში. პარიზში ცხოვრება ორივე ძმისათვის მძიმე აღმოჩნდა მატერიალური ხელმოკლეობის გამო: „მე მგონი გადავიტანე ყველაფე-

რი, რისი ატანაც შეიძლებოდა, ვშემშილობდი მთელი დღეების განმავლობაში“<sup>25</sup>.

საბედნიეროდ, ამ მძიმე პირობებმა ვერ შეუშალეს ხელი მისი პოეტური ნიჭის განვითარებას. 1858 წელს დაიბეჭდა ა. დოდეს პირველი ლექსთა კრებული „მიჯნურები“ („Les amoureuses“). კრიტიკა დიდსულოვნად შეხვდა მწერლის ამ წიგნს, უფრო მეტიც, ქებიტაც კი მოიხსენიეს რადგან მასში დაინახეს ალფრედ დე შიუსეს ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. ალფონს დოდეს ძალიან უყვარდა პოეზია, მხად იყო მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა „ოქროს რითმებისა და ჯღერადი სტრიქონებისათვის“. თუმცა, მისი შემოქმედების უმთავრესი ნაწილი პროზას დაეთმო.

ა. დოდეს პირველი პროზაული ნაწარმოები დაიბეჭდა გაზეთ „ფიგაროში“. 1859 წელს გამოიცა დოდეს ლექსების მეორე და უკანასკნელი კრებული. 1861 წელს კი — „პროვანსული მოთხრობები“. მწერლის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მსახურობდა ჰერცოგ დე მორნის კარზე პირად მდივნად.

ა. დოდესათვის ყველაზე დიდი სიამოვნება მოჰქონდა თეატრისათვის მუშაობას. მან დაწერა რამდენიმე პიესა: „თეთრი მანაჟი“, „უკანასკნელი კერპი“ და სხვ.

„წერილები ჩემი წისქვილიდან“, რომელზედაც ავტორი დიდხანს მუშაობდა, საუკუნის შედეგებადაა მიჩნეული. ის გამოიცა ცალკე წიგნად. ეს შესანიშნავი ტრილოგია ავტორმა თავის მშობლიურ პროვანსს მიუძღვნა. ა. დოდეს ამ პერიოდისათვის შექმნილ ნაწარმოებებში უკვე შეინიშნებოდა მომავალი რომანისტიკისათვის დამახასიათებელი თვისებები: დაკვირვების დიდი უნარი, ენამახვილობა, ძლიერი მგრძობელობა, ბრწყინვალე სტილი, მხატვრული სახის გამოკვეთის უნარი (არსებობს მისი გერონტი ქიქოძისეული ქართული თარგმანიც: თბილისი, საბლიტგამი, 1952 წ.).

უკვე საკმაოდ ცნობილ მწერალს თანამშრომლობას თხოვდნენ პარიზის პოპულარული გაზეთები, მაგრამ მწერლის გულისყური თეატრისაკენ იყო მიპყრობილი. მან თავისი ცნობილი მოთხრობების ციკლიდან — „წერილები ჩემი წისქვილიდან“ — ამოიღო მოთხრობა „არსებელი ქალი“ და გადააკეთა სამაქტიან პიესად, რომელზედაც მუსიკა დაწერა ეორჟ ბიზემ. ეს იყო არა მარტო პიესისა და მუსიკის ავტორთა, არამედ მთელი თეატრის ტრიუმფი.

თავდაუზოგავმა მუშაობამ თავისი დადი დაასვა ა. დოდეს ჯანმრთელობას. ექიმის რჩევით ის გაემგზავრა ალყირში. იქ მიღებულმა შთა-

<sup>25</sup> A. Daudet, Oeuvres complètes illustrées, „trente ans de Paris“, Paris, 1929—31.

ბეჭდილებებმა გაახსენეს ა. დოდეს პროვანსში გატარებული ბავშვობა. მან შექმნა პროვანსელი მონადირის ტარტარენ ტარასკონელის შეუღარებელი სახე, რომელმაც უკვდავყო საბოლოოდ ა. დოდეს სახელი („ტარტარენ ტარასკონელის“ ქართული თარგმანი ეკუთვნის ივ. მაკავარიანს, ტფ. „ქართული წიგნი“, 1931 წ., ხელმოკრედ გამოიცა 1974 წ. „ნაკადულის“ მიერ, თბ.).

მეორე იმპერიის დაცემისა და გერმანელთა შემოსევის მძიმე დღეებში (1871 წ.) ა. დოდემ თავი გამოიჩინა, როგორც სამშობლოსათვის თაყვანისმცემელმა მებრძოლმა. მან ომის თემას მიუძღვნა მთელი რიგი პატრიოტული ზასიათის ნაწარმოებები, რომელთაგან აღსანიშნავია ორშაბათის მოთხრობები“ (1873 წ.).

1867 წელს ა. დოდემ ცოლად შეირთო მწერალი ქალი ყიული აღარი, უაღრესად გულთბილი და სათნო ადამიანი, რომელიც დიდ დანაშაულებას უწყევდა მუხლს ლიტერატურულ საქმიანობაში. ასეთ პირობებში შეიქმნა ა. დოდეს პირველი ავტობიოგრაფიული ზასიათის რომანი „კაცუნა“ (1868 წ.). ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი ეკუთვნის თინათინ ქიქოძეს (თბ., საბლიტგამი, 1954; მეორედ გამოიცა 1983 წ., თბ., „ნაკადული“).

რომანში „უმცროსი ფრომონი და უფროსი რისლერი“ აღწერილია პარიზული ცხოვრება, მისი თანამემამულეების ზნე-ჩვეულებანი. ეს რომანი ითარგმნა მრავალ ენაზე. ამას მოჰყვა პარიზული ცხოვრების ამსახველი სხვა რომანებიც: „ნუმა რუმესტანი“, „ნაბობი“, „ევანგელისტი“, „საფო“, „უკვდავი“ და სხვ. ა. დოდემ დღეში 17 საათს მუშაობდა. „მე სამართლიანად დავისაჯე, რადგან მეტისმეტად მიყვარდა სიცოცხლე“ — უთქვამს მწერალს სიყვდილის წინ.

ა. დოდემ გარდაიცვალა 1897 წლის 4 დეკემბერს.

ა. დოდეს ნაწარმოებთა სიუჟეტები აღებულია სინამდვილიდან. ის რეალისტური სამყაროს შეუღარებელი მხატვარია. მის რომანებში არის ღიმილი და ცრემლები, თანაგრძნობა და სიყვარული. იგი მოგვითხრობს ცოცხალი იუმორით. ა. დოდეს ყურადღება მიმართულია პიროვნებისადმი, მისი შინაგანი სამყაროსადმი, ხალხი ან საზოგადოების ესა თუ ის ნაწილი მის შემოქმედებაში მხოლოდ გარკვეულ ფონს ქმნის ცალკეული ლიტერატურული პერსონაჟის უკეთ გამოჩინებისათვის. მწერლის ნაწარმოებებში გამოჩენილი ადგილი უჭირავს პატიოსან ადამიანს, უანგარო მეგობარს, ერთგულ მუხლს.

ა. დოდეს ყველა რომანს ერთნაირი წარმატება როდი ხვდა წილად. მისი უკანასკნელი ნაწარმოებები, რომლებიც დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ (1895—1898 წწ.), არ მიეკუთვნება საუკეთესო რომანთა რიცხვს, რადგან, როგორც ფრანგი კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომანებში ჭარბობს იმპროვიზაცია, ზასიათთა მომეტებული სანტიმენ-

ტალობა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს მის ნათელ შემოქმედებას.

ა. დოდეს შესანიშნავია არა მარტო ნიჭით, ამოუწურავი შრომისუნარიანობით, არამედ თავისი კეთილშობილებით, დაძოჟყიდებელი ხასიათით, სიწმინდითა და სამართლიანობით. ის იყო არა მარტო გამოჩენილი მწერალი, არამედ მამულისაღმი თავდადებული, მოსიყვარულე გულსა და პატრიოტული სულისკვეთების ადამიანი<sup>26</sup>.

1877 წელს პეტერბურგულმა ჟურნალმა „Живописное обозрение“-მ ალფონს დოდეს პირველად წარუდგინა რუს მკითხველს ასეთი დახასიათებით: „Между современными французскими романистами особенно ярко выделяется симпатичная личность молодого, даровитого писателя Альфонса Додэ, принадлежащего к реальной школе, начало которой сложено Стендалем (Анри бейль) и Бальзаком“<sup>27</sup>.

ამის შემდეგ ფრანგი მწერლის სხვადასხვა სტატიის, რეცენზიისა თუ თხზულებათა თარგმანების წყალობით რუსი მკითხველი საზოგადოება უფრო დაწვრილებით გაეცნო მის ცხოვრებასა და შემოქმედებას. ა. დოდეს შესახებ იბეჭდებოდა პეტერბურგის თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთში. განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ამ შემოქმედის მიმართ ჟურნალები: „Живописное обозрение“, „Дело“, „Читатель“, „Жизнь“, „Отечественные записки“, „Новости Журнала Иностранной литературы“.

1877 წელს პეტერბურგში გამოქვეყნდა „СДБ“- (Современная детская библиотека) გამოაქვეყნა „Рассказы Альфонса Додэ“. ამ კრებულში შედის რამდენიმე მოთხრობა, მათ შორის „Последний урок, рассказ маленького Альзасца“. ეს არის მცირე ნაწილი ა. დოდეს პოპულარულ მოთხრობათა ორნ.წილიანი კრებულისა „ორშაბათის მოთხრობები“ („Contes du lundi“), რომელიც შემდეგში რუსულად სრულადაც გამოიცა, როგორც ცალკე, ისე ა. დოდეს თხზულებათა ტომეულებში.

ა. დოდეს ამ ორმოცზე მეტ მცირე ზომის მოთხრობაში ნათლად ჩანს მისი ცხოველი ინტერესი სოციალური საკითხებისადმი, ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისადმი. იგი ამხელს ნაპოლეონ III-ის რეჟიმს, მის უნიჭო გენერლებს, ანგარებიან მსახურებს და საზოგადოების სხვადასხვა ფენის სულმოკლე ადამიანებს, რომლებიც თავიანთი პირადი

<sup>26</sup> Jules Claretie, Célébrités contemporaines, Paris, 1882.

<sup>27</sup> ჟურნ. „Живописное обозрение“, СПб., 1877, № 31, с. 72.



ინტერესებისათვის სამშობლოს დაღატაკ არ თაქილობენ. ავტორი აქვე მოგვითხრობს ფრანგი ხალხის პატრიოტულ სულისკვეთებაზე, მის საპაგალითო მამაცობაზე.

მოთხრობაში „უქანასკნელი გასაკვეთი“ (La dernière classe) ე. დოდე მოგვითხრობს პრუსიელთა მიერ 1870-იან წლებში დაპყრობილ ელზასში ფრანგული ენის უქანასკნელი გაკვეთილის შესახებ. მოწაფეებმა იციან, რომ ამერიდან სწავლება მხოლოდ გერმანულად ექნებათ და გულმოკლული ელზასელები თითქოს ეთხოვებიან მშობლიურ ენას. მოხუცმა და პირქუშმა მასწავლებელმა გამელმა უქანასკნელი გაკვეთილი პატრიოტულ მოწოდებად გადააქცია. მან ცნობილი პროვანსელი პოეტის ფრედერიკ მისტრალის სიტყვებით გადმოსცა თავისი მოწოდება.<sup>28</sup> „Quand un peuple tombe esclave. tant qu'il tient bien sa langue? c'est comme s'il a la clef de sa prison“ (შეადარეთ ქართულ თარგმანს: „და თუ ვინმე მონობის ქვეშ ჩავარდება, მისთვის სამშობლო დედა-ენა უკეთესი ღონეა, რომ უბედურებიდამ თავი იხსნასო“)<sup>29</sup>.

მოთხრობა „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ („La Turco de la commune“) ომის თემაზეა დაწერილი: ახალგაზდა აფრიკელ მეომარს, საფრანგეთის არმიის ერთგულ და თავდადებულ ჯარისკაცს კადურს თავის მხრებზე გადააქვს საფრანგეთის ჯერ გარეშე და შემდეგ შინაური ომების სიმძიმე. სამშობლოს ხილვა ოცნებად გადაქცევია დ ამის მოსაგონრად მხოლოდ დაფი შერჩენია, რომელსაც დაუტრავს თუ არა, თვალები ცრემლებით ევსება. მოთხრობა ნაღვლიან ღიმილს იწვევს მკითხველში. კადურს ერთგულებისა და თავგანწირვის წილად უღმობელი განაჩენით უსპობენ სიცოცხლეს.

„СДБ“-ს მიერ გამოცემულმა ზემოაღნიშნულმა წიგნმა „Рассказы Альфонса Додэ“ მეტად უცნაური შეფასება მიიღო ჟურნალ „Дело“-ს რედაქციისაგან: «...рассказы его менее всего могут быть понятны русским детям. Все они посвящены чувствам француза после войны 1871 года... что, спросим мы, может вынести из такого чтения ребенок? Сугубую ненависть к иноземцам вообще? Воспитать в себе патриотизм, любовь к родне на том основании, что на нее может напасть неприятель? Та же самая книга для взрослого будет интересна, как свидетельство о настроении духа побежденного народа... К чему же давать это патологическое исследование, которого он не поймет»<sup>30</sup>.

<sup>28</sup> A. Daudet, „Contes du lundi“. Paris, 1877.

<sup>29</sup> ჟურნ. „ივერი“, № 6, 1877, გვ. 9—12.

<sup>30</sup> ჟურნ. „Дело“, 1878, с. 364.

„СДБ“-ს ეს რეცენზია ნათელს ხდის, თუ რატომ დაინტერესდა ილია ჭავჭავაძე ა. დოდეს ამ ორი მოთხრობის — „უკანასკნელი გასაკვეთი“ და „ტიურკოსი კოჭუნელთა შორის“ — ქართულად თარგმნის შესახებ. ილია ჭავჭავაძე მიხვდა, რომ ფრანგი მწერლის ამ პატარა მოთხრობებით ბევრ რამეს ეტყოდა, ბევრ რამეს მიანიშნებდა ქართველ მკითხველს, რომ მათი სიუჟეტი განსაკუთრებით გულსმოსახვედრი და მახლობელი იქნებოდა მათვის.

ა. დოდეს აღნიშნულ მოთხრობათა — „უკანასკნელი გასაკვეთი“ და „ტიურკოსი კოჭუნელთა შორის“ — ილია ჭავჭავაძისეული ქართულ თარგმანები პირველად დაიბეჭდა „ივერიის“ 1877 წლის № 6-სა და 1879 წლის № 2-ის ფურცლებზე და შევიდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის მესამე ტომში. სამწუხაროდ, ილია ჭავჭავაძის არც ერთ მომდევნო გამოცემაში (მ. გედევანიშვილის 1914 წლის გამოცემა, პ. ინგოროყვას გამოცემები) არ შესულა ა. დოდეს აღნიშნულ თხზულებათა ილიასეული თარგმანები.

ა. დოდეს შემოქმედების თავისებურებამ, კერძოდ ეროვნულმა სულისკვეთებამ, გულლია თხრობამ, ხალასმა იუმორმა, ფაქიზმა გრძობებმა, თუ სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობეს მწერლის ესოდენ დიდი პოპულარობა ჩვენს ქვეყანაში. ძნელად მოიპოვება ვ. ჰიუგოს გარდა ფრანგი მწერალი, რომელსაც XIX საუკუნის ქართველი მკითხველი საზოგადოების ამგვარი დაინტერესება გამოეწვიოს. 1875 წლიდან 1903 წლამდე თბილისში გამოქვეყნდნულ ურნალ-გაზეთებში (მოამბე“, „კვალი“, „ჯეჯილი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „დროება) გაჟღერებული იბეჭდებოდა ა. დოდეს მრავალი თხზულების ი. ჭავჭავაძის, ან. თუმანიშვილის, ეკ. გაბაშვილის, ს. მესხის, ივ. მაჭავარიანის, ი. ახალშენიშვილის, ა. ფრონელის ეკ. ლვინიაშვილის, ექ. მიქელაძის, თ. სახოკიას და სხვათა თარგმანები.

1897 წლის დეკემბერში გაზეთები „ივერია და „ცნობის ფურცელი“ მწუხარებით აუწყებდნენ ქართველ მკითხველს ა. დოდეს „უეცრივ გარდაცვალებას“.

ა. დოდეს მოთხრობის „La dernière classe“ რამდენიმე ქართული თარგმანი არსებობს: პირველი თარგმანი დაიბეჭდა 1875 წელს „დროების კალენდარში“, (გვ. 11—17), მეორე, ილია ჭავჭავაძისეული თარგმანი, 1877 წელს „ივერიაში“ № 218-ის ფურცლებზე.

ამ მოთხრობის ილიასეული თარგმანი ორიგინალიდან არ მომდინარეობს: და არც რუსული თარგმანის სიზუსტე ახლავს; იგი შემოკლებულია, რადგან მთარგმნელი ერთ მთავარ და მნიშვნელოვან ხაზს მიყვება — რამაც შეიძლება მკაფიოდ აჩვენოს ელზასელი ხალხის მწარე ხვედრი, სამშობლოს დამონებით გამოწვეული ტკივილი და მწუხარება.

ა. დოდეს მოთხოვნათა — „უკანასკნელი გასაკვეთი“, „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ — ილიასეული თარგმანების წყაროს გამოსარკვევად ჩვეულებრივ მივმართეთ ფრანგულ ორიგინალს და მათ რუსულ თარგმანებს. შედარებამ მეტად საინტერესო ფაქტის წინაშე დაგვაყენა.

„უკანასკნელი გასაკვეთის“ ქართული თარგმანი შესრულებულია რუსული თარგმანისაგან, რომელიც უკვე არსებობდა და ხელმისაწვდომი იყო ილიასეულ ილიასათვის, ხოლო „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ ძირითადად ფრანგული ორიგინალიდან არის გადმოთარგმნილი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ეს ნაწარმოები ა. დოდეს არც ერთ ჩვენთვის ცნობილ აღრიხედულ რუსულ გამოცემაში არ არის შეტანილი. „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ ქართულ თარგმანს იმდენად ბუნებრივი იერი აქვს მოცემული, რომ აფრიკელ კიდურზე კი ათა, უნებლიედ იმ ქართველზე გაფიქრებინებს, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა უცხო ქვეყანაში, უმადურად სწირავდა თავის სიცოცხლეს სჯათა დიდებას, და საშობლოს გახსენებაზე კადურსავით ცრემლი სდროდა.

„ტიურკოსი კომუნელთა შორის“ ქართული ტექსტი ორიგინალთან შედარებით შემოკლებულია. მთარგმნელი გვერდს უვლის ნაწარმოების თითქმის ყოველ გვერდზე წინადადებებს ან მთელ აბზაცს, რასაც ვერ ვიტყვით რუსულ თარგმანზე, რომელიც სიტყვასიტყვით მისდევს ორიგინალს. მიუხედავად ქართული ტექსტის სიმცირისა, გარკვევით ჩანს მისი მსგავსება ორიგინალთან.

გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს.

1. „Si vif, si remuant, que les balls ne savaient où le prendre“ (ისეთი ცოცხალი და მოძრავი იყო, რომ ტყვიამაც არ იცოდა სად მოხვედროდა).

... ისეთი ცოცხალი და მძრავი იყო, რომ ტყვიამაც არ იცოდა საიდან მიჰკარებოდა<sup>31</sup>

... живой, подвижный, недоступный ядрам.

2. Quand on lui parlait, il souriait et montrait ses dents. C'est tout ce qu'il pouvait faire, car notre langue lui était inconnue...

(როცა გამოელაპარაკებოდნენ, იცინოდა და აჩენდა ხოლმე თავის კბილებს, ესღა შეეძლო, რადგან ჩვენი ენა მისთვის უცნობი იყო).

... თუ დაელაპარაკებოდა ვინმე, გაიღრიჰებოდა და კბილებს წამოჰყრიდა, მეტი კი ვერა შეეძლო რა, რადგანაც ჩვენი ენა არ ესმოდა.

Когда с ним заговаривали, он улыбался, показывая свои ослепительно белые зубы. Это был единственно доступный

<sup>31</sup> ფრანგილებში მოყვანილია ჩვენი უნიკალური თარგმანი.

ему способ выражения своих чувств, так как он не знал нашего языка.

3. De temps en temps quand il s'ennuyait trop, on la lui apportait sur son lit .. (დროდადრო, როცა ძალიან მოიწყენდა, მიუტანდნენ ხოლმე საწოლში დაფს).

... ხანდახან, როცა კადური მეტისმეტად მოწყენილი იყო ხოლმე, მიუტანდნენ ქვეშაგებში დაფს...

Время от времени, когда тоска овладевала им, ему приносили этот дербук.

4. Ses yeux se mouillaient à quelque aubade musulmane, sa narine se gonflait...

... (თვალები ეცრემლებოდა რომელიმე მუსულმანურ ჰანგზე, ნესტოები ებერებოდა).

... ხან რომელსამე თაარულს ხმას შეუწყობდა, მაშინ თვალში ცრემლი მოერეგოდა, ნესტოები გაებერებოდა...

... Он играл одну из арабских серенад и в глазах его блеснули слезы, и грудь высоко поднималась...

5. Le voilà parti son tambour sur le dos en quête de sa compagnie.

(აი, ისიც მიემგზავრება ზურგზე დაფით თავისი ჯარის საძებნელად...)

აი, გადიდო ზურგზედ თავისი დაფი და გასწია თავის ჯარის მოსახებად.

В один прекрасный день Кадур вышел, наконец из больницы с дербуком на спине, рассчитывая найти свой полк.

6. Il aurait voulu se battre faire parler la poudre

(მას ბრძოლა სურდა, უნდოდა ტყვია აელაპარაკებინა).

ომი სწყუროდა, ჰსურდა აელაპარაკებინა თვით თოფის წამალი.

Ему хотелось драться, чувствовать запах пороха.

7. Le ministère était en émoi, tout le monde courait, s'enfuyait. Machinalement il fit comme les autres sauta sur son cheval et suivit l'état major.

(სამინისტრო აღელვებული იყო. ყველა გარბოდა და განობოდა. კადური უნებლიედ ისე მოიქცა, როგორც სხვები. შეახტა ცხენს და შტაბს დაედევნა).

სამინისტრო დიდ დელევაში და ფაცა-ფუცში იყო; ყველანი გარბოდნენ. კადურიც სხვებს აჰყვა, ცხენს მოახტა და შტაბს უკან გამოუდგა.

Весь лагерь был в движении, все собирались бежать. Машинально он вскочил на лошадь и последовал за штабом.

8. Les rues étaient pleines de clairons affolés, des bataillons en débandade. On déparait, on barricadait

(ქუჩები სავსე იყო დაფეთებული მებუკეებით, დაფანტული ბატალიონებით; ქვაფენილს ყრიდნენ, ბარიკადებს აკეთებდნენ).

... ნახა გონებადაბნეული მებუკენი, აქა-იქ დაჭაჩსული ბატალიონები... მოკირწყულულ ქუჩებს აცლიდნენ. სანგლებს აკეთებდნენ.

На улицах была невообразимая суматоха, батальоны бежали в беспорядке, трубили неистово в рожок.

9. Debout sur la berricade fier et voyant comme un drapeau, il se battait avec des bonds, des cris, sous une grêle de mitraille.

(ბარიკადზე შემდგარი ამაყი და თვალსაჩინო, როგორც დროშა, ის ომობდა უთავბოლოდ, კიეინით ტყვიის სეტყვის ქვეშ).

კადური შედგა სანგალზედ თავმოწონე და თვალსაჩინო, როგორც დროშა, და ომობდა გიჟურად და კიეინით ტყვიის წვიმის ქვეშ.

Гордо выпрямившись на баррикаде, точно знамя он защищал ее, подпрыгивая и испуская дикие крики под градом картечи.

მოთხრობის „უკანასკნელი გასაკვეთის“ ქართული, ილიასეული თარგმანი მოსდევს რუსულ თარგმანს (1877). ამ მსგავსების თვალსაჩინოებისათვის მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

...белое, отлично выглаженное жабо...

1. Son jabot plissé fin .. (მისი ნაკეცებიანი თხელი ქაბო...).

...

... ჩინებულად გაუთოებელი პერანგის საყელო უჩანდა.

2. Pauvre homme. C'est en l'honneur de cette dernière classe qu'il avait mis ses beaux habits du dimanche, et maintenant je comprenais pourquoi ces vieux du village étaient venus s'asseoir au bout de la salle. Cela semblait dire qu'ils regrettaient de ne pas y être venus plus souvent, à cette école.

Бедный, теперь я понял, почему наши старики поселяне пришли послушать наш урок. Своим присутствием они как бы заявляли ему свое сожаление, что не чаще посещали школу.

საწყალი, ეხლა კი მივხვდი, რისთვისაც ჩაეცვა ახალი ტანსაცმელი და რისთვისაც მოსულიყვნენ ჩვენი მოხუცებული სოფლელები. თურმე უკანასკნელი ფასაკვეთის მოსასმენლად მოგროვილიყვნენ...

3. Que n'aurai-je pas donné pour pouvoir dire tout au long cette fameuse règle des participes, bien haut, bien clair, sans une faute .

Как мне тогда хотелось с начала и до конца, без ошибки объяснить все прекрасные правила о причастиях...

4. მ. იამანიძე

რა რიგად მინდოდა, რომ თავიდან ბოლომდე შეუტელომლად ამე-  
ტანა შშვენიერი წესები ჩვენს თანდებულსა.

4. Je restais debout à me balancer dans mon banc.

Я стоял как пень подле своей скамьи.

როგორც კეტი ისე ვიდექი ჩემს ადგილას...

5. .. qu'il ne mettait que les jours d'inspection..

...которую он надевал по особнным случаям или ревизи-  
онные дни...

... რომელსაც ინტრავდა მხოლოდ განსაკუთრებულს შემთხვევაში  
მაგალითად. როცა უფროსი ეწვეოდა სანაწავლებლის გასახჩრევად.

„უკანასკნელი გასაკვეთი“ ქართულად სასიამოვნოდ იკითხება.  
ტექსტი ხარღვიანი ქართული გამოთქმებითაა გამდიდრებული:

1. Le temps était si chaud si clair:

— Было так жарко и так ясно!

— ასე თბალოდა, ასეთი ნათელი იყო ქვეყანაზედ მოფენილი!

2. Ces quelques paroles me bouleversèrent

Эти слова тронули меня до глубины души.

ეს სიტყვები, როგორც ისარი ისე მეცა გულს.

3. Tous les jours on se dit Bah! J'ai bien le temps. J'ap-  
prendrai demain et puis tu vois ce qui arrive... Ah! ça été le  
grand malheur de notre Alsace de toujours remettre son instriction  
à demain.

Ты думаешь: ничего! завтра выучу. А теперь смотри, что  
случилось... Да, откладывать свое учение до завтра принесло  
несчастье нашему Эльзасу.

იქნება შენა ფიქრობდე: ეჰ, ეგ არაფერია! თუ დღეს არა, ხვალ  
ხომ ვისწავლიო! აი, ხომ ხედავ რა მოხდა... დიახ, მაგ დღე-ხვალობამ,  
სწავლის გადადებამ სახვალიოდ გააუბედურა ალზასი.

4. Quel crève-cœur ça devait être pour ce pauvre homme de  
quitter toutes ces choses!

Должно быть у него сильно болело сердце, когда он ду-  
мал о том, что приходится все это покинуть...

უსათუოდ ძალიან უკვენსდა, ძალიან მსტიკიოდა გული, რომ ყო-  
ველს ამას თავი უნდა დაანებოს.

ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგული ლიტე-  
რატურის საუკეთესო ძეგლებს — როგორც მხატვრულს, ისე ფილოსო-  
ფიურს, ეკონომიკურს, პუბლიცისტურს, კრიტიკულს და სხვ., ხოლო  
თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც მკითხველს გააცნობდა  
არა მარტო ფრანგი ხალხის ცხოვრებას, მის ინტერესსა და მოსწრა-  
ფებებს, არამედ დაფიქრებდა კიდევ თავის მდგომარეობაზე, უცხო  
ხალხის კირ-ვარამის ჩვენებით გაახსენებდა საკუთარ ტკივილებს.

ალექსი ბუვიე (Alexis Bouvier) არ მიეკუთვნება იმ მწერალთა რიცხვს, რომლებიც სიცოცხლეშივე დიდების გვირგვინს იღებენ ან უკვდავების კვარცხლბეკზე აღიან. იგი არც იმ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, სიკვდილის შემდეგ რომ ალაპარაკებს ხოლმე მკითხველ საზოგადოებას. თითქოსდა უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ა. ბუვიე



ალექსი ბუვიე

საფრანგეთში ჯერ კიდევ არ გამხდარა მკვლევართა საგანგებო შესწავლის საგნად, მაშინ როდესაც რუსეთსა და საქართველოში მისი თანამედროვენი თარგმნიდნენ და აცნობდნენ ა. ბუვიეს ნაწარმოებებს მკითხველთა ფართო წრეებს.

ა. ბუვიე დაიბადა პარიზში 1836 წელს, ლარიბი მუშის ოჯახში. მშრომელ ადამიანთა წრეში ყოფნამ ბევრი კარგი შესძინა მომავალ

მწერალს, უკეთ დაანახა მას ცხოვრების ავ-კარგი, რამაც ასე ცხოვ-  
ლად იჩინა თავი მის შემოქმედებაში.

1862 წელს 26 წლის ა. ბუვიემ ფრანგ მკითხველს გააცნო თავისი  
პირველი მკაცრადლებული ლიტერატურული ნაწარმოები — სიმღერე-  
ბი, ლიბრეტოები და ვოდევილები.

პირველი წარმატებით ფრთაშესხმულმა ახალბედა მწერალმა ზე-  
დიზედ გამოაქვეყნა დეტექტიურ-აგანტიურული თუ სოციალური ხასია-  
თის რომანები და დრამები, რომლებშიც ნათლად ჩანს ავტორის მდი-  
დარი და ნაყოფიერი ფანტაზია. განსაკუთრებით აღსანიშნავია პოპუ-  
ლარული რომანები: „ავგუსტ მანეტი“, „კატორღელის ქორწინება“,  
„სასწრაფკეთილი ჯარისკაცები“, „უბედურება დარიბეს“, „არამზა-  
ღების კლუბი“, „დიდებული იზა“ და სხვ.

თუ გადავხედავთ 30 წლის მანძილზე (1862—1892 წწ.) ა. ბუვიეს  
მეორე გაწეულ ლიტერატურულ შრომას, შევნიშნავთ, წელი არ გავი-  
დოდა ერთდროულად რამდენიმე დიდტანიანი ნაწარმოები რომ არ  
გამოექვეყნებინა მას. ასე თავდავიწყებით მუშაობამ გარკვეული დიდი  
დასავა მის ჯანმრთელობას. ის გარდაიცვალა 1892 წელს, 56 წლის  
ასაკში, პარიზში, შემოქმედებითი აღმავლობისა და სიმწიფის პერი-  
ოდში. ფრანგმა მკითხველმა საზოგადოებამ არ დაივიწყა ა. ბუვიეს სა-  
ხელი: 1898 წელს პირველად გამოიცა მის ნაწარმოებთა 25-ტომეული,  
ხოლო 1903 წელს განხორციელდა ა. ბუვიეს თხზულებათა მდიდრუ-  
ლად ილუსტრირებული გამოცემა 25 ტომად. მიუხედავად ესოდენ  
დიდი პოპულარობისა, ა. ბუვიეს მაინც არ მიაკუთვნებენ პირველხა-  
რისხოვან ფრანგ მწერალთა რიგს.

ა. ბუვიეს რომანებს შორის „დიდებული იზა“ („La grande Isa“)  
ყველაზე დიდტანიანი ნაწარმოებია. ის შედგება ხუთი ნაწილისაგან,  
რომელთა მაღალმხატვრობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ეს წი-  
გნები, მართალია, ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენს, მაინც თი-  
თოეული მათგანი კალკე დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილე-  
ბას გვიქმნის.

„დიდებული იზას“ („La grande Isa“) შედგენილობა ასეთია:

- |                             |                         |
|-----------------------------|-------------------------|
| 1. La femme du mort         | გარდაცვლილის მეუღლე.    |
| 2. La grande Isa            | იზა.                    |
| 3. Isa Lolotte et compagnie | იზა, ლოლოტი და კამპანია |
| 4. Isa-La-Ruine             | განადგურებული იზა.      |
| 5. La mort d'Isa            | იზას სიკვდილი.          |

რომანის პირველ წიგნში — „გარდაცვლილის მეუღლე“ მოთხრო-  
ბილია, როგორ იკიდებს ფეხს მაღალ საზოგადოებაში თავისი სილა-



ზის წყალობით მაწანწალა ყმაწვილი ბოშა ქალი იზა; როგორ გახდება იგი ვრაფის გვარის შთამომავალი — იზა ზინსკი (Zintsky), შემდეგ მდიდარი ბანკირის — სეგლინის (Seglin) მეუღლე და ქვრივი. თითქმის მას მეტი საზრუნავი არაფერი არ უნდა ჰქონოდა ასეთ მდგომარეობისა და, რაც მთავარია, სიმდიდრის პატრონს, მაგრამ აქ თავს იჩენს იზას სიხარბე, ზნედაცემულობა და აღვირაბსნილობა; ამას გარდა გამდიდრების ბრმა სურვილი, რომელიც გახდა მიზეზი იმ მრავალი ბოროტმოქმედებისა, სიცოცხლეს რომ გამოასალმა ბევრი პატიოსანი, უდანაშაულო ადამიანი.

რომანის ხუთივე წიგნში ბოროტმოქმედების უშუალო ჩამდენი არის ის, ვინც ექცევა იზას სილამაზის ტყვეობაში. მოიხელთებს თუ არა მსხვერპლს თავის ტყვეობაში, იზა მოხერხებულად იყენებს მას ბნელი საქმეებისათვის, ამავე დროს, მას შეუძლია შეუბრალებლად გასწიროს ყველაზე მახლობელიც კი თავისი სიცოცხლის გადასარჩენად (გუდარი, ოსკარ დე ვერშემონი, არისტიდ ლებლანი ანუ შადი და სხვ.).

მეორე წიგნი — „იზა“, რომელსაც დედანში რომანის საერთო სახელი „დიდებული იზა“ აქვს, სესილისა და მორისის უმანკო სიყვარულის ისტორიაზე დამყარებული მსუბუქი დეტექტიურ-ავანტიურული რომანია, სადაც ავტორი განსაკუთრებული დაბეჭითებით გვარწმუნებს, რომ ადამიანის ბედნიერება გამოიხატება მხოლოდ უბიწო, თავდადებულ სიყვარულსა და ერთგულებაში, პატიონება ადამიანებისა და საქმისადმი დამოკიდებულებაში — აი, რა არის „იზას“ დადებითი გმირების (პოლიციელი გიურე, ამელი, შადი, მორისი, სესილი და სხვ.) მთავარი მამოძრავებელი ძალა.

მესამე წიგნში — „იზა, ლოლოტი და კამპანია“ — ოსკარ დე ვერშემონი, იმეამად იზას მეუღლე, დაღუპვის გზაზეა დამდგარი. იზამ გაფლანგა მისი ქონება და გალატაკებული ოსკარი, რომელიც დროზე მიხვდა მის მუხანათობას ლალატს და ბოროტ ზრახვებს, მიატოვებს იზას და მეგობრების მეშვეობით თავს დააღწევს განსაცდელს.

ბოლო ორი წიგნი — „განადგურებული იზა“ და „იზას სიკვდილი“ 1885 წელს გამოქვეყნდა პარიზში, რომელთა მთავარი პერსონაჟია არისტიდ ლებლანი, წინა წიგნებში გაცკრით რომ იყო ნახსენები.

არისტიდ ლებლანი ანუ შადი, კისფერთვალეა, სიკეთითა და ჯანღონით სავეს მშრომელი ადამიანი უექველად გახდებოდა იზას მორიგი მსხვერპლი, რომ საქმეში კომისარი გიურე და ოსკარ დე ვერშემონი არ ჩარეულიყვნენ. ა. ბუვიე ვერ ფარავს თავის სიმპათიას მშრომელი ადამიანების მიმართ და არ იპეტებს მათ გასაწირად. მაგრამ ავტორი დაუზოგავია იზას მიმართ: იზა საბოლოოდ მარცხდება, ფარდა ეხსნება მის ბნელ ცხოვრებას. ამდენი ბოროტებით თვითმკვლელობამ-

დე მისული იზა თითქოსდა სიამოვნებით ტოვებს ამქვეყნიურ ცხოვრებას.

რომან „დიდებული იზას“ ხუთივე წიგნში ა. ბუვიე მარტო იზას თავგადასავლებით არ იფარგლება, იგი ოსტატურად აღწერს იმდროინდელ პარიზს, ერთმანეთს უპიროსპირებს მშრომელი ხალხისა და მუქთახორა გარეწრების ცხოვრებას, წმინდა სიყვარულსა და ანგარებიან ბილწ გრძნობას, პატიოსანი შრომით მოპოვებულ ლუქმას და მძარცველობითა და მექრთაშობით მოხვეჭილ სიმდიდრეს.

მწერალს გასაოცარი ალღოთი აქვს შერჩეული თითოეული პერსონაჟის გარეგნული და წინაგანი ნიშან-თვისებები, მათი ურთიერთობანი.

მართალია, ა. ბუვიეს „დიდებული იზა“ არ მიეკუთვნება ფრანგული ლიტერატურის შედევრებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მან გარკვეული როლი ითამაშა ფრანგული დეტექტიური რომანის განვითარებაში.

ა. ბუვიეს ნაწარმოებები რუსეთში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. პარიზში გამოქვეყნებიდან რამდენიმე თვას შემდეგ მათი რუსული თარგმანები უკვე იბეჭდებოდა პეტერბურგის სხვადასხვა ჟურნალებსა და გაზეთებში. მაგალითად, „დიდებული იზას“ მეორე წიგნი „იზა“ პარიზში გამოქვეყნდა 1878 წელს, პეტერბურგში კი ჟურნალ „Живописное обозрение“-ში უკვე 1879 წლის იანვრიდან დაიწყო მისი რუსული თარგმანის ბეჭდვა, რომელიც იმავე წლის სექტემბერში დასრულდა.

რაც შეეხება რომანის პირველ წიგნს „განსვენებულის მეუღლე“, რომელიც პარიზში 1879 წელს გამოიცა, მისი არასრული რუსული თარგმანი უკვე იმავე 1879 წელს დაიბეჭდა პეტერბურგის ჟურნალ „Морской толк“-ის № № 22—38 დამატებებში.

„დიდებული იზას“ გარდა, რუსულად ითარგმნა და მაშინვე დაიბეჭდა ა. ბუვიეს რომანი „ჭრელი ლამაზმანი“. (La belle Grelée) (პარიზში გამოქვეყნდა 1879 წელს, ხოლო პეტერბურგში ჟურნალ „Живописное обозрение“-ში 1880 წელს). 1

1880 წელს პარიზში დაბეჭდილი რომანის „ეშაფოტის კრედიტორებს“ (Créancier de l'échafaud) რუსული თარგმანი იმავე წელს გაიცნო პეტერბურგის საზოგადოებამ. ამათ გარდა, იმავე პერიოდში რუსეთში, კერძოდ პეტერბურგში, ა. ბუვიეს ოცზე მეტი სხვა ნაწარმოებია ზედონედ თარგმნილი და გამოქვეყნებული.

ილია ჭავჭავაძის წყალობით ქართველი საზოგადოება ბევრ ფრანგ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გაეცნო. ილიას არ გამოჰპარვია იმ

დროს ესოდენ პოპულარული მწერალი ა. ბუვიე და დაუყოვნებლივ წარუდგინა ქართველ მკითხველს უფრონალ „ივერიაში“ 1879—1880 წლებში მისი ყველაზე ცნობილი რომანის „დიდებული იზას“ ერთ-ერთი ნაწილი, კერძოდ, მეორე წიგნის — „იზას“ ქართული თარგმანი. თარგმანი იბეჭდებოდა უფრონალ „ივერიის“ დამატებების სახით, ცალკე პაგინაციით, რათა საბოლოოდ მკითხველისათვის მისი წიგნად აკინძვაც მოხერხებულყოფა<sup>32</sup>.

„იზას“ თარგმანი ხელმეორედ დაიბეჭდა ილიას სიცოცხლეშივე, 1892 წელს, ილია ჭავჭავაძის თხოვნებთანა მეოთხე ტომში, ორ წიგნად<sup>33</sup>.

უკანასკნელად „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული თარგმანი ცალკე წიგნად გამოიცა 1959 წელს, რომელსაც თან ერთვის პლ. კეშელაშვას წერილი — ა. ბუვიე და მისი რომანი“ და ზ. ჭუმბურიძის შენიშვნები — „ტიქსტისათვის“<sup>34</sup>.

ა. ბუვიეს რომანის „იზას“ ვაენობისას ილია ჭავჭავაძეს, როგორც ჩანს, ენიშნა იმდროინდელი ფრანგი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებანი. ამ თარგმანის საშუალებით ილიას სურდა ქართველი მკითხველისათვის ეჩვენებინა, რომ პატიოსანი ადამიანი უსათუოდ გაიმარჯვებს ბოროტებისა და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, თუკი მას ამოძრავებს სიკეთის, ურთიერთდახმარებისა და ერთმანეთისადმი თავდადების გრძნობა.

ა. ბუვიეს რომანის „იზას“ ილიასეული თარგმანის გამოქვეყნება უფრონალ „ივერიაში“ დამთავრებული არ იყო, რომ უფრონალ „იმედში“ დაიბეჭდა ქ. აბდუშელიშვილის მიმოხილვა „ივერიის შარშანდელი IV და ამა წლის I წიგნები“, რომელშიც ვხვდებით ამ რომანისა და მისი თარგმანის უმართებულო კრიტიკას: „ნასადილევს მხარ-თემო წამოწოლილს, უსაქმო ყმაწვილ ქალბატონისათვის საკითხავად სწორედ რომ ჩინებულია, ფანტაზიით არაბულ ზღაპრებს მოვაგონებსთ. თუმცა ამ რომანს „იზა“ ჰქვიან, მაგრამ რომანი თითქმის მთლად ერთი ქალაქის მორისისა და სესილას აშოკობაა“.

და კიდევ: „ივერია თარგმნის იმისთანა საძაგელ რომანს, რომელსაც საფრანგეთში ბონაპარტის მომხრეებისა და კლერიკალების მეტი ხელს არავენ მოჰკიდებს და რომლებშიც პოლიციის მზვერავი გიურე გამოყვანილია უმანკო ტრედად“<sup>35</sup>.

32 უფრ. „ივერია“, 1879, № 3; 1880, № 4, დამატება.

33 თხზ. ი. ჭავჭავაძისა ქართვ. ამხანაგ. გამოც., ტ. IV, ტფილისი, 1892, გვ. 315—693.

34 ა. ბუვიე, „იზა“, თარგმ. ი. ჭავჭავაძისა, თბილისი, 1959, გვ. 391—392.

35 დ. აბდუშელიშვილი, „ივერიის“ შარშანდელი IV და ამა წლის I წიგნები, „იმედი“, 1881, № 1, გვ. 102—126.

„იზას“ ილიასეული თარგმანის 1959 წლის გამოცემას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თან ერთვის პლ. კეშელავას წერილი „ბუვიე და მისი რომანი „იზა“, სადაც იგი წერს: „იზა“ რომ ილიას თარგმანი იყო, მაშინ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისმა უახლოესმა მეგობრებმა იცოდნენ. ჩვეულებრივი მკითხველი და გარეშე კაცი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ათასგვარი სქემებით გადატვირთული საზოგადო მოღვაწე შესძლებდა სქელტანიანი რომანის „იზას“ თარგმანისათვის დრო ეპოვა, მაგრამ მკითხველი ფაქტის წინაშე იყო. ცხადია, ასეთ შრომას ილია გასწევდა რაღაც მოსაზრების გამო. რომანში აღწერილი პროცესები მოაგონებდნენ მას რუსეთის იმპერიის დამახასიათებელ ნიშნებს — მექრთამეობას, მლიქვნელობას, უნამუსობას“<sup>36</sup>.

პლ. კეშელავა სამართლიანად აკრიტიკებს ქურნალ „იმედში“ დ. აბდუშელიშვილის მიერ 1881 წელს გამოქვეყნებულ ზემოთ მოყვანილ მიმოხილვას: „ბონაპარტისტების ბელადის ასეთი სიმკაცრით გამოკიციხავი რომანი რატომ უნდა მოჩვენებოდა დ. აბდუშელიშვილს ბონაპარტეს მომხრეების საუკარელ წიგნად, გაუგებარია“.

ასევე საინტერესოა ფ. გოციელის შეხედულება „იზას“ ილიასეული თარგმანის მნიშვნელობაზე: „იზა“ მით უფრო სასარგებლო საკითხავ წიგნად მიიჩნია ილიამ, რომ ამ რომანში თანაგრძნობით გამოსახულია უმწიკვლო სიყვარულით გამსჭვალული, ბოლომდე ერთმანეთს ერთგული მიჯნურები, ხოლო მზილებული და დაგმობილია საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ანგარება, გამდიდრების სურვილი“<sup>37</sup>.

საინტერესოა, საიდან თარგმნა ქართულად ილიამ „იზა“ — ფრანგული ორიგინალიდან თუ მისი რუსული თარგმანიდან?

ზ. კუმბურჩიძის აზრით, „იზას“ ილიასეული თარგმანის „რუსიციზმები, აგრეთვე, ზოგი სიტყვის თარგმანი და სახელთა დაწერილობა, როგორცაა გავრი პავრის მაგიერ და სხვა, იმის მაჩვენებელია, რომ თარგმანი რუსულიდან არის შესრულებული“<sup>38</sup>.

გ. ვაჩეჩილაძე თავის წიგნში „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“ აღნიშნავს: „...ცნობილია, რომ ილიამ უცხო ენები კარგად არ იცოდა... პროფ. მ. ზანდუკელის აზრით, ილიას ასე თუ ისე უნდა სცოდნოდა ფრანგული უნა, რადგან მან თარგმნა ფრანგი მწერლის ბუვიეს რომანი „იზა“, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის დაუდასტურებია, რომ ეს თარგმანი დედნიდან არის შესრულებული და უფრო საფიქ-

36 პლ. კეშელავა, ბუვიე და მისი რომანი „იზა“, გვ. 388.

37 ფ. გოციელი, ი. ჰავაშვილის შემ-ბა ფრანგულ თარგმნით ლტ-ში, თბ., 1968 (ხელნაწერი შრომა დაუღალა ი. ჰავაშვილის თბილისის სახლ-მუზეუმში).

38 ზ. კუმბურჩიძე, (ტექსტისათვის), გვ. 391—392.

რბელია, რომ ის რუსულიდან იქნებოდა თარგმნილი, როგორც ამ დროის თარგმანთა დიდი უმრავლესობა<sup>39</sup>.

აქ საჭიროა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის შეხედულება მხატვრული თარგმანის თაობაზე: „რასაკვირველია, ყოველი მთარგმნელი უნდა იმასა სცდილობდეს, რომა გადმოიღოს სხვისი აზრი ქართულენაზე ისე, რომ ინამდვილსა და თარგმანის აზრს შორის არა იყოს არა იოტი-ლოდენა განსხვავება... მთარგმნელს უნდა ჰქონდეს შემდგომი ღირსება — უპირველესად მან უნდა იცოდეს ორი ენა... მეორეც, უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება<sup>40</sup>.

ილიას ამ სიტყვებს თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ თბილისის გიმნაზიაში მას ფრანგული ენა უსწავლია და საკმაო წარმატებებითაც<sup>41</sup>, შეიძლებაოდ გვეფიქრა, რომ ილიასათვის ა. ბუვიეს „იზა“ ფრანგულ ენაზე ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამ აზრს გვიძლიერებს ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: „კაკო ყაჩაღის“ აღრიხნდელი ვარიანტის ავტოგრაფიული ხელნაწერის (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 110) ბოლო 13—14 ფურცლებზე ილიას ზელით რუსული ყურანალებისა და წიგნების („Отечественные записки“, кн. 6, 8, 1843 г., 1859 г., „Библиотека для чтения“, 1843, Литературные прибавления „Русскому инвалиду“, т. 2, 1839, Ж. М. Н. П. 1848, № 6, „Современник“, 1847, „Иллюстрация“, 1859, Гамлет, 1928 და სხვ.) გვერდით, ჩაწერილია ფრანგული დასაზ ხელების შემდეგი გამოცემები: Эмиль Жирардель, Journal de connaissances utiles; Musée de Familles; Almanach de France; Pantheon littéraire; la Presse: Questions administratives et financières (1858). Le politique universelle (1852). La liberté (1852) „Cours du droit naturel“ par Jouffroy. „La liberté“ 1858; Le Devoir 1857. რაკი „კაკო ყაჩაღის“ ეს ხელნაწერი 1860 წლით თარიღდება და ამ ხელნაწერში ილიას მიერ ჩამოთვლილი რუსული და ფრანგული გამოცემებიც 1860 წლამდელია, გვაფიქრებინებს, რომ აღნიშნულ რუსულთან ერთად ფრანგულ წყაროებსაც სტუდენტი ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს კითხულობდა.

ა. ბუვიეს რომანის „იზას“ სამეცნიერო შედარებისას ნათელი გახდა, რომ რუსული თარგმანი წარმოადგენს ორიგინალის ადაპტაციას, უფრო მეტიც, რუსი მთარგმნელი (სამწუხაროდ, მისი ვინაობა არაა

39 გ. გაჩეჩილაძე, „მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი“, თბ., 1966, გვ. 92—93.

40 „საქართველოს მოამბე“, 1863, გვ. 86.

41 გ. ლეონიძე, ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I თბ., 1935, გვ. 563—564.

მითებული 1879 წლის უჟრნალში „Живописное обозрение“, სადაც ქვეყნდებოდა ა. ბუვიეს რომანის „იზას“ რუსული თარგმანი, ოლონდ, რადგან ფრანგულ ნაწარმოებთა თარგმანების უმრავლესობა, რომლებიც იბეჭდებოდა იმ პერიოდის შემოხსენებულ უჟრნალებში, შესრულებულია პ. ლეტნევის მიერ, შესაძლოა, რომ ეს თარგმანიც მას ეკუთვნოდეს) მიჰყვება რომანის სიუჟეტს, ზუსტად იცავს მოქმედებათა თანმიმდევრობას და ამავე დროს გვერდს უვლის ორიგინალის მხატვრულ მხარეს — პერსონაჟთა სულიერი განცხადების, პეიზაჟისა თუ პარიზის უბნების აღწერას. ფრანგული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელ სხარტ, ენამოსწრებულ დიალოგებს, ავტორისეულ კომენტარებს, განსაკუთრებით იმ ადგილებს, სადაც ა. ბუვიე უშუალოდ მკითხველს მიმართავს. იხ. გვ. 2, გვ. 4, გვ. 7—8—9, გვ. 28, გვ. 30, გვ. 183, გვ. 159, გვ. 331—332 (ლექსი), გვ. 336, გვ. 337, გვ. 522, გვ. 526—527, გვ. 528, გვ. 592, გვ. 600, გვ. 602,—603—604, გვ. 607—608—609, გვ. 668—669, გვ. 677, გვ. 682, გვ. 685, გვ. 688—689. ანის ვაჟო მკითხველი თუკი თარგმანის საშუალებით ეცნობა ა. ბუვიეს ამ შესანიშნავ რომანს, ვერ აღიქვამს მის მხატვრულ ღირსებას და, რა თქმა უნდა, მწერლურ ოსტატობას.

რაც შეეხება „იზას ქართულ თარგმანს, საგრძნობლად შეიმჩნევა მისი მსგავსება რუსულ თარგმანთან, ე. ი. ილია ჭავჭავაძის ფრანგული იმდენად არ სცოდნია, რომ რუსული თარგმანის არარსებობას შემთხვევაში პირდაპირ ეთარგმნა ორიგინალიდან, თუმცა გაპორიციზული არაა, რომ ის ორიგინალსაც გასცნობოდა, რადგან რომანი პარიზში გამოიცა 1878 წელს და იმავე წლიდან (როგორც ა. ბუვიეს სხვა რომანები) დიდი პოპულარობით სარგებლობდა პეტერბურგის იმპერატორულ საზოგადოებაში.

დავიწყოთ რომანის სამენობრივი შედარება ნაწილებისა და თავების სათაურებში მიხედვით.

„იზას“ ფრანგული ორიგინალის<sup>42</sup> შედგება ოთხი ნაწილისაგანა თითოეული ნაწილი შედგება თავებისაგან. რომანის ნაწილები და თავები დასათაურებულია, როგორც ფრანგულ ორიგინალში, ასევე მის რუსულ და ქართულ თარგმანებში. მათი შედარებისას უკვე იქმნება გარკვეული შთაბეჭდილება ქართული თარგმანის წყაროს შესახებ.

პირველი ნაწილის X თავის სათაურია ფრანგულში: „Ce qui s'était passé chez Maurice la nuit de juin et le matin“ („რა მოხდა მორისის სახლში ივნისის თვის ერთ საღამოს და დილით“).

<sup>42</sup> Bouvier A. „La Grande Isa“, Paris, 1878.

რუსულში: «что случилось с Морисом».

ქართულში: „რა დაემართა მორისსა“.

ამავე ნაწილის XI თავი ფრანგულად — „Triste adieux! Triste amours!“ („მწუხარე გამოშვებობება! სავალალო სიყვარული“).

რუსულ თარგმანში: «Горкая любовь».

ქართულ თარგმანში: „მწარე სიყვარული“.

რომანის ორიგინალის II ნაწილის სათაური: „Le crime de la rue de Lacuée“ („დანაშაული (ან ბოროტმოქმედება) ლაკუეს ქუჩიდან“). რუსულში თარგმნილია როგორც „убийство“, ქართულში — „კაცისკვლა“. ამავე ნაწილის II თავი, რომლის სათაურია „Où nous présentons enfin notre héroïne au lecteur“ („სად წარუდგენთ საბოლოოდ (რომანის გმირ ქალს ჩვენს მკითხველს“) რუს მთარგმნელს გაუყვია ორ ნაწილად და დაუსათაურებია კიდეც — II. «Почему арестовали Мориса» და III. «Героиня является на сцену». ი. ჭავჭავაძის თარგმანშიაც იგივე მეორდება: II. „რატომ დაიჭრეს მორისი“ და III. „იზა მოედანზე გამოდის“.

ფრანგული ორიგინალის II თავი „Deux graves affaires“ რუსულ თარგმანში — «Два важные дела», ქართულში — „ორი მძიმე საქმე“) გაყოფილია რუსი მთარგმნელის მიერ და რატომღაც მეორე განაყოფს ორიგინალის IV თავის სათაური აქვს: „Comment le bon Boyer savait se tirer d'affaire“ („როგორ შეეძლო ბუაიეს მდგომარეობიდან გამოსვლა“ (ან: თავის დაღწევა)) რუსულად — «Как Бойе умел выходить сухим из воды», ქართულად — „მასზედ თუ ბოიე როგორც გამოდიოდა წყლიდან დასველებელი“, ხოლო IV თავი („Comment le bon Boyer savait se tirer d'affaire“) საერთოდ არაა შეტანილი, როგორც რუსულ, ასევე ქართულ თარგმანებში.

III ნაწილის VI თავის სათაური ფრანგულ ორიგინალში „Les douleurs et les amours d'Isa“ („იზას დარდი და სიყვარული“) რუსულად გადაკეთებულია «Спаси моего брата и я полюблю тебя», ქართულად — „ძმა დამიხსენი და შეგიყვარებ“.

დედნის IV ნაწილის VII თავი: „Des singuliers titres de noblesse qu'on trouve chez M<sup>me</sup> Isa, veuve Siglin, Comtesse de Zintsky“ („უცნაური დოკუმენტები ტიტულის (აზნაურობის, კეთილშობილების) შესახებ, რომლებიც იპოვეს გრაფ ზინსკის ცოლის, სეგლენის ქვრივის, ქ-ნ იზას სახლში“), რუსულ თარგმანში გადმოტანილია, როგორც «Шифоньерка Изы», ქართულში — „ყუთი იზასი“.

ახლა რაც შეეხება რომანის ტექსტის სამენოვანი შედარებით მიღებულ სურათს.

რუსი და, შესაბამისად, ქართველი მთარგმნელი საგრძნობლად ამოკლებს დედნის ტექსტს და ამჯობინებს რამდენიმე ფრაზით გადმოსცეს ორიგინალის ზოგჯერ გაქიანურებული ადგილები:

1. „Elle marcha sur la pointe des pieds dans sa chambre, prit un manteaux qu'elle jetta sur ses épaules, sans s'inquieter comment elle était coiffée, oubliant toute coquetterie, le cerveau occupé toute entier par une grave pensée, et évitant de faire le moindre bruit, elle sortit doucement de chez elle, descendit l'escalier, passa par les ateliers et se trouva dans la rue Saint-François...“ p. 7.

«Она встала, на цыпочках подошла к шкафу, накинула себе на плечи ротонду, тихо спустилась вниз и через мастерскую вышла на улицу». «Живописное обозрение», № 1, 1879, с. 72.

„ადგა, ფეხ-აკრეფით მივიდა შკაფთან, წამოსხა წამოსასხამი, ნელა ჩამოვიდა ძირს, ქარგლებს ოთახი გაიარა და გავიდა ქუჩაში“. ეურნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 6.

2. „...les oiseaux chantent, le coq beugle, les arbres se dégagent du brouillard et dressent leurs longues silhouettes dans les gris de l'aube. Peu à peu Seine apparait, avec ses matinaux mariniers sur les bords. Ciel, terre, arbres, fleuve se dégagent ternes et brumeux... enfin crévant l'horizon, miroitant sur l'eau, scintillant à travers les feuilles, le soleil paraît.“ p. 19.

«...птицы запели, петухи огласили воздух своим хриплым голосом. Мало по малу Сена выступила из тумана. Небо, земля, вода стали выделяться на сером фоне. Наканец, на горизонте показалось и солнце». «Живописное обозрение», № 1, 1879, с. 13.

... ფრინველები გალობას მოჰყვენენ, მამლებმა თავის ხრინწიანის ხმით ყვილი დაიწყეს. თანდათან მდინარე სენა ჯანლებილამ გამოვიდა. ცა, ქვეყანა, წყალი გამოჩნდა ლურჯს პაერზედა. ბოლოს მზემაც ამოჰყო თავი“. ეურნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 15.

3. Et le plus vieux entraîna son ami au bout du salon, dans un petit fumoir organisé sur une terrasse. Il choisirent des cigares, les allumèrent, et l'un assis sur un divan, l'autre en face de lui sur un fauteuil, tous les deux accoudés sur le bord de la fenetre qui s'ouvrait sur le jardin, ils causèrent“. p. 161.

«И наши друзья поспешно направились в курильную на террасе, уселись перед окном, выходившем в сад и закурили сигары». «Живописное обозрение», № 10, 1879, с. 219.



„ჩვენმა მეგობრებმა გააწიეს და შევიდნენ ჩიბუხის მოსაწევ ოთახში, რომელიც ბალსაკენ იყო და მოუკიდეს სიგარებს“. *ქურნ. ივერია*, 1879, № 6, გვ. 123.

არაიშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ფრანგული ორიგინალის ზოგიერთი ადგილი განსხვავებულა რუსული და ქართული თარგმანებისაგან. ხოლო ეს უკანასკნელნი ზუსტად მისდევენ ერთმანეთს:

1. *Soyez tranquille, madame, c'est solide, vous pourrez danser sans crainte*“. p. 21.

«— Вы можете тонцевать, сколько хотите, и ни один волосок не шелхнется». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 39.

„ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო, უპასუხა პარიკმახერმა შევიძლიათ იტანციოთ ჩამდენიც ვსურთ, ერთი ბეწვიც არ დაიძვრის ადგილიდამ“. *ქურნ. ივერია*, 1879, № 3, გვ. 17.

2. *C'était un robuste gaillard plutôt petit que grand, bati comme un chêne, aux épaules, au cou nerveux, aux jambes d'acier pas très gentil garçon, mais l'air bon, sympathique: des cheveux blonds, des yeux bleu clair, presque gris et à fier de tête, le teint frais*“. p. 33.

«Это был коренастый молодчина, скорее малого, чем большого роста, широкоплечий, мускулистый, не очень красивый, но добродушный, с русыми волосами, голубыми глазами и свежим цветом лица». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 42.

„იგი იყო ერთი ჯმუხი ბიჭი, უფრო დაბალის ვიდრე დიდის ტანისა განიერ მხარ-ბეჭიანი, ძარღვიანი, არ იყო ძალიან ლამაზი, მაგრამ კეთილი სული იყო, მიმზიდველი, მარილიანი, ქერა თმისანი, ლურჯ-თვალეზიანი და სახის ფერი ჯანმრთელობით უღვიოდა“. *ქურნ. ივერია*, 1879, № 3, გვ. 26.

3. *„Adèle la regardait avec la visage d'une femme qui recevait une douche d'eau glacée elle ne trouvait pas un mot à répondre, tant les pensées d'Houdard la stupéfaient*“. p. 37.

«Адель смотрела на него безчувственно, холодно, как бы ничего не понимая». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 3.

„ადელმა უგრძნობლად, ცივად შეხედა თითქოს არ ესმისო“. *ქურნ. ივერია*, 1879, № 3, გვ. 29.

4. *„La grande Isa, qui paraissait très attentive, avait pris un siège, l'avait avancé près de celui du jeune magistrat, s'était assise presque devant lui: accoudée sur la table, la tête dans ses mains, elle l'écoutait, et quand celui-ci, levant la tête, sembla la consulter du regard, elle dit: — Pauve garçon!*“ p. 396.

«Выслушав внимательно это заключение, Иза села на стул против Оскара и задумалась.

— Бедный! сказала она меланхолическим тоном». «Живописное обозрение», № 28, 1879, с. 502.

„ეს რომ მოისმინა ყურადღებით, იზა სკამზედ ჩამოჯდა ოსკარის პირდაპირ და ჩაფიქრა.

— საწყალი! მსტქვა იზამ დაღონებულის ხმით“.

ჟურნ. „ივერია“, 1880, № 1, გვ. 275.

6. — Mais ce n'est pas possible, ce que vous dites-la!

— Qui oserait dire cela?

— Il ne faudrait pas qu'on parle comme ça devant moi. Exclamèrent Paillard, Amélie et Chadi.

— Vous n'empêcherez rien; et ce que je vais vous proposer évite tout cela. C'est le public et les jurés qui, les premiers pris, entraineront le tribunal. C'est simple. L'audience commence à dix heures“. p. 596.

«— Но ведь это невозможно; это будет крайне несправедливо.

— Я делаю только предложение, весьма вероятное, однакож.

— Что же тогда делать? живо спросила Амели.

— А вот что. Заседание откроется в десять часов...» «Живописное обозрение», № 34, 1879, с. 166.

„ეგ ხომ გადაუტეხელი უსამართლობა იქნება!

— მე ხომ არ ვამტკიცებ, რომ უსათუოდ ესე მოხდება-მეთქი, მე მართო იმას ვამბობ, რომ შეიძლება ესეც მოხდეს მეთქი. ადვილად საფიქრებელიც არის.

— მაშინ რაღა გვეშველება? — ჰკითხა მოუთმენლად ამელიმ.

— აი რა: საქმის გარჩევას დაიწყებენ ათს საათზედ“... ა. ბუვიე, „იზა“, წიგნი, 1959, გვ. 329.

რუსმა მთარგმნელმა ევროპული რომანი გაამარტივა, მისცა ფართო მკითხველთათვის გასაგები სახე. მაგრამ მას მხედველობიდან გამოორჩა, რომ მარტივი გაშიშვლებული სიუჟეტი შეკითხველისათვის უინტერესო იქნებოდა, აქედან გამომდინარე: „იზას“ ნაკლები პოპულარობა რუსეთში (ა. ბუვიეს მრავალ რომანთან შედარებით) მხოლოდ რუსი მთარგმნელის დამსახურებაა.

რადგან ქართული თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს რუსულ თარგმანს, ამდენად გასაგებია, თუ რატომაა ილიასეული თარგმანი შედარებით მდარე, მისი მხატვრული ნიჭისათვის ნაკლები ოსტატობით შესრულებული. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ილია ჭავჭავაძე ცდი-

ლობს მისცეს თავის თარგმანს ქართული ელფერი, უშეტეს ისეთ გა-  
მოთქმებს, როგორც არც ორიგინალშია და არც რუსულ თარგმანში:

„Dire la verité à mon père, c'est le malheur de sa vie et la  
ruine de la maison... Dire à ma mère ce que je sais, c'est plus  
affreux encore... Ma mère s'humiliant devant moi, parler à ce mon-  
sieur, cela m'est impossible, il me fait horreur, son regard est  
sale, ses gestes sont sales... Il m'inspire un degoût profond...“  
p. 11.

«Сказать отцу, значит, погубить мать и фирму... сказать  
матери, что мне все известно... еще ужаснее... сказать этому  
человеку... я не могу, он мне гадок, ненавистен. В нем все  
грязно, отвратительно... и взгляды и жесты». «Живописное  
обозрение», № 1, 1879, с. 12.

„ვეთხრა მამას, დედასა და ქარბანას ღავლეუბავ... ვუთხრა დედას,  
რომ ყველაფერი ვიცი... უარესია... უთხრა თვითონ ამ კაცს... ღონე  
არა მაქვს... ღონე, რომ ხმა გავცე. როგორც გველი ისე შეზიზღება,  
ისე მძულს, თავიდან ფეხებამდე სულ ჩირქია... ყოველსფერში საძა-  
გელი რამ არის, ქცევაში, მიხრა-მოხრაში“... უურნ. „ივერია“, 1879,  
№ 3, გვ. 8.

„C'est l'agent Boyer qui en sortant de la geôle de conciergerie,  
avait répondu au greffier, qui s'étonnait de l'air honnête et de  
l'aspect doux de celui qu'on lui livrait comme un assassin:

— Eh bien! il m'a l'air d'un malin et d'un fort“. p. 201.

«Полицейский, сказавший регистратору в Консьержери,  
удивлившемуся скромной и честной наружности Мориса Фе-  
рана, обвиняемого в убийстве, что он ему кажется ловким не-  
годяем был сыщик Бойе». «Живописное обозрение», № 13,  
1879, с. 286.

„თუ მკითხველს ახსოვს, მორისს რომ ციხეში სვამდნენ მოხე-  
ლეს, რომელმაც მორისის სახელი და გვარი დავთარში ჩაჰსწერა, ეოცა  
მორისის ავკაცობა, რა ნახა ამ ემაწვილს პატიოსანი სახე. მაშინ იქ  
ერთი პოლიციელი იყო, რომელმაც უთხრა, თქვენ ეგრე გვონიათ,  
დიდი არამზადა უნდა იყოსო. ის პოლიციელი ჩუმი-მამაცებელი ბოიე  
იყო“. უურნ. „ივერია“, 1879, № 7, გვ. 154.

ზოგჯერ კი, პირიქით, ილია მოკლედ გადმოგვეცემს დედანსა და  
რუსულ თარგმანში უფრო ვრცლად გადმოცემულ აზრს:

„En effet, c'était le commissaire qui descendit devant la porte  
du petit hôtel, suivi par trois agents de la sutête, il frappa; le coup  
retentit lugubre, portant écho comme dans les maisons vides. Aus-  
sitôt la porte s'ouvrit. le commissaire entra avec les gens qui l'ac-

«compragnait, et la porte se referma sur le nez des curieux desapointés». p. 134.

«Действительно из кареты вышел полицейский комиссар с тремя сыщиками. Он постучал в дверь, удар глухо раздался словно в пустом доме дверь немедленно отворилась, комиссар с сыщиками вошел и дверь снова захлопнулась под самым носом любопытных». «Живописное обозрение», № 8, 1879, с. 174.

„მართლაც ეტლიდამ გადმოვიდა პოლიციის კამმისარი და თან სამი ჩუმი-მაძიებელი შვიდნენ და კარი ისევ მოხურეს. უქმი ცნობის-მოყვარე ხალხი სახტად დარჩა, თუმცა კი იწვედნენ შესვლისათვის“. უტრნ. „ივერია“, 1879, № 5, გვ. 99.

„Lorsque Houdard arriva dans le pays, il faisait presque nuit, il hésitait à avancer lorsqu'il vit à quelques pas de lui une femme vêtue de loques qui, l'épaule chargée du linge mouillé, qu'elle rapportait du lavoirsement; il lui demanda: .. p. 524.

«Наступила уже ночь, когда Гудар подошел к первому дому деревни; он не знал, куда идти; туман сгустился до того, что трудно было различать соседний дом. К его счастью ему встретилась женщина, несшая на плече корзину с мокрым бельем». «Живописное обозрение», № 30, 1879, с. 79.

ბინდორეული იყო, როცა ბოიესათვის დანიშნულ მიკიტანხანასთან მივიდა. აქ ერთი დედაკაცი შეხვდა და ჰკითხა“. ა. ბუვიე, „იზა“, 1959, გვ. 286.

„Du regard il me fait signe d'éloigner ma femme de chambre; je haussai les épaules; mais il insista, je priai Justine de s'aller coucher et de nous laisser seuls.

Lorsqu'elle fut sortie je renouvelai ma question.

Alors Houdard ouvrit d'abord la porte du cabinet de toilette, pour s'assurer que personne ne pouvait l'entendre; puis, l'ayant soigneusement fermée, il revint et me dit d'une voix sourde:—C'est fait“. p. 650.

«Взглядом он просил выслать горничную, я пожала плечами, но так как он настаивал, я приказала Жюстине идти спать и оставить нас одних. Когда она вышла, я возобновила свой вопрос. Гудар отворил дверь уборной, чтобы увериться, что никто не подслушивает и, тщательно заперев ее, подошел ко мне и произнес глухим голосом: «Сделано!» «Живописное обозрение», № 36, 1879, с. 203.

„იზან მანიშნა, გოგო დაითხოვეო. გოგო გავიდა, გუდარმა ყველა კარები გასინჯა, ყურს ზომ არავინ ვეცდებდსო მერე მოვიდა და ყრულ მითხრა „გავათავეო!“ ა. ბუვიე, „იზა“, 1959, გვ. 365.

რუს მთარგმნელს დაშვებული აქვს საკმაო ჩაოდენობის უზუსტობანი, როგორც ტექსტის გაგების, ისე ზოგიერთი დეტალის, ფაქტის ან სიტყვის გადმოცემისას. სამწუხაროდ, რუსი მთარგმნელის ეს შეცდომები თუ უზუსტობანი შესაბამისად გადმოსულია ქართულ თარგმანშიც:

Dire la vérité à mon père. c'est le malheur de sa vie et la ruine de la maison

(„მამაჩემისათვის სიმართლის თქმა ნიშნავს მისი სიცოცხლის გამწარებას და სახლის დაქცევას“) გვ. 11.

«Сказать отцу, значит погубить мать и фирму...». «Живописное обозрение», № 1, 1879, с. 72.

„ვეთხრა მამას, დედასა და ქარხანას დავლუპავ“. უტრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 8.

André Houdard était un solide et grand garçon, comptait trente-cinq ans“. p. 28.

(„ანდრე ჰუდარი იყო ოჯდათხუთმეტი წლის ახოვანი ვაჟკაცი...“). უტრნ. „ივერია“, № 1879, გვ. 28.

«Это был здоровенный сильный человек лет сорока...». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 42.

„გუდარი გახლდათ ერთი ჩანჩრთელი, ღონიერი კაცი, ისე ორმოცის წლისა“... უტრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 23.

le visage, d'un ovale un peu long .. p. 29.

(„ოღნავ მოგრძო ოვალის სახე...“)

«большая голова...». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 42.

„მოდიდო თავი“. უტრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 23.

„Son père était un marinier, il demeurait chez ses parents, quai de la Gare“.

[„მამისი იყო წყალტრანსპორტის მუშაკი; ის (არისტიდი) ცხოვრობდა თავის მშობლებთან, სანაპიროზე“] უტრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 33.

«Отец его буржуа, имел некоторые средства и Аристид жил в семействе на набережном близ Аустерлицкого моста». «Живописное обозрение», № 2, 1879, с. 12.

„მის მამას ცოტაოდენი შეძლება ჰქონდა და დაეყენებინა შვილი ერთს ოჯახში, რომელიც იქაც აუსტერლიცის ხილთან იდგა“. უტრნ. „ივერია“, 1879, № 3, გვ. 26.

„Se voyant alors bien dupe, il eut un cri déchirant“. p. 622.  
(მიხვდა თუ არა თავის სიბრყვეს, მას აღმოხდა გულშემზადადი ყვირილი).

„Согласившись наконец, что он был одурачен, он с отчаянием опустил голову...». «Живописное обозрение», № 34, 1879, с. 170.

„მიხვდა, რომ გამოასტულეს და დაჰკიდა თავი“... ა. ბუვიე, „იზა“, 1959, გვ. 343.

საბოლოოდ ირკვევა, რომ ა. ბუვიეს „იზას“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი ძირითადად შესრულებულია ეჟურნალ „Живописное обозрение“-ში 1879 წლის (იანვრიდან სექტემბრის თვის ჩათვლით) გამოქვეყნებული რუსული თარგმანების მიხედვით.

სავარაუდებელია, რომ ილია ჭავჭავაძე იცნობდა ფრანგი მწერლის ა. ბუვიეს შემოქმედებას, რადგან მისი ნაწარმოებები რუსეთში ძალიან პოპულარული და ხელმისაწვდომი იყო იოლი იყო, როგორც რუსულ, ისე ფრანგულ ენაზე ი. ჭავჭავაძის არჩევანი ა. ბუვიეს სხვა ნაწარმოებთა შორის რომან „იზა“-ზე შეჩერდა. ეს შემთხვევითი არაა, რადგან აქ კარგადაა ასახული იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოების თითქმის ყველა ფენის წარმომადგენელი ევროპული ცხოვრების ამსახველი და ამასთანავე დეტექტიური რომანი ქართველი მკითხველისათვის ახალი და საინტერესო იქნებოდა.

## § 5. შიშულ კლარეტი, „ნოელ რამბერი“

XIX საუკუნის ფრანგი ეჟურნალისტი, რომანისტი, დრამატურგი, ისტორიკოსი, თავისი ქვეყნის დაუღალავი მემკვიდრე და საზოგადო მოღვაწე ყიულ (არსენ, არნო) კლარეტი დაიბადა ქალაქ ლიმოჟში 1840 წელს. მამამისი წარმოშობით პერიგუარდიიდან იყო, ამიტომ ამ მხარის ხალხი სიამაყით თვლიდა მწერალს თავის თანამემამულედ.

ყ. კლარეტიმ ბავშვობა ლიმოჟის წაბლის ტყის პირას მდებარე პატარა სახლში გაატარა, თავისი საყვარელი მოხუცი დედის მზუნველობის ქვეშ. მწერალი განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენიებს ბაბუას (დედის მხრიდან) არსენ ყილეს, რომელმაც დიდი როლი ითამაშა საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ივლისის მძიმე დღეებში გმირული თავდადებისათვის მას ლეგიონის პოლკოვნიკის წოდებაც კი შესთავაზეს, რაზედაც უარი განაცხადა. მისი აზრით, თავისუფლებისათვის ბრძოლა პირადი სარგებლის შექმნას კი არ ნიშნავს, იგი თავისთავად ძვირფასია. თავისუფლება იდეალია მამაცი. პატიოსანი ადამიანებისათვის. ყიულ კლარეტიმ წინაპრის ეს ბრძნული აზრი სახელმძღვანელოდ გაიხადა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

1851 წელს ყ. კლარეტის მშობლები საცხოვრებლად პარიზში გადავიდნენ. ყიულს დედამ წინდახედულად განჰკვირტა, რომ შეიღის მომავლის უზრუნველყოფა უფრო იოლო იქნებოდა დედაქალაქში,

ვიდრე სხვაგან. მას უნდოდა შვილი ექიმის პროფესიას დაუფლებოდა, მიუხედავად ამისა, კოლეჯის (chaptal) წარმატებით დამთავრების შემდეგ ჟიულ კლარეტიმ გადაწყვიტა მიეღო იურიდიული განათლება.



ჟიულ კლარეტი

პირველი გატაცება ხანმოკლე აღმოჩნდა და მან სწავლა განაგრძო კონსერვატიულ სასწავლებელში. სავაჭრო სახლში მოხელედ მუშაობამ ვერ დააკმაყოფილა მისი სულიერი მოთხოვნილებები და იგი საბოლოოდ მიხვდა, რომ მხოლოდ ლიტერატურა იყო მისი გატაცების საგანი.

ჯერ კიდევ ბავშვობაში, კოლეჯში სწავლისას, ჟ. კლარეტი წერდა ალექსანდრიულ ლექსებს, სტუდენტობისას კი ეურნალ „Les Cinq

Centimes illustrés-ში გამოქვეყნდა მისი პირველი პროზაული ნაწარ-  
მოებები: „საქმრობის სიმტკიცე“ (Le rocher de fiancés), „ტრაგე-  
დია პომპეის დაღუპვაზე“ (Une tragédie sur la mort de Pompée) და  
სხვა არნოლდ ლაკრეტის ფსევდონიმით.

ქიულ კლარეტი 19 წლის ასაკიდან ჩაება ქურნალისტურ მუშაობა-  
ში. მისი ფანტასტიკური მოთხრობები, აგრეთვე ნარკვევები თეატრზე  
გაშუქდებით იბეჭდებოდა გაზეთ „დიოგენში“, რომლის ზოგიერთ ნო-  
მერს მთლიანად თვითონ ადგენდა ქიულ დე ლუსანისა თუ სხვადასხვა  
ფსევდონიმით.

ქიულ კლარეტი მიეკუთვნება იმ ფრანგ მწერალთა რიცხვს, რომ-  
ლებიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ მეორე იმპერიის დროს  
(1849—1852 წწ.). რესპუბლიკური იდეებით გამსჭვალული, იგი უშიშ-  
რად ამხელდა ნაპოლეონის პოლიტიკის მანკიერ მხარეებს და თავისი  
გამოსვლებით რამდენიმე პოლიტიკური პროცესის გმირიც კი გახდა.  
მისი ლიტერატურული მოღვაწეობა სწორედ პოლიტიკური ხასიათის  
სტატიებით დაიწყო, რომლებშიც გარკვეულად ჩანდა ავტორის ღრმა  
ინტელექტი, საქმისადმი უანგარო დამოკიდებულება, გულწრფელობა,  
მანვილგონიერება, პირდაპირობა და შეუპოვრობა.

ქ. კლარეტი იყო არა მარტო ბრწყინვალე ქურნალისტი, არამედ  
შესანიშნავი ისტორიკოსიც. მისმა ნათელმა, მკვერამეტყველმა ქრონი-  
კებმა, როგორცაა „შივიწყებული თანამედროვენი“ (1864), „ნარკვე-  
ვები რევოლუციასზე და 1870 წლის ომზე“ (1871), „გერმანელები შინ“  
(1873), „ნანგრევები და აჩრდილები“ (1874), „პარიზის ცხოვრება  
1881—1887 და 1896—1914 წლებში“ და სხვ. იმთავითვე მიიქცია  
მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

ქ. კლარეტიმ უკვდავო მრავალი გამოჩენილი ფრანგი მოღვაწის  
სახელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის საფრანგეთის მღელვარე დღე-  
ები, კერძოდ, პარიზის როგორც რევოლუციური ქალაქის, წარსული და  
აწმყო. მწერლის ეს ისტორიული ქრონიკები მით უფრო საინტერესო  
და ფასეულია, რამდენადაც იგი ფყრდნობა სარწმუნო წყაროებს, რო-  
მელთა მოპოვება მოითხოვდა დიდ ენერგიას და ზოგჯერ გარკვეულ  
საფრთხესთანაც იყო დაკავშირებული. იმ დროს, როცა ილია ჭავჭა-  
ვაძის სიტყვებით, „პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლო-  
ტარინგია“, ქ. კლარეტი, როგორც, მამაცი კორესპონდენტი, გაემგზავრა  
დამპყრობელთა ქვეყანაში, რათა ახლო გაცნობოდა გერმანელ ხალხს,  
მისი ყოფა-ცხოვრებას, რომ თავისი თვალთ ნანახი და განცდილი რაც  
წეიძლება მეტი პოლიტიკური და სოციალური კემმარტებით გადაე-  
შალა ფრანგი ხალხისათვის, მტრის წინაშე ქედმოხრილ თანამემამუ-  
ლეთათვის. ქ. კლარეტს ჰქონდა მართლაც და დიდი უნარი დაკვირვები-  
სა; იგი ბევრს კითხულობდა, მოვზაურობდა, მუშაობდა სხვადასხვა



არქივში, ამიტომაც მისი შემოქმედებიდან ისტორიულ-დოკუმენტური ხასიათის ნაწარმოებებს ყველაზე მეტი პოპულარობა ჰქონდა მოხვეჭილი არა მარტო სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ცნობილმა ფრანგმა ისტორიკოსმა ეიულ მიშლე ე. კლარეტი შეაფასა, როგორც „მგზნებარე ახალგაზრდა, რომელსაც უფლება აქვს შეეხოს ჩვენი წარსულის რელიქვიებს“! (Un chaleureux jeune homme bien digne de toucher aux reliques de l'histoire)<sup>43</sup>.

ე. კლარეტი მრავალი რომანის, ნოველისა და დრამატული ნაწარმოების ავტორია. იგი აქაც არ ღალატობს თავის პირდაპირობას, გულწრფელობას, პრინციპულობას და დაუფარავად ანხელს იმდროინდელი ცხოვრების მანკიერ მხარეებს, არსებული წყობილების უსამართლობას და აღვირახსნილობას. მისი ყველაზე პოპულარული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: „მდაბიო“ (1862), „მადმუაზელ კაშემირი“ (1866), „მტყვარი ქარში“ (1869), „ნოელ რამბერი“ (1872), „რენეგატი“ (1876), „ლტოლვილი“ (1878), „ბატონი მინისტრი“ (1881), „ჟან მორნა“ (1885) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ე. კლარეტის დრამატულ ნაწარმოებებს მკითხველი საზოგადოების მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ დაუმსახურებია, თუ არ ჩავთვლით „ბატონ მინისტრს“ და „პრინც ზილას“, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა თეატრ „კომედი ფრანსეზის“ სცენაზე XIX საუკუნის 80-იან წლებში<sup>44</sup>.

ე. კლარეტი მარჯვედ უფარდებდა თავის ლიტერატურულ მუშაობას საზოგადოებრივ მოღვაწეობას. მისი დახვეწილი, შეუზღუდველი გემოვნება და უსაზღვრო პატივისცემა ხელოვნებისადმი შეუმჩნეველი არ დარჩენია მადლიერ თანამემამულეებს. მას მოწიწებით შესთავაზეს სათავეში ჩადგომოდა თეატრ „კომედი ფრანსეზს“, საფრანგეთში მოლიერის სახლად წოდებულს, რომელს ინტერესები განუყოფელი იყო ფრანგული ხელოვნებისაგან. ე. კლარეტიმ გაამართლა ფრანგი ხალხის ესოდენ დიდი ნდობა. ამას მოწმობს ე. კლარეტის, როგორც თეატრის დირექტორის უზადო მუშაობის შესახებ დაწერილი შეფასებანი, რეცენზიები, მოგონებები. მისი თანამედროვე კრიტიკოსი ა. ბონემენი წერს: „ე. კლარეტი რკინის ხელით მართავს თეატრის კოლექტივს, ოღონდ რკინა დახვეწილია და უნაზესი ტყავის ხელთათმანით არის შემოსილი. იგი შესანიშნავად ახერხებს დაამყაროს თბილი, მეგობრული კონტაქტი ავტორებსა და მსახიობებთან, მის თითოეულ სიტყვასაც კი ფასი აქვს, რადგან მათ იციან ე. კლარეტის დიდი უნარი შრომისადმი, მისი ნაყოფიერი გონება და შეუზღუდვე-

<sup>43</sup> Silin Edouard. Célébrités contemporaines, Paris 1903. n. 18.

<sup>44</sup> La grande encyclopédie inventaire raisonné des sciences, des lettres et des arts. Paris.

ლი მხრუნველობა თანამშრომლების მიმართ<sup>45</sup>. 1885 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო ამ თეატრის დირექტორი და საფრანგეთის ლიტერატურულ-დრამატული საზოგადოების პრეზიდენტი.

1888 წელს ე. კლარეტი არჩეულ იქნა საფრანგეთის აკადემიის წევრად. ის სიცოცხლის ბოლომდე ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა თავის ქვეყანას, სიცოცხლის ბოლომდე აღწერდა თავისი სათაყვანებელი პარიზის ცხოვრებას, თითქოს მომავალ თაობას ანდერძად უტოვებდა მისადმი სიყვარულს. ე. კლარეტი გარდაიცვალა პარიზში 1913 წლის დეკემბერში<sup>46</sup>.

ე. კლარეტის მხატვრულ შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რომანს „ნოელ რამბერს“ (Höel Rembert). ამ საკმაოდ ვრცელ ნაწარმოებებში დაწვრილებითაა გადმოცემული 1851 წლის სახელმწიფო გადატრიალება, როცა საფრანგეთის პროლეტარიატის მიერ სისხლისღვრითა და თავგანწირვით მოპოვებული უფლებები 1852 წლის 2 დეკემბერს შეიცვალა ლუი ბონაპარტეს სამხედრო ბურჟუაზიული დიქტატურით და ერთი წლის შემდეგ — 1852 წლის 2 დეკემბერს კვლავ აღდგენილ იქნა მონარქია (გეორგ იმპერია), რასაც მოჰყვა რევოლუციის მონაწილეთა და მათთან ერთად უდანაშაულო ადამიანთა დაცვა. ქვეყანაში გაეფედა უსამართლობა, ძალმომრეობა, სიღარიბე, სახელმწიფო აპარატში ფეხი მოიკიდეს უღირსმა ადამიანებმა, რომლებიც არავითარ ბოროტებას არ ვრიდებოდნენ თავიანთი მატერიალური ინტერესების მისაღწევად. ამ მკაცრი პოლიტიკური ვითარების ფონზე ავტორი მუქ ფერებში გვიხატავს იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ურთიერთდამოკიდებულებას, მათ მისწრაფებათა სამყაროს.

ამ რომანთან დაკავშირებული საკითხების სწორად გაგებაში გვეხმარება ავტორის წინასიტყვაობა და მისი ვრცელი წერილი „არმან ბარბესის მოსაგონებლად“, რომლებიც წინ უძღვის „ნოელ რამბერს“.

წერილში ე. კლარეტი ხოტბას ასხამს ფრანგ რევოლუციონერს არმან ბარბესს (1809—1870), რომელიც იბრძოდა რესპუბლიკის შექმნისათვის, დემოკრატიული იდეებისათვის, რისთვისაც მთელი სიცოცხლე გაატარა საპყრობილესა თუ გადასახლებაში. ავტორი ასე მიმართავს მას: „თქვენ ხართ ხალხისა და სამართლიანობის რაინდი. მოხდენილმა ლამაზმა და მდიდარმა ჭაბუკმა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში დაუწანებლად მიიტანეთ მკაცრ სამსხვერპლოზე თქვენი სიმდიდრე, ყმაწვილკაცობა, ცხოვრების სიტკბოება. თქვენ ეკუ-

<sup>45</sup> Bonnemain H. Auteurs contemporains, Paris, 1910, introduction.

<sup>46</sup> Dictionnaire des littératures, Paris, 1968.

თენით იმ გმირთა რიცხებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ ჩეს-  
პუბლიკისათვის, სამშობლოსათვის...“<sup>47</sup>.

თავის რომანში ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის — ექიმის, რევო-  
ლუციონერის, ნოელ რამბერის თანამემამულის და შემდეგში მისი  
შვილის — ეაკის აღმზრდელის, პასკალ არტეზის პროტოტიპად ე. კლარ-  
ეტმა სწორედ არმან ბარბესი გამოიყვანა. პასკალ არტეზმაც თავისი  
სიმდიდრე და ახალგაზრდობა ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლას  
მოახმარა: „მართლაც, თქვენი სახე მელგა თვალწინ, როცა ვქნაღი  
მედგარი ჩესპუბლიკის არტეზის სახეს, მაგრამ ის თქვენის ბრწყინვა-  
ლების მხოლოდ ერთი სუსტი სხივია“ — შიშობათვის ავტორი არმან  
ბარბესს.

ავტორის წინასიტყვაობიდან ვიგებთ აგრეთვე, რომ რომანი „ნოელ  
რამბერი“ დაწერილია 1870 წელს, მაგრამ იმდროინდელი საფრანგე-  
თის მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების გამო (საფრან-  
გეთ-პრუსიის 1870—1871 წწ. ომი და პარიზის კომუნა — 1871 წ.) რო-  
მანი მხოლოდ 1872 წელს გამოქვეყნდა პარიზში. ავტორის ჩანაფიქ-  
რით „ნოელ რამბერი“ წარმოადგენს „საწყალი ადამიანების („Les  
pauvres gens“) სერარის პირველ წიგნს, ხოლო მომდევნო წიგნად  
განზრახული ჰქონია რომანი „ქალბატონი ლავერდაკი“.

აი, რას ამბობს ავტორი რომან „ნოელ რამბერის“ შესახებ: „ის  
მიმართულია ბრძოლისა და ყოველგვარი ძალმომრეობის წინააღმდეგ,  
როგორც ჩემი ყველა დანარჩენი ნაწარმოები — დრამა, ისტორია თუ  
რომანი. მე ბევრჯერ დავაპირე შემეწყვიტა ამ რომანზე მუშაობა, რად-  
გან მასში მოთხრობილი ამბავი ზოგჯერ დაუჯერებელი, არარეალური,  
ზოგჯერ კი პირიქით, მკაცრ სინამდვილედ მესახებოდა. მაგრამ დააკვირ-  
დით თქვენს გარშემო, თუ უფრო მეტ სიძნელეს და უსამართლობას  
არ წააწყდებით“.

ე. კლარეტი თითქოს გვარწმუნებს მეორე წიგნის — „ქალბატონი  
ლავერდაკის“ დაწერის აუცილებლობაში. მას სურს ამ ტომში მაინც  
დაისაჯოს ბორტება მორტალის სახით, ფიზიკურად თუ არა. მორალუ-  
რად მაინც. მართლაც, ე. კლარეტის „საბრალლო ადამიანების“ პირველ  
წიგნს „ნოელ რამბერის“ შკითხველისათვის მოულოდნელი და მეტად  
არასასურველი დასასრული აქვს. როგორც ავტორი აღნიშნავს, ბო-  
როტება ზეიმობს მორტალის სახით, პატიოსნებას — რამბერს სპობენ,  
თავს ჰკვეთენ. რომანის ასეთი დასასრული ცხოვრების დაცინებაა და  
მეტი არაფერი. ეს ქვეყანა მთლად არამზადებს დარჩებოდათ, თუ მათ  
წინსვლას ხელს არაფერს შეუშლიდა“. ეტყობა, ცხოვრებაზე იმედგაც-  
რუებული ავტორი ფიქრობს წიგნის მომავალ II ნაწილში „ქალბა-

<sup>47</sup> J. Claretie, Nôel Rembert, préface, 1872, Paris.

ტონი ლავერდაკი“ მორალური სასჯელი მაინც მიუზღოს ბოროტებას: „ყველაზე მეტად მაინც მორალური სასჯელი მწამს, სინდისის ქენჯნა, მონანიება, რომელიც გახრჩობს და მეტე ქვითინად იქცევა, დანაშაულის გამოსყიდვის სურვილი გტანჯავს და მოსვენებას არ გაძლევს, განა ეს ყველაზე მძიმე, ყველაზე მკაცრი სასჯელი არაა?“

ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ 1882 წელს პარიზში გამოქვეყნდა ე. კლარეტის რომანი „პატარა ჟაკი“ (სათაურის ქვემოთ მიწერილია „ნოელ რამბერი“). ეს ნაწარმოები „ნოელ რამბერის“ გაგრძელება კი არ რის, არამედ სიუჟეტურად მსგავსი, შეიძლება ითქვას, მისი ახალი ვარიანტია. ;

უიულ კლარეტი, როგორც ჰუმანისტი მწერალი, პიროვნებას პირველ პლანზე აყენებს. მან ვერ აიტანა რომან „ნოელ რამბერში“ განოყვანილ პერსონაჟთა უმოქმედობა, ინდიფერენტულობა, ყოველგვარი მდგომარეობისადმი შემრიგებლური დამოკიდებულება. მაგალითად, სიკვდლმისჯილი რამბერი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ აღიარებს სიპართლეს, რომელაც დაღუპვას გადააჩენდა. პასკალ არტეზი, მართალია, განიცდის მეგობრის მდგომარეობას, მაგრამ არ იღვწის მისი გადაჩენისათვის. მარტა, ნოელის მეუღლე და პატარა ჟაკის დედა, გულგრილად უყურებს ამ უსამართლობას და საყვარელთან ერთად თავს ბედნიერად გრძნობს. მორტალი კა, რომელმაც აძლენი ადამიანი იმსხვერპლა, აგრძელებს ლაღ ცხოვრებას.

რომანში „პატარა ჟაკი“ მწერალი ცდილობს დაგვანახოს ადამიანი, როგორც ყოვლისშემძლე არსება, სიპართლისათვის მებრძოლი, გაჭირვებულთა მხსნელი. ნოელს სიკვდილისაგან დაიხსნის მისი მეგობარი პასკალ არტეზი, რომელიც სააშკარაოზე გამოიყვანს მორტალს, როგორც მრავალი უბედურების მოთავეს. ეს უკანასკნელი ცოცხლად არ ნებდება პოლიციას და თვითმკვლელობით დაასრულებს თავის უბედურეკ სიცოცხლეს. ავტორი არც მარტას ინდობს, ქმარ-შვილის დილატს არ აპატიებს — განუყურნებელი სენით დაავადებული იგი სიკვდილის წინ შენდობას სთხოვს ნოელს. მეგობრები დიდ მზურანველობას იჩენენ მრავალ ჭირ გამოვლილი მამა-შვილის, ნოელისა და პატარა ჟაკის მიმართ, რომანს ზღაპარით კეთილი ბოლო აქვს. ნაწარმოების დასასრულს მიწერილია 1870 წელი (ამავე წელს დაწერა ე. კლარეტიმ რომანი „ნოელ რამბერი“.

საფიქრბელია, რომ მწერალმა ახალი, მეორე წიგნის „შადამ ლავერდაკის“ შიქმნა (როგორც ავტორი პირდება მკითხველს რომან „ნოელ რამბერის“ შესავალში) საჭიროდ აღარ ჩათვალა და მონახა შედარებით იოლი გზა — გადააკეთა რომანი „ნოელ რამბერი“ ოპტიმისტური ხასიათის ნაწარმოებად სათაურით „პატარა ჟაკი“ და დაუსვა პირველი რომანის „ნოელ რამბერის“ დაწერის თარიღი.

ე. კლარეტის რომანში „ნოელ რამბერი“ ძირითადად სამი ოჯახის ამბავია მოთხრობილი (ნოელ რამბერის, ლავერდაკის, დანელ მორტალის).

რომანის ცენტრალური ფიგურა ნოელ რამბერი, მწერლის აზრით, იმ დადებითი თვისებებითაა შემკული, რაც XIX საუკუნის 50-იანი წლების საფრანგეთის პროლეტარიატს ახასიათებდა. ნოელი ცხოვრებასთან კიდელში მრავალ წინააღმდეგობას წააწყდება — პოლიტიკურს, ბოროლურსა თუ ფიზიკურს, მაგრამ ეს წინააღმდეგობანი მის ადამიანურ კეთილშობილებას არც შეხებიან, თუმცა ავტორმა რევოლუციის მგზნებარე მებრძოლი ნოელი ნაწარმოებების ბოლოს ტანჯულსულად გადაქცია. ლა ეს შემთხვევითი არაა. ე. კლარეტს სურს უკეთ დაანახოს მკითხველს შრომელი ხალხის მარცხნაგან გამოწვეული უიმედობა. ავადმყოფობისაგან გაწამებულ ნოელს მანც ჟუკირს სიცოცხლისთან განშორება, აღარაფერი დარჩა პატიოსნებისა და არსებობის შეტი და ამასაც დაუნანებლად შესწირავს შეილის კეთილ მომავალს.

ახალგაზრდა, სიცოცხლითა და ჯანდონით სავსე ნოელ რამბერმა, როგორც რესპუბლიკელმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო 2 დეკემბრის საბელშიწიფო გადატრიალებაში, რომლის სასტიკმა მარცხმა სიკოცხლსაღმი ინტერესი მანც ვერ გაუქრო. იგი ჩვეული ენერგიით შრომობდა, წინ ბედნიერება ელოდა — მშვენიერი მარტას სიყვარული და ვაჟიშვილის შეძენა, მაგრამ ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. მარტამ მიატოვა მშრომელი და მოსიყვარულე ნოელი უმტკივნეულოდ შეელია ახალშობილ ყაყსაც და დაუფიქრებლად გაჰყვა გარეგნულად მიჰზიდველ, მაგრამ უსაქმურ და ფუქსავატ გობერჯოს, რომელიც მას უზრუნველ ცხოვრებას პირდებოდა. ამას დაემატა სახელოსნოში მომხდარი უბედური შემთხვევა რის გამო ნოელი დაინვალიდდა და სამუშაოდან დაითხოვეს. ამ მძიმე მდგომარეობაში მყოფი ნოელისა და მისი საყვარელი ვაჟიშვილის, პატარა ყაყის, საბედისწერო ახალი წლით იწყება ე. კლარეტის რომანი „ნოელ რამბერი“.

ახალი წლის დამეს ნოელი ქუჩებში დაეხეტებოდა ლუკმაპურის საშოვნელად. შინ მშვიერი ყაყი ელოდებოდა. უცებ უცნობმა ქალმა შეაჩერა, ხელში ოქროს ფულები ჩაუყარა და აღელვებულმა შესჩივლა, რომ მის ნაცნობს, ახალგაზრდა პოლ ლავერდაკს საფრთხე ელოდა. ნოელი უნდა დახვედროდა და გაეფრთხილებინა ამის შესახებ. უცნობი ქალის ერთი შეხედვით უგნებელი თხოვნის შესრულება ნოელს, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ტრაგედიალ გადაექცევა — იგი დავიანებით შეესწრება ორთაბრძოლას, ცდილობს ხელი შეუშალოს, მაგრამ მკვლელი(მორტალი, იმჟამად ხელისუფლების სათავეში მყოფი და ერთ დროს თავზარდამცემი ავაზაკი) სწრაფად გაიანზრება. მისთვის სასარგებლო მომენტს, გაიქცევა და კარებს გარედან ჩაკეტავს. ნოელს შეეძლო ფანჯრიდან გადაპარვა, მაგრამ სასიკვდილოდ დაჭრილ

პოლ ლავერდაკს ვერ მიატოვებს. პოლიცია მას მკვლელობის ადგილზე მიუსწრებს, ჩხრეკისას ფულს აღმოუჩენს და, როგორც მძარცველსა და მკვლელს, დააკავენ. ნოელი ამოდ ცდილობს დაარწმუნოს პოლიციის კომისარი თავის სიმართლეში. მისი არამკითხველად, სასაცილოდაც იგდებენ და ფეხქვეშ თელავენ მის ადამიანურ ღირსებას; უფრო მეტიც, მორტალი ახერხებს საპყრობილეში შესვლას, იგი ავადმყოფობისა და უსამართლობისაგან გატანჯულ ნოელს სთავაზობს დიდ თანხას პატარა ქაქისათვის, თუკი დაიბრალდება დანაშაულს, ნოელი შვილისადმი გასაოცარ თავდადებას ამქვადენებს. მართალია, მას სიკვდილზე მეტად პატიოსნების შებღალვა უძნელდება, მაგრამ შინაც დაპყვება მორტალის ნებას და უსიტყვოდ ღებულობს სასიკვდილო განაჩენს.

ჟ. კლარეტი მუქ ფერებში აღწერს ნოელის განცდებს. იგი ყოველნაირად ცდილობს შეაყვაროს მკითხველს ეს ტანჯული სული და ამავე დროს ამით სურს გამოხატოს თავისი ზიკვარული და მხარდაჭერა მშრომელი ხალხის მიმართ.

განათლებული, პატიოსანი, მაგრამ მეტად უმწეო ლავერდაკის სახით ავტორი გვაცნობს ბონაპარტეს დროინდელ არისტოკრატისა, რომელსაც, მართალია, თავიანთი მდგომარეობის შენარჩუნება სურთ, მაგრამ ამავე დროს მოქმედების ძალაც არ შესწევთ, უსაქმურობასა და დროსტარებაში ფანტავენ შემორჩენილ ქონებას. ლავერდაკს უყვარს თავისი ცოლ-შვილი, მაგრამ მათზე არ ზრუნავს და არც მათი მომავალი აინტერესებს; პირიქით, იგი მფლანგველია, აზარტულ თამაშობებსა და სანაძლეობებში ანიაგებს მეუღლის მზითვებს. მორტალთან სამი ათასი ფრანკის მოგება ლავერდაკისათვის საბედისწერო გახდება — მორტალს არაფრად უღირდა ადამიანის სიცოცხლე და ბანქოს ვალის თავიდან ასაცილებლად ლავერდაკს, თითქოს პოლიტიკურად საშიშ პიროვნებას, გადაასახლებს და გზაში ერთ-ერთ ზედამხედველს მოაკვლევინებს, როგორც უჩრ პატიმარს. რომანის ავტორი ამ სცენას მთელი სისასტიკით აღწერს. ლავერდაკის ამაზრზენი სიკვდილით ჟ. კლარეტი გამოხატავს ლუი ბონაპარტეს რეჟიმისადმი აშკარა ოპოზიციურ განწყობილებას, ხაზგასმით მიგვანიშნებს მის უარყოფით დამოკიდებულებას II იმპერიისადმი.

როგორც ვხედავთ, ჟ. კლარეტის უყვარს ცხოვრებისეული სიმართლე: მას ადამიანი აინტერესებს პირველ რიგში. მისი მთავარი მიზანია ეპოქის ცხოვრებიდან აღებული ცოცხალი კონკრეტული შემთხვევების ასახვა, რაც შეიძლება მაქსიმალური ობიექტურობით. ლუი ბონაპარტეს სამხედრო ბურჟუაზიულ დიქტატურაში ყველაზე სუსტი პოზიცია არისტოკრატისა და პროლეტარიატს ეჭირა, ამიტომ გასაკვირი არაა, ასე ტრაგიკულად რომ დაასრულა ავტორმა სწორედ ამ

ფენების წარმომადგენელთა სიცოცხლე (ლავერდაკი — მამა, ლავერდაკი — შვილი, ნოელ რამბერი).

დანიელ მორტალი ბურჟუაზიული სამყაროს ტიპური წარმომადგენელია. იგი ატარებს ამ მანკიერი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, მისი სალოცავი კერპი მხოლოდ ფული, სიმდიდრე და პატივმოყვარეობაა. მასში დესპოტური ხასიათი უკიდურეს ეგოიზმთან და ცინიზმთან არის შეხამებული და თავისი სიამოვნების გარდა ქვეყანაზე არაფერი აინტერესებს. მორტალი პირადი ინტერესისათვის დაღუპავს არისტოკრატ პოლ ლავერდაკს, რომელიც ეცდება მამაზე შური იძიოს და ნოელ რამბერს, რომელიც უცნობი ქალის (კლერის — დანიელ მორტალის მეუღლეს) თხოვნით მიდის პოლ ლავერდაკს გადასარჩენად. როგორც ვხედავთ, დანიელ მორტალმა თავისი დამოუკიდებლობის, სიცოცხლით ტყობის უზრუნველსაყოფად მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. მიუხედავად ამისა, ის სრულებით არ ისჯება, პირაქით, გულდამწვინებული და თავდავიწყებით შეყვარებული უნგრელ მომღერალთან ერთად მიემგზავრება საფრანგეთიდან. რომანის ასეთი დასასრული გვაფიქრებინებს, რომ ავტორში თავი იჩინა ერთგვარმა სცენტიკურმა დამოკიდებულებამ საერთოდ ბრძოლისადმი, უკეთესი წეს-წყობილების დამყარების შესაძლებლობისადმი. თუმცა იგი უიმედოა. მაგრამ კრიტიკულად და დაუფარავად გვსურათხატებს II იმპერიის საზოგადოების უსულგულობას, პრაქტიციზმს და ეგოიზმს. „ნოელ რამბერში“ უ. კლარეტმ შეუფერადებელი, რეალისტური, იმ დროისათვის ტიპური სახეები შექმნა და XIX საუკუნის II ნახევრის საზოგადოების სრული სურათი წარმოგვიდგინა.

ამ დეგრადაციის გზაზე დამდგარ საზოგადოებაში იმედის ნაპერწკლად შეინიშნება არტეზი — სიკეთის, ჰუმანურობისა და ხსნის სიმბოლო და უაკი — ჭირში გამობრძმედილი მომავალი, რომანის პერსონაჟების გრძნობებისა და ემოციების ჰიპერბოლური გამოხატვა, სიტუაციების, ცოტა არ იყოს გადაჭარბებული დრამატიზება ავტორის საწულებას აძლევს გაადვივოს მკითხველში მტრისადმი ზიზლი და მის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი. ნაწარმოებში ჩანს ავტორის გაბედული, ნებრძოლი ხასიათი, მხატვრული ნიჭი, ღრმა პატრიოტიზმი, თავისი ხალხისადმი უანგარო სიყვარული, ნაზი ბუნება და პატიოსნება. ეს საუკეთესო თვისებები მკითხველს, რა თქმა უნდა, განაწყობს მწერლისადმი უსაზღვრო სიმპათიით.

XIX საუკუნის რუსი მკითხველი საზოგადოება დიდად აფასებდა უ. კლარეტის შემოქმედებას; მის ნაწარმოებებს კითხულობდნენ და თარგმნიდნენ კიდევ რუსულ ენაზე. „Господин министр“, „Депутат“, „Заброшенный дом“, „Жан Морнясь“, „Князь Зила“, „Миллионы“, „Навариянка“, „Честь солдата“, „Щеголи во времена

революции“, „Ренегат“ და სხვ. იბეჭდებოდა პეტერბურგის ეურნალ-გაზეთებში: „Живописное обозрение“, „Вестник литературы, „Новости“, „Свет“, „Библиотека для чтения“, „Всемирная панорама“, „Дело“ და სხვ. იბეჭდებოდა აგრეთვე რეცენზიები ე. კლარეტის ახალ-გამოცემულ ნაწარმოებებზე. 1873 „Отечественные записки“-ში დი-ბეჭდა რეცენზია ე. კლარეტის იმავე წელს პარიზში გამოქვეყნებულ ახალ პოლიტიკურ ნაწარმოებებზე „პრუსიელები შინ“. აი, როგორ აცნობს რეცენზენტი პ. ბობორიკინი მკითხველებს ე. კლარეტისა და მის ნაწარ-მოებებს: «Как романист — Кларети одинаково симпатичен. Он отличается также от массы парижских «бульваршников» гораздо большим образованием и бывалостью. Кларети мно-го ездил и видел, читал и наблюдал. Трудно было бы выб-рать более подходящего парижанина для посылки в Берлин поглядеть на то, что там будет твориться».

ამავე ეურნალში 1874 წელს ა. პლეშჩევის რეცენზიაში ე. კლა-რეტის იმავე წელს გამოცემული ისტორიული ნაწარმოების „ნანგრე-ვები და აჩრდილები“ შესახებ ვკითხულობთ: «Талант его, как беллетриста и критика не особенно ярок, но на всем, что он пишет, лежит печати искренности, честного отношения к де-лу, притом же это живой образованный ум, откликнувшийся на все вопросы дня».

პეტერბურგის ილუსტრირებულ ეურნალში „Нива“ 1884 წელს გამოქვეყნდა ცნობილი ფრანგი მწერლის ემილ ზოლასა და ე. კლა-რეტის ურთიერთობის ერთი ეპიზოდი (მათი ლიტერატურული პაექ-რობა). ჩანს, ე. კლარეტის ცხოვრება და შემოქმედება რუსი მკითხვე-ლი საზოგადოებისათვის ყოველმხრივ საინტერესო ყოფილა.

1914 წელს ეურნალმა „Русская мысль“ მწუხარებით აცნობა მკითხველს, რომ 1913 წლის დეკემბერს, 73 წლის ასაკში გარდაიცვალა ე. კლარეტი: «Известный французский журналист и беллетрист, член французской академии и директор «Французской комедии!». Большое значение имеют его драматические пьесы и мемуары и в особенности его исторические сочинения и лите-ратурно-критические очерки».

ე. კლარეტის რომანის „ნოელ რამბერის“ რუსული თარგმანი სა-თაურით „Бедняк“ იბეჭდებოდა პეტერბურგის ყოველთვიურ ეურნალ „Дело“-ს 1872 წლის IX—X და XI—XII ნომერში. სამწუხაროდ, მთარგმნელი არაა მითითებული. 1872—1874 წწ. მრავალი ნაწარმოების თარგმანი შესრულებულია ა. პლეშჩევის, ვ. ტუმნოვას მიერ და, შე-საძლოა, რომ ეს რომანიც რუსულად ერთ-ერთი მათგანის მიერ იყოს თარგმნილი.



„Бедняк“-ის წინასიტყვაობაში მთარგმნელი მოკლედ აცნობს რუს მკითხველებს რომანს: «Роман, с которым мы намерены познакомить наших читателей, представляет в простом несложном рассказе один из исторических эпизодов Франции, великих своим мрачным влечением, а именно последствия декабрьского переворота; который связывается с сданским поражением и с капитуляцией Парижа. На главном фоне этой мастерски нарисованной картины поставлен образ человека, несколько идеального, но верного тому драматическому положению, которое создала бедному народу декабрьская ночь узурпатора».

ამის შემდეგ რუსი მთარგმნელი ეხება თავისი შრომის ხასიათს: «Представляя извлечение из последнего произведения Кларети, мы старались сохранить вполне характер романа и не пропустить не одной характеристической подробности. Мы включили преимущественно только то, что имеет чисто местный интерес».

ე. კლარეტის რომანის „ნოელ რამბერის“ რუსული თარგმანი „Бедняк“ მართლაცდა საგრძნობლად შემოკლებულია. ორიგინალი შედგება ცხრა თავისაგან:

Préface	(შესავალი)
I. Le jour de l'an d'un malheureux	(უბედური კაცის ახალი წელი)
II. A Beaujon	(ბოჟონში)
III. M. Mortal	(დანიელ მორტალი)
IV. L'instruction Judiciaire	(სასამართლო ძიება)
V. Claire Mortal	(კლერ მორტალი)
VI. Le prisonnier	(პატიმარი)
VII. L'homme abdique	(უარის თქმა)
VIII. Une tête qui tombe	(თავის მოკვეთა)
IX. Ce qu'on ne voit pas.	(რაც არ ჩანს, ან რასაც ვერ ხედავენ)

(თითოეული თავი საკმაოდ ვრცელია, საშუალოდ 30—50 გვერდის ოდენობით).

რომანის რუსული თარგმანი კი შედგება 5 უსათაურო თავისაგან (ორიგინალში წარმოდგენილი სათაურები შეკველილია რომაული ციფრებით). ორიგინალის I—III თავები შემოკლებულია და რუსულ თარგმანში ორ თავადაა გაყოფილი. აქ გამოტოვებულია მართლაც და გუბერყოს დახასიათება, მათი შეხვედრა და სიყვარული.

IV თავი („სასამართლო ძიება“), რომელშიაც დაწვრილებითაა აღწერილი იმდროინდელი საფრანგეთის იურიდიული აპარატი, მთლიანად არის ამოღებული რუსი მთარგმნელის მიერ.

V თავში ფრანგ ავტორს შესანიშნავად ჰყავს წარმოდგენილი კლერ მორტალი (დანეილ მორტალის მეუღლე, ქორწინებაჲდე დე შონი) პირმშვენიერი, ამაყი, სერიოზული, სამართლიანი, ამავე დროს კეთილი და სათნო ადამიანი. სამწუხაროდ, აქედან მცირე ნაწილია თარგმნილი, რის გამოც კლერი მკითხველისათვის ნაწილობრივ გაუგებარია — თითქოს ქმრისაგან დამორჩილებულ, ინდიფერენტულ პიროვნებად გამოიყურება.

ასევე შეიძლება ითქვას VI თავზე („პატიმარი“), რომლის მხოლოდ ბოლო 5—7 გვერდია თარგმნილი რუსულად. აქ ე. კლარეტი აღწერს საპყრობილეს — კონსიერაჟერის, მომუშავე პერსონალთა ფულგრილობასა და უსამართლობას, პატიმრების სავალალო მდგომარეობას, რაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული რუსი მკითხველისათვის.

VII თავის „უარის თქმა“ რუსულად თარგმანი შედარებით სრულყოფილია. VIII და IX თავების თარგმანში გამოტოვებულია: მორტალის საფუძვლიანი შიში მკვლელობის გამოამყარაგების შესახებ, ნოელისა და არტეზის დიალოგი, გილიოტინის დაწვრილებითი აღწერა, ნოელისა და მღვდლის დიალოგი, ჟაკის წინათგარძნობა და განცდები, ჟაკის დაობლება, არტეზის მიერ ნოელის დეასახიჩრებული სხეულის მორგიდან დახსნა და დასაფლავება, არტეზისა და მორტალის დიალოგი, არტეზისა და ჟაკის სულიერი დაახლოება ნოელის სიკვდილის შემდეგ და სხვ.

როგორც ირკვევა, ე. კლარეტის რომანის „ნოელ რამბერის“ რუსული თარგმანი წარმოადგენს ორიგინალის მოკლე შინაარსს, თუმცა ზოგიერთი ადგილი ერთგვარი სიზუსტითაა გადმოტანილი. რუსული თარგმანი ორიგინალის ჩონჩხია — მბატცრულობას მოკლებული და დაუხვეწავი. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ძნელია თარგმანის ღირსებაზე ლაპარაკი.

მიუხედავად ვარკვეული ნაკლოვანებისა, „ნოელ რამბერის“ რუსულ თარგმანს „Бедняк“-ს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსი მკითხველებისათვის. ისინი კიდევ უფრო ახლო გაეცნენ XIX საუკუნის 50-იანი წლების საფრანგეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ფრანგი ხალხის მდგომარეობას, მის ინტერესებსა და ურთიერთდამოკიდებულებას.

ე. კლარეტს თარგმნიდნენ საქართველოშიც: სერგი მესხმა თარგმნა ე. კლარეტის „ფრანკუზული მოთხრობა“ და გამოაქვეყნა 1877 წლის 1—4 მაისს გაზეთ „დროების“ № №48—49 ფურცლებზე, 1882 წლის 7 სექტემბერს გაზეთ „დროების“ № 187-ში დაიბეჭდა ე. კლარე-

ტის ცნობილი მოთხრობას „მარკიზა“ 1894 წლის 6 აგვისტოს კი გა-  
ზეთ „ივერიაში“ ვ. ვ.-ს ფსევდონიმით გამოქვეყნდა კიდევ ერთი ცნო-  
ბილი ნაწარმოები „თანამშრომელნი“<sup>48</sup> ქართული თარგმანი.

რაც შეეხება რომანს „ნოელ რამბერს“ იგი ქართულად ითარგმნა  
ილია ჭავჭავაძის მიერ სათაურით — „ერთი უბედურთაგანი“ და იბეჭ-  
დებოდა ჟურნალ „ივერიაში“ 1879 წლის № № 7—8—9—10 და 1880  
წლის № 1-ის ფურცლებზე. ნაწარმოების ხელნაწერი ასლი ინახება  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის  
ფონდში, № 217. <sup>1</sup>

რომანის რუსული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალ „Дело“-ს 1872  
წლის IX—X და XI—XII ნომრებში.

ამ თარგმანების ორიგინალთან შედარებისას ირკვევა, რომ ქარ-  
თული ტექსტი ძირითადად მისდევს რუსულს, მაგრამ ნაოლად ჩანს  
მისი უპირატესობა ამ უკანასკნელთან შედარებით.

როგორც ვთქვით, რუსული თარგმანი ზოგჯერ ბრმად მისდევს  
ორიგინალის ტექსტს, ზოგჯერ კი ფრაგმენტული და ზერელე ხასიათი-  
საა. ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ თარგმანში ჩანს შემოქმედებითი  
ძალა, ილიასათვის ჩვეული ენამზეობა, რამაც თარგმანს მისცა განსა-  
კუთრებული ლაზათი და ამავე დროს ქართული იერიც. მაგალითი-  
სათვის მოგვყავს რამდენიმე შედარება. <sup>1</sup>

ფრანგული ორიგინალი<sup>48</sup>.

1. La seule question douloureuse était là. p. 8.

რუსული თარგმანი<sup>49</sup>.

В этом теперь заключался весь вопрос его жизни. с. 41.

ქართული თარგმანი:

ამ საგანზედ დატრიალდა ჩარხი მთელს მისის სიცოცხლისა. გვ. 6.

2. Sa destinée avait été fort agitée, bizarre, coupée de soleil  
et de pluie, comme certains jours indécis, en sommes, boueuse...  
p. 64.

Жизнь Даниеля Мортала была полна всевозможными  
треволнениями. Дни ведра сменялись днями непогоды и вооб-  
ще, это была жизнь грязная, с. 57.

დანიელ მორტალის ყოფა-ცხოვრება ბევრს თოკში იყო გამოტა-  
რებული, ლხინი ბევრჯელ შეეცვალა ჭირად და ჭირი ლხინად, ერთობ  
ცხოვრება მისი ჩირქიანი იყო და ამაზე უარესიც, თუკი უარესი შეიძ-  
ლება. გვ. 41.

3. Ce mot l'argent, l'avait éffrayé. p. 38.

<sup>48</sup> Claretie J., Noël Rembert. Paris, 1872.

<sup>49</sup> ჟურნ. „Дело“, № IX—X, XI—XII, 1872, СПб.

<sup>50</sup> ჟურნ. „ივერია“, 1879, № № 7—8, 9—10; 1880, № 1.

ფულის ხსენებამ ელდა ჰკრა. გვ. 22.

Слово деньги его испугало, с. 48.

4. Une barbe noire, qu'il caressait machinalement. p. 46.

Он машинально гладил свою покладистую черную бороду, с. 50.

იგი იდგა და არხეინად ზელს ისეამდა ლამაზად მოყვანილს შავს წვერზედ. გვ. 27.

5. ...Puisqu'il marchait à la ruine... p. 66.

которая дорого ему обходилась и быстро вели его к разрушению, с. 57.

...და ამ ამბებში მყოფს, რაღა თქმა უნდა, ყოველს დღეს ხელიდამ ეტარებოდა მამეული სიმდიდრე. გვ. 42.

6. Laverdac avait était enfermé avec les insurgés de pauvres diables de paysans qui à la nouvelle du coup d'étaient armés et avaient voulu combattre. p. 83.

Между тем Лавердака заточили в тюрьму вместе с мятежниками, которые взялись за оружие при известии о государственном перевороте. с. 62.

ამასობაში ლავერდაკი ციხეში ჩასვეს სხვათა აჯანყებულთა შორის, რომელთაც თოფ-იარაღისათვის ხელი წაეცლოთ, როცა ნაპოლეონის III ოინები შეეტყოთ. გვ. 52.

7. Il frissonna .. p. 47.

Он вздрогнул. с. 51.

... და უჩუოლამ დაურბინა ტანში. გვ. 27.

8. Moi, je suis brisé p. 61.

а я совсем умаялся. с. 56.

მე კი.. სულ მოშლილი ვარ... ქანცი გამიწყდა. გვ. 38,

9. Laverdac tombe sur genoux, pendait inerte, au bout de cette chaine, qui tenait au bras de Pascal Arthèz. p. 93.

...а труп Лавердака, истекая кровью, безжизненно висел на поддерживаемой его цепи. с. 66.

ვევრდით ეგდო წუთისოფელ გამოსალმებული გვამი ლავერდაკისა გვ. 60

10. Cré nom de nom, encore un! non, commandant, on va nous prendre pour de bourreux! p. 94.

— Нет, черт возьми! довольно, мы не палачи. с. 66.

— კმარა, დალახვროს ღმერთმა! კმარა, ჩვენ მართლაცდა კაცის მკვლელები ხომ არა ვართ! გვ. 61.

11. L'emprisonnement surtout, la solitude accablante, autant de formes plus modernes de la torture abolie p. 191.

Особенно губительно влияет одиночное заключение. Оно действует прежде всего на мозг, у несчастного, подвергнутого одиночному заключению, исчезает все и энергия, и желание доказать свою невинность и гордость внушавшая своей правоты. с. 11—12.

... საუბედუროდ, საპყრობილე, განმარტოებთი ტყვეობა, სირცხვილი შეწამებულის უმანკოებისა — ყოველივე ეს ათახსირებს კაცს, რომელსაც გამოუტყვლია სამკეცი ტანჯვა ციხეში ჯდომისა, გამოძიებისა და ზრალდებისა. გვ. 108.

12. ...n'ayant que cette famille plus vaste, plus envirante lorsqu'elle accalme, mais que soit moins consoler et plaindre: la patrie p. 248.

...ему оставалась только другая, более обширная семья, способная на большие восторги, но неумеющая так утешить, так тепло пожалеть — отечество. с. 13.

... მართალია, ჰქონდა კიდევ ერთი სხვა ვრცელი, უფრო დიდი ოჯახი, უფრო დიდთა სიხარულთა მომნიჭებელი, მაგრამ იმისთანა კი რომელიც არ არის ისე ნუგეშმცემელი, ისე მხურვალედ გულშემატკივარი, როგორც საკუთარი ოჯახი — და ის ვრცელი ოჯახი მისი სამშობლო, მისი ქვეყანა იყო. გვ. 111.

იმისათვის, რომ შეიქმნას სრული წარმოდგენა ფრანგულ ტექსტსა და მის რუსულ და ქართულ თარგმანებზე, გავეცნოთ კიდევ რამდენიმე მაგალითს რომლებშიც ნათლად ჩანს არა მარტო ორიგინალის მხატვრული უპირატესობა თარგმანებთან, რუსული ტექსტის სიახლოვე დედამათან და ქართული თარგმანის მსგავსება რუსულთან. არაყედ ისიც, თუ როგორი ლაკონიური და გამომსახველია ილიასეული ქართული თარგმანი რუსულ ტექსტთან შედარებით:

1. L'année commençait dans la pluie, dans la boue, dans une atmosphère spongieuse et malsaine qui glaçait les os plus cruellement que ne l'eût fait la gelée.

Ce premier matin de janvier, avec le jour gris et sombre, Noël Rambert s'était levé à jeun depuis vingt-quatre heures, les entrailles criant la faim, morne, la tête lourde, et regardant d'un oeil accablé un enfant étendu sur des haillons et qui dormait en fronçant ses bonnes lèvres roses, où, samblait-il, on eût recueilli encore la dernière goutte de lait dont il était servé. (J. Claretie, Noël Rembert, Paris, 1872). p. 1.

1-го января 1859 года Ноэль Рамбер встал на рассвете мрачный, голодный, он не ел уже целые сутки, голова его была тяжела, и потухший взгляд уныло блуждал по бледному личику пятилетнего ребенка, спавшего на грязном дырявом матрасе, в пустой холодной комнате. с. 39.

პირველ იანვარს 1859 წლისას ნოელ რამბერმა გამოიღვიძა განთიადისას, გულზედ მოსული იყო და მშვიერი. ერთი მთელი დღე და ღამე პური არ ეჭამა, თავი ისე შიშველ ჰქონდა, თითქო ტყვია ჩაუსხამთო; მისი ჩამქრალი თვალები მწუხარედ დასცქეროდა ხუთის წლის ბაბლს, იქვე ცარიელს ცივს ოთახში მწოლარეს დაფლეთილ და ქუჩყიანს ლოგინზედა (ხელნაწ. ინსტ. ი. ჰავკავაძის ფონდი № 1722) „ერთი უბედურთაგანი“, ე. კლარეტი, გვ. 1.

2. De bonne heure orphélin, élevé à l'atelier, nourri des idées républicaines qui, à la veille de 1848 grandissaient et se fortifiant déjà à Paris pour y devenir toutes puissantes vingt ans plus tard, Noël avait donné à la jeune République toute sa jeunesse et toute sa sève. Le coup de Février l'avait grisé comme un soleil printanier, et, avec l'enthousiasme irresistible des vingt ans, il s'était jeté contiant dans la mêlée. p. 2.

Сирота, воспитанный среди рабочих, он с детства всосал в себя идеи, которые так быстро распространялись в Париже перед 1848 годом, и когда вспыхнула февральская революция, он с юношеским пылом встал в ряды сражающихся. с. 39.

მას ობოლს, მუშებში გაზრდილს, ჯერ პატარობითვე შეეთვისებინა ის აზრები, რომელთაც ეგრე სწრაფად გაიდგეს ფესვები უცხო პარიჟში 1848 წელსა, — და როცა თებერვლის რევოლუციამ იფეთქა, იგი უმაწვილკაცობის სიმბურვალითა ჩადგა მეომართა შორის. გვ. 2.

3. Comme il était sobre, il se trouvait heuereux dans sa pauvreté. p. 2.

Трезвый, скромный труженик, он считал себя счастливым, несмотря на свою бедность. с. 39.

... ულოთველი, მშვიდობიანი მუშაკი თავის თავსა ჰრაცხდა ბედნიერად, თუმცა ღარიბი კი იყო. გვ. 1.

4. Il se donnait, à trente-cinq ans, tout entier à sa passion nouvelle, comme, à vingt ans, il s'était livré à sa passion première. Lorsqu'un matin, toute rouge, Marthe lui dit qu'elle allait devenir mère, il l'embrassa à l, l'étouffer et sauta par la chambre comme un fou. p. 6.

Теперь на тридцать пятом году он так же всецело отдался новой страсти, как десять лет перед тем своей первой любви — к отечеству и свободе. Он несколько раз предлагал Марте заключить с ней гражданский брак, но она всегда отвечала:

— Зачем!..., если нам суждено всегда любить друг друга, то не к чему вмешивать в наши дела мэра... с. 40.

ეხლა ოცდამეთხუთმეტე წელიწადში ისე მთლად მიეცა ახალს ტრფიალებას, როგორც ამ ათის წლის წინად თავის პირველს სიყვარულს — მამულისას და თავისუფლებისას. რამდენჯერმე უთხრა მართას ჯვარი დავიწეროთო, მაგრამ ქალი პასუხად ყოველთვის ამას ეტყოდა ხოლმე: — რათაო? თუ ბედად გვიწერია, რომ ერთმანეთი ყოველთვის გვეყვარება მღვდლის გარევა ჩვენს საქმეში რა საჭიროა... გვ. 5.

5. Le matin de janvier, lorsqu'il s'éveilla, marchant à lafenêtre d'un pas lent, regardant le ciel gris, les toits mouillés, les murailles mornes comme des murs de prison et où couraient, sales et noirs, les conduits d'eaux de pluie. lorsqu'il reporta sur le petit Jacques endormi son regard atone, rcugi, affolé, Noël Rembert n'avait littéralement plus rien, rien, pour manger. p. 19.

Встав утром 1-го января, Рамбер бросил мутный, отчаянный взгляд на спящего ребенка, подошел к окну, взглянул на серое небо, на мокрые крыши и дико осмотрелся по сторонам. Он искал, не было-ли чего в его убогом жилище продать, заложить, или выменять на кусок хлеба. Но решительно ничего не было. с. 43.

რამბერი პირველს იანვარს, წამოდგა თუ არა ფეხზედ, ამრეზილის და უიმედობის თვალთა გადახედა მძინარე ბავშვსა, მივიდა ფანჯარასთან, შეხედა ჯანლიანს ცას, სველს ბანებს და გიჟსავით მოატარა თვალი თავის ოთახში. ეძებდა, იქნება ეგდოს რამეო ან უნუგეშო ადგილას, რომ ან გავყიდო, ან დავავიროვო, ან ლუკმა პურზედ გავცვალო, მაგრამ სრულებით ვერა იპოვა რა. გვ. 11.

6. Rembert sortit. Il se mit à marcher au hazard, sans but, les yeux sur toutes choses. Il était persuadé qu'il trouverait, il ne savait où, dans la boue, un porte-monnaie perdu, n'importe quoi, pour manger. p. 21.

...Потом он вышел на улицу и пошел машинально куда глаза глядит, дико озираясь по сторонам. Он был уверен, что найдет что-нибудь или каким-нибудь способом добудет кусок хлеба. с. 44.

... მერე გავიდა ქუჩაში, არ იცოდა კი, სად მიდიოდა და აფთარსავით აქეთ-იქით იყურებოდა. გული კი ეუბნებოდა, რომ ლუკმა-პურს, საცა იქნება, როგორმე იშოვის. გვ. 13.

7. Noël fuyait le legis, poussé par ce besoin qu'on a desecouer l'affaissement qui vous gagne, la torpeur mauvaise qui vous gagne, la torpeur mauvaise qui vous envahit. Il avait peur de ce tête-à-tête avec son enfant. Il voulait courir encore comme si cette furie de locomotion pourrait calmer ses nerfs, éteindre sa fièvre. p. 33.

...а главное, он не мог оставаться дома с глазу на глаз со своим ребенком. Он чувствовал какую-то безумную потребность движения, точно оно могло успокоить его нервы и прекратить лихорадку, которая его трясла. с. 47.

...გული არ უდგებოდა ერთს ადგილას, უნდოდა ხეტებულებო, რომ ძარღვები დაეწყნარებინა და მოენელებინა ციება, რომელიც აძაგძაგებდა. გვ. 20.

8. Vous êtes le plus grand et le plus loyal coeur d'homme qui ait battu sous le soleil. Quand vous aimez, vous ne pouvez pas croire au mal chez ceux que vous avez vue à l'oeuvre. p. 317.

Вы благороднейший человек на свете. Вы не можете любить на половину, вы не верите в преступность тех, которые честно работали и боролись за свободу и справедливость рядом с вами. с. 10.

თქვენ ყველაზედ პატიოსან კაცად გიცნობთ, თქვენ მეტ-ნაკლებობით სიყვარული არ შეგიძლიათ, თუ გიყვართ ვინმე სრულად გიყვართ. თქვენ არა გჯერათ ავ-კაცობა მათი, ვინც თქვენთან ერთად გულმართლად ირჯებოდა და იბრძოდა თავისუფლებისა და სიმართლისათვის. გვ. 175.

9. Vous n'avez pas voulu dire que ce pauvre garçon qui j'ai vu tomber, qui j'aurais défendu, sacré tonnerre, vous n'avez pas voulu dire que je l'ai assassiné. p. 57.

Не может быть, чтоб вы считали меня убийцей бедного юноши, которого я, черт возьми, защитил бы грудью, если бы успел явиться во-время. с. 54.

როგორ იქნება, როგორ, რომ მე დამსახონ მკვლელად იმ ყმაწვილკაცისა, რომელსაც, ვაი შენ ჩემო თავო, წინ ავეფარებოდი და ისე დავიხსნიდი რომ მივსწრებოდი. გვ., 35.

მოყვანილი მაგალითებიდან აშკარად ჩანს ქართული თარგმანის მსგავსება რუსულთან და ამავე დროს მისი განსხვავებაც ორიგინალისაგან. ეს იმიტია გამოწვეული, რომ რუსმა მთარგმნელმა, როგორც თვითონ აღნიშნავს მისეული თარგმანის შესავალში, ფრანგული ორიგინალიდან გადმოაკეთა ის, რაც მან სცნო საინტერესოდ, რაც იმდროინდელი საზოგადოებისათვის მისაღები იქნებოდა. მან გამოტოვა დედნის ის ადგილები, რომლებიც ეხება საფრანგეთის XIX საუკუნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, პერსონაჟების დახასიათებას, მათი პირადი ცხოვრების ასახვას და სხვა. რუსი მთარგმნელი ზოგჯერ ცდილობს თავსი სიტყვებით გადმოგვეცეს ორიგინალში ვრცლად აღწერილი მოქმედება, ან ტექსტიდან ამოკრებილი რამდენიმე წინადადებით გადმოგვეცეს მთელი აბზაცის ან გვერდის აზრი. რუსულ ტექსტში ვკით-



ხულობთ მთარგმნელისეულ კოპენტარებსაც (რუსული თარგმანი, გვ. 40, გვ. 48 და სხვ.).

ილია ჭავჭავაძე თავის თარგმანში იმეორებს რუსი მთარგმნელის მეორე ფრანგულ ორიგინალში შეტანილ ცვლილებებს და, ამასთანავე, თავის მხრივაც ამოკლებს ქართულ თარგმანს (იხ. რუს. თარგმ. გვ. 50—ქართ. თარგმ., გვ. 25, რუს. თარგმ., გვ. 16—ქართ. თარგმ., გვ. 118, რუს. თარგმანიდან 60 გვ-ის ნაწილი ი. ჭავჭავაძეს გამოუტოვებია და სხვ.).

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი მისდევს რუსულ თარგმანს და სრულებით არ შეინიშნება მისი მსგავსება ფრანგულ ორიგინალთან.

#### § 6. პიერ პრუდონი, „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“

ფრანგი წვრილბურჟუაზიული სოციალისტი პიერ-ჟოზეფ პრუდონი (Pierre Joseph Proudhon) დაიბადა 1809 წლის 15 სექტემბერს ფრანშკონტეში, ბენზანსონთან ახლოს. მამა ლუდის წარმოებას მისდევდა, დედა დიასახლისი იყო. ოჯახს მატერიალურად უჭირდა ხუთი შვილის შენახვა. პიერ-ჟოზეფი, უფროსი მათ შორის, ეხმარებოდა მშობლებს — 12 წლამდე მწყემსად მუშაობდა. გარეშე პირთა დახმარებით იგი მოეწყო ბენზანსონის გიმნაზიაში სადაც სწავლობდა 19 წლის ასაკამდე. შემდეგ მან გადაწყვიტა ტიპოგრაფისტი ფამხდარიყო. ეს არჩევანი იმდენად მცკიცე აღმოჩნდა, რომ მან შეწყვიტა გიმნაზიაში სწავლა და ერთ-ერთ სტამბაში დაიწყო მუშაობა ჯერ ამწყობად, შემდეგ კი კორექტორად. 1836—1839 წლებში პრუდონმა საზიაროდ შეიძინა პატარა სტამბა, სადაც თხუთმეტი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერად ემსახურებოდა თავის საქმეს. მართალია, მატერიალურად ვერ მოიპარტა ხელი, სამაგიეროდ კარგად შეისწავლა ებრაული ენა და დიდად გათვითცნობიერდა თეოლოგიაში, რადგან მის ხელში ტრიპლებდა უამრავი თეოლოგიური ლიტერატურა.

1837 წელს აბატ ბურჟეს ნაშრომთან „*Eléments primitifs des langues*“ (ერთად მან გამოსცა თავისი პირველი მეცნიერული შრომა „*Essa id'une grammaire générale*“, რომელიც მოგვიანებით (1853 წ. ცალკე წიგნადაც გამოიცა. თუმცა ავტორი უკვე აღარ ეთანხმებოდა ამ ნაშრომში გამოთქმულ თავისსავე მოსაზრებას. მიუხედავად ამისა, პარიზის აკადემიამ ამ ნაშრომს დადებითი შეფასება მისცა, ხოლო ბენზანსონის აკადემიამ პრუდონს მომავალი სამეცნიერო მუშაობისათვის უან-ბატისტ სიუარის ქვრივის მიერ დაწესებული სამწლიანი სტიპენდია დაუნიშნა. ბენზანსონის აკადემიისადმი გაგზავნილ წე-

რილში იგი გულწრფელად და საინტერესოდ წერს თავისი ბიოგრაფი-  
ისა და მომავალი გეგმების შესახებ; „დაბადებული მუშათა კლასის წი-  
ალში, მე მას ვეკუთვნი მთელი გულითა და შთაგონებით, განსაკუთრე-  
ბით, საერთო ტანჯვითა და განცდებით. თქვენი მხარდაჭერა, ბატონებო,  
უძველად მომცემს შესაძლებლობას ამიერიდან ვიმუშაო მეტი მონ-



პიერ-ჟოზეფ პრუდონი

დომებით ცოდნისათვის, მეცნიერებისათვის... მე ვეკუთვნი იმ ერს,  
რომლის დევიზია: „შრომით სიცოცხლე, ან ბრძოლით სიკვდილი!“<sup>51</sup>.  
(„Vivre en travaillant ou mourir en combattant“) ამ სიტყვებით

<sup>51</sup> Guvillier A., Proudhon Pierre-Josephe, Paris, p. 103—105.

ჩვენს წინაშე წარმოგვიდგება დაუშრეტელი ენერჯისა და შემოქმედებით ცეცხლის მქონე ავტორი, რომელიც მუდამ ძიებაშია, რადგან ჯერ კიდევ ბუნდოვნად ესახება ცხოვრების გზები. 1840 წლიდან ზედღწედ გამოქვეყნდა პრუდონის რამდენიმე მეცნიერული ნაშრომები: „რა არის საკუთრება“, რომელიც იმავეთვე პოპულარული გასდა და ითარგმნებოდა კიდევ სხვადასხვა ენაზე (რუსულად ითარგმნა მხოლოდ 1907 წელს), „მეტისმეტი უთანასწორობა და საკუთრება“, „მესაკუთრეებს“ და სხვ.

1843 წელს პრუდონმა დაიწყო მუშაობა სულ სხვა მიმართულებით — 5 წლის განმავლობაში იგი პირნათლად ემსახურებოდა სატრანსპორტო საწარმოს მესაკუთრე ძმებს — გოტიეებს. ამ ხნის მანძილზე შეადგინა რამდენიმე ჩანაწერი „სანაოსნო გზებისა და რკინიგზის კონკურენციის შესახებ“ და, რაც მთავარია, გამოაქვეყნა ორი მეტად მნიშვნელოვანი შრომა: ადამიანთა კანონების წარმოშობის შესახებ, „ეკონომიკურ წინაღმდეგობათა სისტემა, სიღარიბის ფილოსოფია“ ორ ტომად.

1848 წლიდან პრუდონი ცნობილი გახდა, როგორც პოლიტიკური მოღვაწე და ჟურნალ „Représentant du peuple“-ის რედაქტორი. იგი დაუნდობლად ებრძოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს. თავის ახალ თხზულებებში ნათლად გამოიკვეთა მისი დამოკიდებულება არსებული წყობილების მიმართ. მან წარმოადგინა კლასთა ეკონომიური თანამშრომლობის პროექტი და ანარქიული თეორია „სახელმწიფოს ლიკვიდაციის“ შესახებ.

1849 წლის 28 მარტს ლუი ნაპოლეონ ბონაპარტეს წინააღმდეგ დაწერილი სტატიების გამო მას მიუსაჯეს 3 წლით პატივრობა. პრუდონმა მოასწრო ბელგიაში გაქცევა და თითქოს ყველაფერი კარგადაც დასრულდებოდა, რომ თავისი სატრფოს წამოსაყვანად არ დაბრუნებულყო პარიზში. (მან ცოლად შეირთო მდამიო წარმოშობის ქალი, გვარად პიდგარი). პრუდონი აგრძელებს ნაყოფიერ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობას პარიზის საპყრობილეში. მან დაწერა ნარკვევები „რევოლუციონერის აღსარება“, „რევოლუციური საქმე“ და სხვა.

პრუდონი დიდი სიხარულით შეხვდა სახელმწიფო გადატრიალებას (1851 წ.) ეს კარგად ჩანს მის მიერ 1852 წელს გამოქვეყნებულ ნარკვევში „La révolution sociale démontée par le coup d'état“ („სახელმწიფო გადატრიალებით ჩაშლილი სოციალური რევოლუცია“). იგი გაათავისუფლეს 1852 წელს, მაგრამ მისი მეცნიერული თხზულებები აიკრძალა. ავტორი იძულებული იყო თავისი ნაწარმოებებს ნაწილი („პროგრესის ფილოსოფია“, „სახელმძღვანელო საბირჟო სპე-

კულანტისათვის“, „რკინიგზის ექსპლოატაციაში ჩასატარებელი რეფორმები“ და სხვ.) გამოქვეყნებინა საზღვარგარეთ.

პ. ე. პრუდონი თავისი შეხედულებების შეუპოვარი და უშიშარი მქადაგებელია. მას არ შეუძლია გულგრილად მიიღოს არსებული მდგომარეობა. თავის შრომაში „სამართლიანობა რევოლუციისა და ეკლესიაში“ იგი დაუფარავად აკრიტიკებს რელიგიურ და პოლიტიკურ კათოლიციზმს. ამ ანტიკლერიკალური თხზულებისათვის 1858 წელს მას მიუსაჯეს 1 წლით პატიმრობა, 4000 ფრანკი ჯარიმა და გამოკეძლ ნაწარმოებთა განადგურება. მაგრამ სანამ საქმე სასამართლომდე მივიდოდა, იგი უკვე ბელგიაში იყო, სადაც გააგრძელა თავისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. 1860 წელს პრუდონი ამნისტირებულ იქნა. 1862 წელს, საშრობლოში დაბრუნებას შემდეგ, მან ჩვეული შემართებით გააგრძელა მეცნიერული მოღვაწეობა. იგი ეზიარა წვრილბურჟუაზიულ სოციალურ-რეფორმატორული მიმდინარეობის — მიუტი-უფლისტთა პროგრამას რომელიც, ისევე როგორც პრუდონიზმი, უარყოფდა კლასობრივ ბრძოლას, რევოლუციას და სოციალური საკითხების გადაწყვეტას საზოგადოებრივ ურთიერთდახმარებაში ხედავდა.

პრუდონმა სიცოცხლის უკანასკნელი წლები მძიმე მატერიალურ პირობებში გაატარა. იგი გარდაიცვალა 1865 წლის 19 იანვარს, პარიზში.

პ. ე. პრუდონი კარგად იცნობდა ახალგაზრდა ჰეგელიანელების მოძღვრებას. კარლ მარქსი ამაოდ ცდილობდა მის გადაყვანას რევოლუციურ პოზიციაზე, იგი ბოლომდე თავისი უტოპიური წვრილბურჟუაზიულ რეფორმისტულ შეხედულებათა ერთგული დარჩა. მას სწამდა საზოგადოების მშვიდობიანი გარდაქმნა კრედიტისა და მიმოქცევის რეფორმის საშუალებით. პრუდონი აკრიტიკებდა ბონაპარტეს ხელისუფლებას, მხარს უჭერდა მსხვილ ბურჟუაზიას. თუმცა ქადაგებდა პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, რითაც ამუხრუჭებდა მუშათა კლასის პოლიტიკურ აქტიურობას. მისი აზრით, სახელმწიფო საზოგადოების დამშლელი აპარატია. იგი არსებობს მხოლოდ ჩაგვრისა და პარაზიტის განვითარებისათვის. პრუდონი ძალიან პოპულარული იყო საფრანგეთში. როგორც განსხვავებული მოსაზრებებით, ასევე გარეგნობით და მანერებით. სხარტი დახვეწილი მეტყველების წყალობით მისი თანამოაზრეთა რიცხვი თანდათან გაიზარდა. ამავე დროს, კონსერვატიული და მეტად თავისებური ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური შეხედულებების გამო პრუდონს ბრძოლას უცხადებდა მრავალი პოლიტიკური მოღვაწე: კ. მარქსი, ფრ. ენგელსი ფრ. ბასტია და სხვ<sup>52</sup>.

<sup>52</sup> George Gurvith, Proudhon, sa vie et son oeuvre, Paris, 1965, p. 7.

3. უ. პრუდონის მეცნიერული შრომები ცნობილი გახდა მრავალ ქვეყანაში. 1863 წელს პეტერბურგში უერნალ „Отечественные записки“-ში დაიბეჭდა მისი სტატია სათაურით — „Бедность, как экономический принцип“, რომელიც შედგება ორი თავისაგან: I. „Основные начала политической экономии, законы бедности и равновесия“, II. „Иллюзия богатства. Начало и всеобщность пауперизма“<sup>53</sup> იგი მეტად დროული და საჭირო იყო პრუდონის ეკონომიკური თეორიებით დაინტერესებულ იმდროინდელ რუს მკითხველთათვის, რადგან, როგორც მთარგმნელი აღნიშნავს<sup>54</sup>, ფრანგი მეცნიერის ეკონომიკური თეორიების შესახებ ხშირად ყოფილა საუბარი რუსეთის მოწინავე საზოგადოებაში, თუმცა კარგად ვერ ჩასწვდნენ მის არსს. ამ გარემოების გამო რუსმა მთარგმნელმა საჭიროდ ჩათვალა, გაეცნო მკითხველებსათვის პრუდონის სისტემის მთავარი საფუძველი.

რუსული თარგმანი შესრულებულია ბრიუსელში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებული პრუდონის თხზულებიდან „La guerre et la paix“ („ომი და მშვიდობა“. იგი შედგება ორი ტომისაგან, რომელშიც გაერთიანებულია 5 წიგნი. რუსულად გადაითარგმნა IV წიგნის „Cause première de la guerre“ („ომის პირველი მიზეზი“) II და III თავი: „Principes fondamentaux de l'économie politique—Loi de pauvreté et d'équilibre“ („პოლიტიკური ეკონომიკის ძირითადი პრინციპები—სიღარიბისა და თანასწორობის კანონი“), „Illusion de la richesse—origine et universalité de pauperisme“ („სიმდიდრის ილუზია — პაუპერიზმის წარმოშობა და მისი უნივერსალობა“), რომლებიც სავსებით დამოუკიდებელ საკითხებს წარმოადგენენ და მასში სრულად არის მოყვანილი პრუდონის ეკონომიკური თეორია. ამან ხელი შეუწყო რუს მთარგმნელს ვრცელი თხზულებიდან ეთარგმნა ზემოაღნიშნული თავები, რომლებიც ერთ საერთო სათაურში გააქთლიანა „Бедность, как экономический принцип“.

პეტერბურგის მკითხველი საზოგადოება ძალიან დაინტერესებულა პრუდონის თხზულებით „La guerre et la paix“ (ომი და მშვიდობა), თუმცა, მთარგმნელის გადმოცემით, მას სათანადო შეფასება არ მიუღია: «...Что касается его книги о войне и мире вообще, то как известно, она гораздо слабее прежних его сочинений, полна нередко странных парадоксов, софизмов и противоречий, неприятно поражает многословием и скудностью фактических данных. Об этом у нас было много говорено»<sup>55</sup>.

<sup>53</sup> Журн. «Отечественные записки», том X VIII, СПб, 1863.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 72.

<sup>55</sup> «Отечественные записки», том X VIII, 1863, СПб, с. 73.

ამ სიტყვებიდან ჩანს, თუ რაოდენ კარგად იცნობდა მთარგმნელი არა ნარტო ამ თხზულებას, არამედ მეცნიერი მწერლის შემოქმედებას, მის თავისებურ სტილს, მანერას, კოლორიტს: „Прудон, со свойственной ему горячией и увлекательной диалектикой излагает закон пауперизма“<sup>56</sup>. ასე იცნობდნენ პრუდონს მისი თანამემამულენიც.

რუს მთარგმნელს სერიოზული შრომა აქვს გაწეული. იგი დიდა ყურადღებით და სიზუსტით მისდევს ორიგინალის ტექსტს. ზოგან თავის კომენტარსაც ურთავს, რომ რაც შეიძლება ნათელი გახადოს იგი ფართო მკითხველთათვის. მთარგმნელი, რომლის ვინაობა მითითებული არ არის, ამ მხრივ პროფესიულ ცოდნას ამჟღავნებს.

პ. ყ. პრუდონის სტატიას „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“ ქართველი მკითხველი 1863 წელს გაეცნო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ (№ 10) მეშვეობით. მანამდე კი პრუდონი, რომელიც ესოდენ პოპულარული იყო ბევრ ქვეყანაში, და მათ შორის რუსეთში, ნაკლებად იყო ცნობილი ქართველი საზოგადოებისათვის. მოგვიანებით, 1890 წელს „უცხოეთის მწერლების“ სერიით გიგო თოიძის მიერ გამოქვეყნებულ იქნა მცირე ზომის წიგნი, მიძღვნილი პ. ყ. პრუდონის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ფრანცუზების მდიდარს მეთვრამეტე საუკუნეს მოჰყვა მდიდარი მომავალი და მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთის ერს დაებადნენ მრავალი გამოჩენილი პირები, რომელთა სიცოცხლესთანაც შეკავშირებულია საფრანგეთის ერის გონებითი, ეკონომიური და საოციალური მდგომარეობა და პირობები. ერთი ამგვარი ძლიერი პირთაგანი არის პეტრე პრუდონი“<sup>57</sup>.

ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ მეათე ნომერში 1863 წელს დაბეჭდილი პ. ყ. პრუდონის სტატიის — „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპის“ ქართული თარგმანი ხელმოწერილია „ბ. ვ“-ს ფსევდონიმით.

ილია ჭავჭავაძე სხვა ქვეყნის მწერალთა დებულებების მოხმობით ცდილობდა თანამემამულეთა დარწმუნებას ამა თუ იმ საკითხზე თავისი მოსაზრების ჭეშმარიტებაში, და, ეტყობა, გარკვეულ წინააღმდეგობასაც აწყდებოდა მკითხველის მხრიდან: „ჩვენში ხშირად იციან, რომ როცა ჩვენის ცხოვრების რომელსაღე ვითარებას სხვისის ისტორიით ვხსნით, არა ჰხედვენ იმისთანა მოვლენას, რომელსაც საერთო კაცობრიობის თვისება და ხასიათი აქვს და თავის გასამართლებლად იძახიან ხოლმე, ან ჩვენს ცხოვრებას, ან ჩვენს ისტორიას საერთო რა აქვს დანარჩენ ქვეყნიერების ცხოვრებასა და ისტორიასთან, რომ ამა და

<sup>56</sup> «Отечественные записки», том XVIII, СПб, 1863, с. 73.

<sup>57</sup> ბ. თოიძე, უცხოეთის მწერლები, 1890, გვ. 1—2.

ამ ვითარებასა ჰქონდესო, რომ ასე უმართლოდ და სუბუქად არ მოიწიონ ზემოთქმულის აზრის დასარღვევად ჩვენ მოვიყვანთ მანამდე შთელს ევროპაში განთქმულს მეცნიერს...“<sup>58</sup>.

ამ თარგმანშიც ილიას შეტანილი აქვს მხოლოდ ის მოვლენები და თეორიები, რომლებიც თავის ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებას შეეფერება, მათთვის საშუარი და აუცილებელია.

პრუდონის სტატიის ქართული თარგმანი რუსული თარგმანიდან მომდინარეობს. იგი შემოცირებულია, ამასთან, III თავი — „Иллюзия богатства. Начало и всеобщность пауперизма“. საერთოდ არ არის ნათარგმნი. ტექსტის ასეთი შემოცირება შეიძლება იმიტომ აიხსნას, რომ ი. ჭავჭავაძე ამ სტატიაში მოცემულ პრუდონის ყველა თეორიას არ ეზიარება და არ თვლის საჭიროდ გააცნოს იგი თავის თანამემამულეებს.

როგორც აღვნიშნეთ, რუს მთარგმნელს ზუსტად და საქმის ცოდნით შეუსრულებია თარგმანი, თუმცა თითქოს იგრძნობა, რომ იგი მკითხველი საზოგადოების წინაშე პ. უ. პრუდონისა და მისი აზრების ერთგვარ დემონსტრირებას ახდენს, ცდილობს უმაღლეს გააცნოს თავის თანამემამულეებს ევროპის ცხოვრების სიახლენი, პოპულარული მეცნიერი და მისი უცნაური თეორიები.

ი. ჭავჭავაძისეული თარგმანი კი უფრო დიდ და საპატიო მიზანს ემსახურება, მას ქველმოქმედება ახლავს. იგი შრომის, ზნეობის, ადამიანთა შორის უფლება-მოვალეობის გათანასწორების, გონების ამაღლებისა და მშვიდობის ქადაგებადაა ქცეული.

ქართული ტექსტის რუსული თარგმანიდან წარმომავლობას პირველი შეხედვითვე გვაძინობს სტატიის სათაური. ფრანგულ ორიგინალში IV წიგნის (რომელშიც შედის თერთმეტი თავი) სათაურია „Cause première de la guerre“ („ომის პირველი მიზეზი“)<sup>59</sup>, რუსული სტატიის სათაური მთარგმნელისეულია — „Бедность, как экономический принцип“<sup>60</sup>. ქართული ილიასეული თარგმანის სათაურიც იგივეა: „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“<sup>61</sup>. შემდეგ კი, ორიგინალის რუსულ და ქართულ თარგმანებთან შედარებით უფრო მეტად დაგვიარწმუნა მათ მსგავსებაში:

1. Le pauperisme sevit sur les nations civilisées autant que sur les hardes barbares, souvent davantage. p. 164.

<sup>58</sup> ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, 1928, ტ. VIII, „ბიზნების საქმე“, გვ. 163—164.

<sup>59</sup> Proudhon, La guerre et la paix, Bruxelles, livre IV, chapitre 11.

<sup>60</sup> «Отечественные записки», том XVIII, 1863, СПб.

<sup>61</sup> უურნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № 10.

Пауперизм столько же свирепствует среди цивилизованных народов, сколько и между полчищами варваров, а может быть и сильнее. с. 73.

სისაწყლე, უილაჯობა ისეთი ძლიერია განათლებულის ხალხშიაცა, როგორც ბარბაროზების დროებში, და იქნება უფრო მეტადაც. გვ. 72.

2. Quoi qu'il en soit, l'homme partage la condition commune de l'animalité: il faut qu'il mange, en langage économique, qu'il consomme. p. 165.

Как бы то ни было, человек разделяет общую участь животных: он должен есть, т. е. потреблять говоря экономически. с. 74.

რაც უნდა იყოს კაცის ცხოველის საზოგადო მხვედრი აწევს კი-სერხედ: კაცმა უნდა ჰსკამოს და სვას ე. ი. უნდა იხმაროს როგორც ეკონომისტები ამბობენ. გვ. 73.

3. Vous n'avez réellement gagné que votre vie, et que vous n'auriez pas de quoi célébrer un carnaval de quinze jours. p. 181.

Вы к удивлению увидите, что в действительности трудом только едва можете поддерживать жизнь и что вам нечем даже отпраздновать двухдневную масленицу. с. 83.

... მაშინ თქვენდა საოცრად თქვენვე ნახავთ, რომ თქვენს ნამუშევრით ძლივს ირჩენთ თავსა და არც კი გრჩებათ არაფერი, რომ ყველიერის ორ დღეს მაინც ქეიფი გაჰსწიოთ. გვ. 84.

4. Donc, n'ayez pas de regret, accepter virilement la situation qui vous est faite, et dites-vous, une fois pour toutes, que le plus heureux des hommes est celui qui sait mieux être pauvre. p. 183.

Значит не жалейте же; принимайте как подобает мужу, данное вам положение и скажите себе, что счастливейший человек тот, который умеет лучше всего быть бедным. с. 84.

მამ ულარ გშურთ; როგორც ვეკაცებმა მოითმინეთ ყოფა, რომელშიაც ხართ და უთხარით თქვენს თავს: ბედნიერი კაცი უფრო ისა ყოფილა, ვისაც სკოდნია ღარიბად ყოფნა. გვ. 86.

მართალია, ქართული თარგმანი რუსულიდან მომდინარეობს, მაგრამ ქვემოთ მოხმობილ ნიმუშებში შეიმჩნევა, რომ ქართველი მთარგმნელი ცდილობს მკითხველს უფრო გასაგებად მიაწოდოს ტექსტში გატარებული აზრი, იგი ალაგ-ალაგ ხსნის და ამარტივებს სიტყვას ან წინადადებას:

5. La philosophie n'est qu'une manière de généraliser et d'abstraire les résultats de notre travail. p. 166.

Философия есть только средство обобщать и возводить в отвлеченность результаты нашего опыта, т. е. труда. с. 74.

ფილოსოფია მარტო ღონისძიება არის, რომელიც განაზოგადებს,



მცნებათა ჰქმნის ჩვენის გამოცდილების ე. ი., შრომის ნაყოფისა, გამო-  
სავალსა (რეზულტატსა). გვ. 73.

6. Le bien-être, dans une société donnée ne dépend pas tant de la quantile absolue de richesse accumulée, toujours moindre qu'on ne suppose, que du rapport de la production à la consommation, surtout de la distribution des produits. p. 161.

Благосостояние в данном обществе не столько зависит от абсолютного количества накопленного богатства, всегда меньшего, чем думают, сколько от отношения производства к потреблению, а в особенности — от распределения продуктов. с. 73.

რომელიმე ხალხის კეთილი მდგომარეობა, რასაკვირველია, სარჩოს სიმრავლეზედ არის დამოკიდებული, მაგრამ იმოდენად კი არა, რამოდენადაც იმაზედ, რომ ხალხს რაც უნდება, ის მოჰყავს თუ არა და უფრო იმაზედ, რომ ის მოყვანილი ყველასათვის მისაწვდომია და თანასწორად განწილულია თუ არა. გვ. 72.

7. De tout cela il résulte que devant une puissance de production forcément restreinte, la plus exacte économie nous est donnée. p, 171.

Из всего этого следует, что, в видах безграничной силы потребления и силы производства волею-неволею ограниченной, с нас требуется самая строгая экономия. с. 77.

რაცა ექსტრემით ამისაგან ის გამოდის, რომ ჩვენ უნდა დიდი ეკონომია ვიქონიოთ, იმიტომ—რომ რაც ჩვენ გვიჭირს, ამას დასასრული არა აქვს და გაჭირებისაგან დახსნისათვის შრომას კი თავისი სამზღვარი აქვს. გვ. 77.

8. La production a sa raison et son mobile dans le besoin. Il y a donc un rapport naturel entre le produit à obtenir et le besoin qui sollicite la producteur. p. 174.

Производство обуславливается и оправдывается потребностью. Следовательно, есть естественное отношение между запросом на произведение и потребностью производителя. с. 79.

მოყვანა რისამე დამოკიდებულია საჭიროებაზედ. თუ ერთი რამ არავისთვის საჭირო არ არის ვინ იქნება რომ იმაზე შრომა გასწიოს. პანასადამე რამდენიც საჭიროა იმდენი უნდა მოიყვანო. გვ. 79.

9. Mais attendez que la population se soit mise au niveau de cette richesse, ce qui peut se faire en moins d'un demi-siècle, et l'Espagne vous reparaitra, dans des conditions de moralité supérieure, il faut l'espérer, ce qu'elle fut d'Isabelle I-re à Isabelle II, en équilibre, c'est-à-dire pauvre. p. 178.

Но дайте населению стать в уровень с этим богатством — что может случиться меньше, чем в полвека — Испания предстанет пред вами, конечно, надо надеяться, в высших условиях нравственности, тем, чем она была от времени Изабеллы I до Изабеллы II, в равновесии, то-есть бедной. с. 81.

ჰაგრამ აბა ხალხმაც ისე მოიმატოს, როგორც სიმდიდრემ იმატა ე. ი. ხალხის რიცხვი სიმდიდრეს გაუსწორდეს — ამას ორმოცდაათს წელიწადზედ ნაკლები დრო მოუნდება — და მაშინ ისპანია გათანასწორდება ე. ი. ლარებად წარმოგვიდგება. ზნეობით კი, რასაკვირველია უკეთესი და უმაღლესი შეიქნება. გვ. 83.

10. La production a sa raison et son mobile dans le besoin. Il y a donc un rapport naturel entre le produit à obtenir et le besoin qui sollicite le producteur. p. 174.

...Все это служит только к обнаружению нашего бессилия, и мы умно сделаем, если от них откажемся. с. 81.

... სულ ამო ყოფილა და ჩვენ უღონობას აჩვენებს, რადგანაც უფრო და უფრო გვალარბებს; ისე ჰსჯობია ყველაფერზედ ხელი ავიღოთ გვ. 83.

3. ე. პრუდონის ზოგიერთმა თეორიამ ღრმა კვალი დატოვა ი. ჰავ-ჰავაძის აზროვნებაზე. ფრანგი ეკონომისტის ამ ნაწარმოების ანარეკლი შეინიშნება მის პუბლიცისტურ წერილებში: „მეცხრამეტე საუკუნე“, „შინაური მიმოხილვა“, „ცხოვრება და კანონი“, „ისევე განათლების საკითხებზე“, „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

„კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეიძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა...“ („ცხოვრება და კანონი“)<sup>62</sup>.

„ესლა რადგანაც არა ხალხს რაც უნდება, ის არ მოჰყავს და რაც მოუყვანია ისიც ყველასათვის თანასწორად არ არის განწირული, ამის გამო კეთილ მდგომარეობას ყველანი მოკლებული არიან საზოგადოება თვალად მდიდარი, ნამდვილად ღარიბი არის...“ (სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი)<sup>63</sup>.

„ადამიანი და ნამეტნავად ური არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია მშვიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლის და ზოროტის ჰიდილის გზაზე, მაგრამ უმაღლოდაც როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დი-

<sup>62</sup> ილია ჰავჰავაძე, თბუღებანი, ტ. VIII, 1928, გვ. 3.

<sup>63</sup> საქართველოს მოამბე, № 10, 1863, გვ. 72.

დის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულსათვის“ („შინაური მიმოხილვა 1895 წლისა“)<sup>64</sup>.

„გარნა შემოქმედსა, რომელმაც ეს სახე ცხოვრებისა ამოგვიჩვენა, თავისი განზრახვა ჰქონია: ეგ ჰამასმის აუცილებლობა ძალას გვატანს ჩვენ რომ ვიმოქმედოთ ვიშრომოთ... ეგ არის იმისთანა ფიზიკური და გონებითი წარმოება, რომელიც შედგენილია სულისა და ხორცისაგან. შრომა და მოქმედება მარტო ჩვენის ხორცის დაცვისათვის კი არ არის, იგი საჭიროა კიდევ ჩვენის სულის გაშლისათვის ალყავებისათვის“ („სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“)<sup>65</sup>.

„ხელი გასძარ, გაისარჩე, იმზნევე, მუცელსა და გუდათქმას ბატონად ნუ გაიხდი, იცოდე, დღეს მძლეოთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ“ („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ 1897 წ. 31 დეკემბერი)<sup>66</sup>.

„ზომიერების, ბედოვლათობაზედ ხელის აღება, არსებითი პური, არსებითსავე შრომით მოპოვებული, ლუკმის გაწყვეტა რომელიც ფიცხლავ დაძკის ხოლმე უზომობას და მცონარობას...“ („სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“)<sup>67</sup>.

„ცოდნა. სწავლა-განათლება დღევანდელი კაცისათვის არსებითი პურია, უამათოთ ადამიანი დღეს ყველაფერს მოკლებულია... დღეს უცოდნელად, უსწავლელად კაცი ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს ცხოვრების მოედანზე უმარცხოდ და უძლეულად“ (ისევ განათლების საკითხებზე 1889 წ.)<sup>68</sup>.

„მუშებსა მოუმატონ ახალი საჭიროება, რომელიც ადვილი შესაძლებელია, მითი რომ გავუხსნათ გემოვნება და ჰკუა ე. ი. უმეტესი განათლება მიანიჭოთ, რომელიც თავის თავად კაცს უილაჯობიდა და იხსნის...“ („სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“)<sup>69</sup>.

„ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, ქონებით, გონებით და ზნობით... მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა“ („მეცხრამეტე საუკუნე“, 31 დეკემბერი, 1899 წ.)<sup>70</sup>.

„ხალხის ზნე გაიწმინდა, გაუკეთესდა და ამავე დროს იმ მიზეზთა გამო, რომლითაც ქვევით მოვიყვან უფრო და უფრო დავიწყებას და

64 ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1928, გვ. 95.

65 ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863, გვ. 73.

66 ი. ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. VI, 1928, გვ. 10.

67 ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863, გვ. 80.

68 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VII, 1928, გვ. 253.

69 ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863, გვ. 81.

70 იქვე, გვ. 84.

„დარღვევას მიეცა თანაწროობის კანონი, კანონი ზომიერებისა...“ („სი-  
ლარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“)71.

... საკითხავი ეს არის — დღეს უფრო ბედნიერია კაცი თუ არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და წარმატებულს მეცნიერებით გა-  
ღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია“ („მეცხრამეტე საუ-  
კუნე“, 31 დეკემბერი, 1899 წ.)72.

„ახლა თქვენ მკითხავთ: ნაშრომი რომ ემატება ხალხს, თუმცა უფ-  
რო მრავალს იმათგანს მაგათი თავისთვის დასარჩენი ძლიერა რჩება,  
მაგრამ ზოგი ერთს თვითვეულს პირს ცხოვრება უფრო არ უკეთდება  
იმ მომატების მიხედვით?... რაში მდგომარეობს ეგ უკეთესობა? („სი-  
ლარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“)73.

ილია ჭავჭავაძის მიერ პ. ე. პრუდონის ეკონომიური და პოლი-  
ტიკური ხაზითის ნაწარმოებების გამოქვეყნებას ეურნალ „საქართ-  
ველოს მოამბეში“ საზოგადოებრივი აზროვნების, მისი მსოფლმხედ-  
ველობისა და ინტერესების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა  
ქმნდა.

გ. შარაძის ცნობით, ილია ჭავჭავაძეს თავის პირად ალბომში, მსოფ-  
ლიოს სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა პორტრეტების  
გვერდით, ქმნია პ. პრუდონის პორტრეტიც. ეს ფაქტი ერთხელ კი-  
დეც მიგვანიშნებს პ. პრუდონის შემოქმედებისადმი ილია ჭავჭავაძის  
ღრმა ინტერესზე და შეიძლება იმის დამატებით არგუმენტადაც გამოდ-  
გეს. რომ „ბ. ვ. „ს ფსევდონიმი სწორედ ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ქართველი მკითხველი საზოგადოება გაეცნო ფრანგ ეკონომისტს.  
მის ფილოსოფიურ შეხედულებებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის  
საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების  
შესახებ. უფრო მეტიც, ილიამ ამით სერიოზული ბიძგი მისცა ქართ-  
ველ ხალხს დაფიქრებულებოთ თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და  
ეკონომიურ მდგომარეობაზე. იგი ცდილობდა სათანადო მსალეობის  
მეშვეობით თავისი ქვეყნის საჭიროებოთ საკითხების გადაჭრით დას-  
ნას, მათ გამოამჟღავნებდა: „პოლიტიკურ მიმოხილვებსა და „ივერიის“  
მოწინავე წერილებში ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის, როგორც  
ევროპის, ისე აზიის ეკონომიურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო ღრმა  
ანალიზს იძლევა, ბევრ შემთხვევაში იმდროინდელი ქართული სინამ-  
დვილის ასპექტით“74.

71 ურნ. „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863, გვ. 8.

72 ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI, 1928, გვ. 8.

73 ურნ. „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863, გვ. 84.

74 გ. ჯიბლაძე, ილია ჭავჭავაძე, ნაწილი მეორე, 1984, გვ. 388.

ცნობილი ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტი, შესანიშნავი ორატორი და საზოგადო მოღვაწე ფრედერიკ ბასტია (Frédéric Bastiat) დაიბადა ბაიონში 1801 წლის 29 ივნისს, ადგილობრივი კომერსანტის ოჯახში. ფრედერიკი 10 წლის ასაკში დაობლდა და ბავშვის შეურვეობა



ფრედერიკ ბასტია

მამის მშობლებმა იკისრეს, რომელთაც ჰქონდათ დიდი მამული ლანდის დეპარტამენტში (მიგრონთან ახლოს). პატარა ფრედერიკს განსაკუთრებული მზრუნველობით ექცეოდა მისი მამიდა ჟიუსტინ ბასტია, რომელიც თვალყურს ადევნებდა ბავშვის სწავლასა და ყოფაქცე-

ვას. ფრედერიკი ბეჯითად სწავლობდა სენსევერის კოლეჯში, ამიტომ ერთი წლის შემდეგ იგი გაგზავნილ იქნა სორბონის განთქმულ სასწავლებელში, რომელიც ბრწყინვალედ დაამთავრა და 20 წლის ფრ. ბასტია აგრძელებს სწავლას თავისი ბიძის კომერციულ სასწავლებელში, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგზე. აქ მან შეისწავლა იტალიური, ინგლისური და ესპანური ენები, ამავე დროს, დიდი ინტერესით ეცნობოდა ეკონომიკის საკითხებსაც. 1827 წელს თავისი პაპის, მსხვილი მიწათმოქმედის გარდაცვალების შემდეგ ფრედერიკ ბასტიამ გადაწყვიტა გაეგრძელებინა თავისი საქმე მშობლიურ მიგრონში. ამისათვის მან დიდი მონდომებით ათვისა მიწათმოქმედების დარგი. მიუხედავად ღრმა თეორიული ცოდნისა, ფრ. ბასტიან ამ დარგში ვერ მოიპოვა წარმატება და დაიწყო მუშაობა მომრიგებელ მოსამართლედ მიგრონში, სადაც ცხოვრობდა 1844 წლამდე.

1830 წელს ფრ. ბასტიამ აქტიური მონაწილეობა მიიღო დიდი პოლიტიკური მოღვაწის (დეპუტატთა პალატის ოპოზიციის მქადაგებლის), გენერალ მაქსიმილიან ლამარკის მიერ ბაიონში მომზადებულ სამხედრო აჯანყებაში.

1832 წელს იგი არჩეულ იქნა ლანდის დეპარტამენტის გენერალურ მრჩევლად. მალე ფრ. ბასტიასათვის გასაგები გახდა, რომ მთელი უფლებები ცალკეულ პირთა ხელში იყო, რომ ხალხის უფლება მხოლოდ იურიდიულ ფაქტად რჩებოდა. ის თავს ანებებს იურიდიულ საქმიანობას, მუშაობს მხოლოდ ეკონომიკის დარგში.

ფრ. ბასტია დიდი ორატორი იყო. ის გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით აუდიტორიის წინაშე და ცდილობდა დაემტკიცებინა ხალხისათვის, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაზე საუკეთესო, მყარი, სრულყოფილი და სამართლიანია, თუმცა ის უარყოფდა ამ საზოგადოებისათვის დამახასიათებელ უთანხმოებას და კლასობრივ ანტაგონიზმს.

„ფრ. ბასტიას სჯერა დემოკრატიის, თუმცა ხიზლგაცრუებული ხან შემარჯვენაა, ხან შემარცხენე. მეტწილად იგი მოქმედებს თავისი შეგნებით და არ ემორჩილება არც ერთი პარტიის დისციპლინას...“<sup>76</sup>.

ინგლისურ გაზეთში „The Globe and Traveller“ ფრ. ბასტიამ შეიტყო დიდი პოლიტიკური მოღვაწის, ინგლისის მწარმოებლური ბურჟუაზიული იდეოლოგიის რიჩარდ კობდენის მიერ მოწყობილ რეფორმისტული მოძრაობის შესახებ. იგი ითვალისწინებდა ფასების დაკლებას მარცვლეულზე და ამით ინგლისის არისტოკრატიის გადაარჩენას მოსალოდნელი რევოლუციისაგან, რომელიც მას დალუპავს

<sup>76</sup> Louis Baudin, Frédéric Basliat, Paris 1962, p. 17.

უქადდა. ამ გაზეთიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა საფუძველზე 1844 წელს ფრ. ბასტიამ დაწერა მეცნიერული ნარკვევი სათაურით „ინგლისური და ფრანგული ტარიფების გავლენა ფრანგი და ინგლისელი ხალხის „კომავალზე“ („De l'influence des tarifs anglais et français sur l'avenir des deux peuples“) და გააღზენა პარიზის გაზეთ „Journal des Economistes“-ში დასაბეჭდად. ამ შრომამ დიდი წარმატება მოუტანა ავტორს.

1844 წელს ფრ. ბასტია საცხოვრებლად გადავიდა პარიზში, სადაც ის ზედება მრავალ დაბრკოლებას თავისი სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ამ სტატიებში ავტორი ეხება ინგლისელ მწარმოებლური ბურჟუაზიის იდეოლოგს რ. კობდენს და მის შრომას „თავისუფალი ურთიერთგაცვლის მიმდევართა ლიგის შესახებ ინგლისში“. ფრ. ბასტია იძულებული შეიქნა გაერთიანებინა თავისი სტატიები წიგნად „კობდენი და ლიგას“ სათაურით. მხოლოდ ამ ფორმით მოხერხდა მათი გამოქვეყნება პარიზში 1845 წელს. ამ ნაწარმოების საშუალებით ავტორს სურდა გაეღვივებინა ფრანგი ხალხის ინტერესი ამ მოძრაობისადმი, რომელიც წარმატებით ჩატარდა ინგლისში. მისი აზრით, „თავისუფალი ურთიერთგაცვლა“ აბსოლუტური სამართლიანობის, პოლიტიკური, მორალური და რელიგიური პრინციპების გამომხატველია. ფრ. ბასტიამ შექმნა პარიზის აზნანაგური ორგანიზაცია (L'organisation d'association Parisienne), რომლის მდივანი თვითონ იყო; საქმიანი ურთიერთობა დაამყარა ბორდოს, ნიცას, ჰავრისა და მარსელის თავისუფალი ურთიერთგაცვლის მიმდევართა (Libre-échangistes) ორგანიზაციებთან, დააარსა გაზეთი „Libre-Echange“ გახსნა ახალგაზრდობის სკოლა, სადაც დიდი გატაცებით კითხულობდა ლექციებს პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე.

ფრ. ბასტია მრავალჯერ იქნა არჩეული საფრანგეთის ფინანსთა კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად. 1949 წლის აგვისტოს საერთო განიარაღებისადმი მიძღვნილ კონგრესზე ფრ. ბასტიას გამოსვლამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

1849 წელს პარიზში გამოიცა ფრ. ბასტიას წიგნი სათაურით „პატარა პამფლეტები“ (Petits pamphlets). მასში გაერთიანებული იყო ავტორის მეცნიერული სტატიები თუ ნარკვევები, როგორცაა: „საკუთრება და კანონი (Propriété et loi), „სამართალი და ღმობა“ (Justice et fraternité), „კაპიტალი და რენტა“ (Capital et rente), „მშვიდობა და თავისუფლება, ანუ რესპუბლიკის ბიუჯეტი“ (Paix et liberté, ou le budget républicain), „კანონი“ (La loi) და სხვა, რომლებიც დროდადრო იბეჭდებოდა პარიზის გაზეთებში: „Journal des économistes“, „République

française“ და სხვ. ამ გამოცემამ დიდი წარმატება მოუტანა უკვე საკმაო ცნობილ მწერალს და ხელი შეუწყო მის გამარჯვებას გამოჩენილ მეცნიერთან, ანარქიზმის დიდ თეორეტიკოსთან პ. ე. პრუდონთან იმავე წელს „კაპიტალისა და რენტის“ საკითხებზე გამართულ მეცნიერულ კამათში<sup>76</sup>.

ფრ. ბასტიას ჯანმრთელობა მალე საგრძნობლად გაუარესდა. 1850 წლის სექტემბერში იგი გაემგზავრა სამკურნალოდ იტალიაში, მაგრამ გარდაიცვალა რომში 1850 წლის 24 დეკემბერს, 49 წლის ასაკში. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მკველაზე ცნობილია „კობდენი და ლიგა“ (პარიზი, 1845 წ.), „ეკონომიკური სოფიზმები“, ორტომეული (პარიზი, 1847—1848 წწ.) და უქანასკნელი ნაწარმოები „ეკონომიკური პარმონიულობა“, რომელიც დაუმთავრებელი დარჩა და დაიბეჭდა მისი გარდაცვალებისთანავე, ე. ი. 1850 წელს.

ფრ. ბასტიას წიგნი „ეკონომიკური სოფიზმები“<sup>77</sup> (Sophismes Economiques) შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი ნაწილი ცალკე წიგნად დაიბეჭდა პარიზში 1846 წელს, მეორე კი — 1848 წელს. იგი სრული სახით მხოლოდ 1851 წელს გამოიცა ბრიუსელში, შემდეგ 1854 წელს პარიზში ფრ. ბასტიას თხზულებათა სრული კრებულის IV ტომში.

ამ თხზულებათა მეორე ნაწილის I და II თავში: „მძარცველობის ფიზიოლოგია“ (Physiologie de la spoliation) და „ორი ზნეობრივი მოძღვრება“ (Deux morales) ავტორი სპოლიაციის სხვადასხვა ფორმების თავისებური განმარტებების საშუალებით იხილავს იმ დროისათვის მეტად აქტუალურ საკითხს — საზოგადოებრივ ურთიერთობას. კერძოდ, არკვევს როცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ცდილობს განვითარდეს სხვის ხარჯზე. ამგვარი უსამართლობა, ავტორის აზრით, იწვევს ჩაგრულთა ანუ გამძარცულთა აღშფოთებას და საბოლოოდ საზოგადოებაში ორი მტრული ფენის წარმოშობას. ფრ. ბასტია „სიღარიბეს თაყვანს არა სცემს“; მისი აზრით, „სიმდიდრე ორიოდ პირის შეძლება კი არ არის, ის არის საერთო კმაყოფილება, კეთილმდგომარეობა, უშიშრობა, დამოუკიდებლობა და განათლება“. ავტორი ებრძვის ერთი ადამიანებისაგან მეორის ჩაგვრას, ყოველგვარ ექსპლოატაციას,

<sup>76</sup> შრომის ეს ნაწილი დაწერილია შემდეგი წყაროების გამოყენებით: La grande encyclopédie, Paris, H. Lamirault et C<sup>ie</sup>, Achille Mercier Baudin Louis, Frédéric Bastiat, Paris 1962.

<sup>77</sup> Bastiat F., „Sophismes Economiques“, Paris 1846; Bastiat F., „Sophismes Economiques“, Bruxelles, 1851; Bastiat F., „Sophismes Economiques“, IV, Paris, 1854.



კატეგორიულია, გაუნათლებლობას და დაწვრილებით ახასიათებს მათ გამომწვევ მიზეზებს:

მონობა, როდესაც განარჯვებული დამარცხებულს ანადგურებს, როგორც ფიზიკურად, ასევე მატერიალურად.

მონობა, რომლის პრინციპია „შენ შრომა და მე ნაშრომი“, „კაცს შეიპყრობენ ხოლმე, პიროვნებას წაარმევენ, შრომას ძალით აკისრებინებენ... მონობა ყოველთვის ძალის ბოროტად ხმარებასთან არის შეერთებული“-ო — აღნიშნავს ავტორი.

მონობა, რომელიც თავის ძალაუფლებას იყენებს სხვისი ნაღვაწის ღიდი ნაწილის მითვისებაში.

საძლველოება, რომელიც ხშირად ხელს უწყობს ადამიანთა ბოროტმოქმედებას. „სარწმუნოება ყოველთვის იმის მხარეს დაიჭერს, ვინც უფრო ძლიერია, იმ პირობით კი, რომ ძლიერსაც ამის მხარე ეჭიროს“...<sup>1</sup>

ფრ. ბასტია განათლებას პირველ ადგილზე აყენებს ყოველგვარი მძარცველობის, ანუ სპოლიაციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ის ამბობს, რომ გაუნათლებელი ადამიანი დამჭერა და იოლი გასაბრყვებელიც, გონება უნდა განათლდეს, სპოლიაციის დამთრგუნველი ძალა მხოლოდ ცოდნაშია. ნაწარმოების დასკვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანი მოძრაობაშია, იგი იცვლება და იქნებ საბოლოოდ მიიღწიოს იმ მდგომარეობამდე, როცა „კეთილს იქმოდნენ არა რომელიმე ანგარების გამო, არამედ წრფელის გულითა და მოწადინებობითა“... კემბარიტი და სამართლიანი კანონი კაცობრიობისა შემდეგი არის „თავისუფალი გაცვლა ღვაწლისა ღვაწლზედ“. ფრ. ბასტიას „ეკონომიკურმა სოფიზმებმა“ დიდად დააინტერესა არა მარტო რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება, არამედ იქ სასწავლებლად მყოფი ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობაც.

ამ წიგნის სრული რუსული თარგმანი „Экономические Софизмы“ (ნაწილი I და II) დაიბეჭდა პეტერბურგში „Общественная польза“-ს მიერ 1863 წელს (საწმუხაროდ, მთარგმნელი არაა მითითებული). საქართველოში კი ქურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის № № 11—8-ს ფურცლებზე გამოქვეყნდა „ეკონომიკური სოფიზმების“ II ნაწილის I და II თავის: „მცარეველობის ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“-ს ქართული თარგმანი ბ. ვ.-ს ხელმოწერიან<sup>78</sup>: გეგრდნობით რა ალ. კალანდაძის მოსაზრებას ბ. ვ.-ს ფსევდონიმის ილია ჭავჭავაძისადმი მიკუთვნების შესახებ, დაეუშვებთ, რომ ეს თარ-

<sup>78</sup> იხ. ბ. ვ.-ზე, ალ. კალანდაძე, „საქართველოს მოამბე 1863“, თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1963, გვ. 38—40.

გმანი შესრულებულია ილია ჭავჭავაძის მიერ უფრო ადრე, კერძოდ, მისი სტუდენტობის დროს (1857—1861 წწ.).

პეტერბურგში სწავლისას ილია ჭავჭავაძე ეზიარა რუსი სოციალ-დემოკრატების იდეებს, აითვისა აგრეთვე დასავლეთ ევროპის ფილოსოფიური და ეკონომიკური მოძღვრებები. მისი მეგობრის კონტა აფხაზის გადმოცემით, უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიკური საგნები აინტერესებდა. ეს ცხოველი ინტერესი თავისი ქვეყნისადმი ზრუნვით იყო გამოწვეული. მას კარგად ესმოდა, რომ, ერთი მხრივ, ბატონყმური სისტემისაგან და, მეორე მხრივ, ეროვნული ჩაგვრით ქართველი ერი ეკონომიურ და სულიერ კრახს განიცდიდა, მისი ცხოვრების გაუმჯობესებას, ბატონყმური უღლისაგან გათელილი პიროვნების ღირსების აღდგენას შოიბხოვდა. საჭირო იყო ხალხის ამოძრავება, მოქმედებაში მოყვანა, იგი შეუპოვრად აკრიტიკებს თავის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებში ქვეყნად გაბატონებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ წყობას და მის საზოგადოებრივ ცხოვრებას. ასეთ რთულ ატმოსფეროში მოუხდა რუსეთიდან ახალი იდეებითა და შეხედულებებით დაბრუნებულ ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა, ამას დაემატა მძიმე საცენზურო პირობები, რომლის გამო იგი იძულებული იყო „მეტაფორების“ საშუალებით მაინც მიეტანა მკითხველამდე თავისი მოსაზრებები. ილია ჭავჭავაძის მიერ 1863 წელს დაარსებული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ XI ნომერში იგი ნაწილობრივ უზიარებს მკითხველებს მის წინ აღმართული სიძნელეების შესახებ: „რასაც მისგან მოგილოდიო — ამას ყველაფერს წინ კედელი დახვდა... არც ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას წინ გვიტრიალებს და რომელიც ყოველი ცოცხალი იაცისათვის საინტერესოა, არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არაქედ ვერც კი გაბედა, რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა...“

ფრ. ბასტიას წიგნის „ეკონომიკური სოფიზმების“ მეორე ნაწილის I და II „მცარცველობის ფიზიოლოგიის“ და „ორნაირი სწავლის“ თარგმნა და გამოქვეყნება ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1863 წლის VIII—XI ნომერებში ილიამ აუცილებლობად მიიჩნია, რადგან იგი იდეური შინაარსით ენათესავებოდა მის იმ პერიოდის განწყობილებას, თანაც, რაც მთავარია, ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტის მეცნიერული ნაშრომი ცენზურას საექვო არ მოეჩვენებოდა. ილიასათვის კი ეს იყო ცდა, რომ „ჩვენი აზრი გაგვეგებინებინა მკითხველისათვის“.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ილია ჭავჭავაძე ფრ. ბასტიას ამ ფილოსოფიურ ნაშრომს: „არის ერთი პატარა წიგნი გამოჩენილი ფრანციის ეკონომისა ბასტიასაგან დაწერილი: ეკონომიკური სოფიზმები. თუმცა მთელი წიგნი ფრიად საგანგებო რამ არის და სასარგებლოცა

როგორც ყველასათვის, ისე ჩვენთვისაც, მაგრამ მე იქიდან ამოვიღე მართო ერთი ნაწილი „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც უფრო მეტად მოედგმის ჩვენს ცხოვრებას და რომელმაც იქნება გვიშველოს ზოგიერთი რამე გავიგოთ და ამით ჩვენთვის უნაყოფო არ იქმნეს“<sup>79</sup>.

თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე ფრ. ბასტიას ამ მეცნიერულ ნაშრომს და რამდენად იზიარებს მის ფილოსოფიურ შეხედულებას, ეს კარგად ჩანს ილიას შემდეგი პერიოდის პუბლიცისტურ წერილებში — „შინაური მიმოხილვა“, „ცხოვრება და კანონი“ და სხვ., რომლებიც თითქმის ერთ ძირითად საკითხზე — საზოგადოებრივი ურთიერთობის საკითხზეა აგებული; მათში შეიმჩნევა ფრ. ბასტიას თხზულებაში „ეკონომიკური სოფიზმები“ განვითარებული ფილოსოფიური აზრების ანარეკლი:

„რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელი გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამის მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა, ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენი ბედნიერებისათვის... ყველაფერი უხედაა გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისო განწყობილება“<sup>80</sup>.

ან კიდევ: „ადამიანის ღირსება და პატიოსნება, სინდისი მისი ზნეობითი... ძვირფასი კუთვნილებაა და ყოველივე ესე სახელწიფოსაგან საზოგადოებისაგან და თითოეული ადამიანისაგან პატივცემული უნდა იყოს, სრულად ხელშეუხებელი...“<sup>81</sup>

საინტერესოა, საიდან თარგმნა ილია ჭავჭავაძემ ფრ. ბასტიას „ფრიად საგანგებო“ წიგნის ორი თავი: „მცარცველობის ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“; ფრანგული ორიგინალიდან თუ მისი რუსული თარგმანიდან?

ამ ნაწარმოების ფრანგული, რუსული და ქართული ტექსტების შედარებისას გაირკვა, რომ ილიას ის უშუალოდ ორიგინალიდან აქვს გადმოთარგმნილი, თუმცა არ გამოირიცხება ის ფაქტიც, რომ იგი გასცნობოდა რუსულ თარგმანსაც, რომლის გავლენა ქართულ ტექსტზე თითქმის არ შეინიშნება.

ქვემოთ მოგვყავს მაგალითების ნაწილი, რომლებშიაც აშკარაა

79 ეურნ. „საქართველოს მოამბე“. 1863, VIII, გვ. 61.

80 ი. ჭავჭავაძე, 1956, ტ. 8, გვ. 8.

81 ი. ჭავჭავაძე, 1956, ტ. 5, გვ. 167.

ჩანს ქართული, ილია ჭავჭავაძისეული თარგმანის უფრო მეტი მსგავსება ფრანგულ ორიგინალთან, ვინემ მის რუსულ თარგმანთან.

ფრანგული ორიგინალი<sup>82</sup>

1. Voyons. cherchons გვ. 127 (ვნახოთ, მოვძებნოთ)\*

ქართული თარგმანი<sup>83</sup>.

ვნახოთ მოვძებნოთ. გვ. 61

რუსული თარგმანი<sup>84</sup>.

Postараемся разрешить этот вопрос. с. 193.

2 En sorte que si la spoliation n'existait pas, la société étant parfait, les sciences sociales serait sans objet. გვ. 128 (ამგვარი მძარცველობა რომ არ იყოს, საზოგადოება სრულყოფილი იქნებოდა, საზოგადოებრივი მეცნიერებანიც იქნებოდნენ უსაგნოდ).

ამ სახით „მძარცველობა“ რომ არ იყოს, საზოგადოება სრული იქნებოდა და საყოველთაო მეცნიერებასაც საგანი აღარ ექნებოდათ. გვ. 62.

Если бы не существовало грабежа, общество достигло бы совершенства, а общественные науки сделались бы совершенно ненужными. с. 194.

3. En ce cas, celui-ci se reduirait promptement au point de ne pouvoir plus satisfaire la cupidite de celui-là, et la spoliation périrait faute d'aliment

(ამ შემთხვევაში ესენი შემცირდებოდნენ იქამდე, რომ ვერ შეძლებდნენ მათი სიხარბის დაკმაყოფილებას და მძარცველობა მოიშობოდა საკვებას ნაკლებობის გამო) გვ. 129.

აგრე რომ იყოს, ცოტანი მალე შიადწევდნენ იქამდინ, რომ ბევრის მსუნაგობას ვეღარ გააძღობდნენ, თუნდ რომ სდომოდათ კიდევ და მაშინ „მძარცველობაც“ თავისთავად მოიშობოდა, რაკი საზღო გაუწყდებოდა. გვ. 63.

В таком случае последнее вскоре обеднело бы до такой степени, что не могло бы возбуждать зависти в большинстве и грабеж по неимению поводов прекратился бы сам собою.

<sup>82</sup> Bastiat F., „Sophismes économiques“, IV, Paris, 1854.

<sup>83</sup> უტრნ. „საქართველოს მოამბე“, 1863, № № 8—11.

<sup>84</sup> Бастия Ф. «Экономические софизмы», часть I и II, Петербург, «Общественная польза», 1863.

\* მეტი სიცხადისათვის ფრჩხილებში მოგვაქვს ფრანგული ორიგინალის ჩვენეული, სიტყვისიტყვითი თარგმანი.

4. L'esclavage paralyse bien des facultés. p. 129.

მონობა მრავალ ნიჭს აუქმებს. გვ. 63.

Рабство оставляет в бездействии множество сил и способностей. с. 135.

5. Cette loi est admirable — sans elle, pourvu qu'il y eût équilibre de force entre les oppresseurs et les opprimés, la Spoliation n'aurait pas de terme — Grace à elle cette équilibre tend toujours à se rompre, soit parce que les Spoliateurs se font conscience d'une telle déperdition de richesses, soit...

(ეს კანონი საოცარია, ამის გარეშე ძალთა თანასწორობა რომ იყოს კიდევ მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის, მძარცველობას საზღვარი არ ექნებოდა. მისი წყალობით წონასწორობა ყოველთვის იკარგება ან იმიტომ, რომ სინდისი შეაწუხებთ ან ავლენი სიმდიდრის დაკარგვით) გვ. 130.

ეს კანონი საოცარია, უამისოდ — თანასწორობაც რომ იყოს და ჩაგრულთა და დამჩაგვრელთა ღონეთა შორის — უამისოდ „მძარცველობას“ საზღვარი არ ექნებოდა. ამ კანონის მეოხებით სასწორი ყოველთვის ან ერთს მხარეზედ გადამოიწევს ხოლმე, ან მეორეზედ, იმისათვის თუ რომ მძარცველებს შეერცხვებათ ხოლმე, რომ ავლენი სიმდიდრე იღუპება, თუ... გვ. 64.

Нельзя не удивляться действиям этого закона. При условии неизменяемости отношений между силами работодателей и угнетенных, грабеж без этого закона никогда бы не прекращался. Но в силу этого закона отношения двух сторон постоянно стремятся к изменению, потому что сами грабители воздерживаются от всего, что может причинить слишком растрату богатств... с. 195.

6. Le monopole, on le voit, est une Espèce du Genre spoliation (მონოპოლია, როგორც ვხედავთ, მძარცველობის ერთი სახეა) გვ. 130.

მონოპოლია აშკარაა „მძარცველობის“ ერთი გვარია. გვ. 64.

Монополия, как оказывается, есть только вид, и грабеж. род. с. 195.

7. ...ce qu'on lui laisse, et ce qu'on lui prend, et ce qui se perd dans l'opération.

(...იმას, რასაც შეარჩენენ რასაც წაართმევენ და ის რაც იკარგება ოპერაციაში) გვ. 130.

იმისთვისაც, რასაც იმას შეარჩენენ ხოლმე, ამისთვისაც, რასაც წაართმევენ და ამისთვისაც რაც იკარგება ამ ოპერაციაში. გვ. 64.

...за все, что у него остается, за то, что отнимается и за то, наконец, что теряется при переходе собственности из одних рук в другие. с. 197.

8. Ils ne s'évanouissent que devant la lumière.

(ისინი მხოლოდ სინათლეზე ქრებიან) გვ. 131.

იგინი განჰქრებიან ხოლმე მარტო სინათლისაგან. გვ. 65.

Они исчезают только с появлением света истины. с. 197.

9. La véritable loi des hommes c'est: Echange librement débattu de „service contre service“.

(ვეშმარიტი და სამართლიანი კანონი ადამიანებისა არის: თავისუფალი გაცვლა სამსახურისა სამსახურზე) გვ. 131.

ვეშმარიტი და სამართლიანი კანონი კაცობრიობისა შექმდეგი არის: თავისუფალი გაცვლა ღვაწლისა ღვაწლზედა. გვ. 65.

Свободно производимый обмен; услуга за услугу, при условии соревнования — вот истинный и справедливый закон человеческих отношений. с. 198.

10. Quand elle se passe d'individu à individu. elle se nomme vol et mène au baigne: quand c'est de nation à nation, elle prend nom conduit à la gloire.

[როცა ეს (მცარცველობა) ხდება ინდივიდისა ინდივიდის წიგრ, იწოდება ქურდობად და მიჰყავს კატორღამდე; როცა ერისაგან ერისა, ის ღებულობს დაპყრობის სახეს და დიდებას] გვ. 131.

როცა ამისთანა „მცარცველობა“ მოხდება ხოლმე თვითეული კერძო პირთა შორის, მაშინ იმას „ქურდობას“ ეძახიან და იმოსება ბორკილით, როცა ხალხთა შორის მოხდება, იგი მიიღებს ხოლმე „დაპყრობის“ სახელს და იმოსება დიდებით. გვ. 66.

Когда известное лицо присваивает чужую собственность, то это называется воровством; последствием его бывает заключение виновного в острог. Если же целый народ, как бывало прежде, обирал другой народ, то это называлось завоеванием и слава была наградой победителю! с. 198.

«В поте лица ты будешь есть хлеб свой», то каждый из людей хочет иметь как можно более хлеба и как можно менее пота. Вот смысл истории. с. 213.

11. Tout acte malfaisant a nécessairement deux termes: le point d'où il émane et le point où il aboutit, l'homme qui exerce l'acte, et l'homme sur qui l'acte est exercé, ou comme dit l'école, l'agent et le patient.

(ყოველ მანე აქტს აქვს აუცილებლად ორი ბოლო: წერტილი, სადაც ის წარმოიშობა, და წერტილი, სადაც იგი მთავრდება. ადამიანი, რომელიც მოქმედებს, და ადამიანი, რომელზეც ეს აქტი სრულდება ან, როგორც სკოლა ამბობს, მოქმედებითი პირი და ვნებითი პირი) გვ. 151.

ყოველა ბოროტ საქმეში ორი პირია გარეული: ერთი ის კაცი, რომელიც ბოროტს მოქმედებს და მეორე ისა, რომელზედაც ბოროტს

მოქმედებენ ანუ „აგენტი და პაციენტი“ (agent et patient) „პირი მოქმედებითი და „პირი ვნებითი“. გვ. 75.

Всякое вредное действие необходимо имеет два предела: один, где оно начинается, и другой, где оканчивается; оно предпринимается одним человеком и направляется на другого; мы, выражаясь школьным языком, предполагаем лица действующее и лицо, подверженное действию. с. 214.

12. il est aisé de comprendre, dis-je, que cette morale ait été accusée de sécheresse et de prosaïsme.

(ადვილად გასაგებია, ვამბობ მე, რომ ეს მორალი ზნეობრივი მოძღვრება, დარიგება, ბრალდებულია მის სიმშრალესა და პროზაიზმში) გვ. 152.

ადვილად გასაგებია, ვამბობ მე, რომ ამ სწავლას ემდურიან: პირ-წყლიანობა და სიცხოველე არა აქვსო. გვ. 77.

...отсюда может быть ясно, почему его обвиняют в сухости и в прозанчности. с. 215.

13. De ces deux procédés, quel est celui qui travaille le plus efficacement au progrès social? faut-il le dire? Je crois que c'est le second.

[ამ ორი საშუალებიდან (ხერხიდან) რომელი უფრო უებრად მოქმედებს საზოგადოების წარმატებაზე? საჭიროა ამის თქმა. მე ვგონებ — მეორე].

ამ ორ ღონისძიებათა შორის, რომელი უფრო ადვილია და უებარი საზოგადოების წარმატებისათვის? ამას თქმა უნდა? მე ვგონებ მეორე. გვ. 78.

Который же из этих двух способов действует с большею силою на общественное развитие? Мне кажется, что последний. с. 217.

რუსულ თარგმანში, ქართულ ილიასეულ თარგმანთან შედარებით, სრულად არის წარმოდგენილი ფრანგული ორიგინალის ტექსტი. მაგალითად: ი. ჰავჰავაძეს გამოტოვებული აქვს ფრანგული ტექსტის I ნაწილი „Physiologie de la spoliation“ (მპარცეულობის ფიზიოლოგია) ბოლო 6 გვერდი (იხ. ფრანგული ორიგინალი. 140, 141, 142, 143, 144, 145 გვერდები) რომელშიაც გაშუქებულია კომერციული საკითხის ნაკლოვანი მხარეები, როგორც ავტორი უწოდებს „fraude commerciale“ (კომერციული თაღლითობა, გაიძვერობა). ეტყობა, ილია ჰავჰავაძე არ დაინტერესებულა ამ საკითხით. ასევე, ფრანგული ორიგინალის II ნაწილშიც „Deux morales“ (ორი ზნეობრივი მოძღვრება, ანუ ი. ჰავჰავაძის თარგმანის მიხედვით „ორ-ნაირი სწავლა“) აქა-იქ ამოღებულია უმნიშვნელო შინაარსის რამდენიმე წინადადება, რომელთა თარგმნა ილიას არ მიუჩნევია საჭიროდ.

მაგალითად, 149-ე გვერდზე ერთი პატარა აბზაცი და 153-ზე — რამდენიმე წინადადება.

უნდა აღინიშნოს, რომ ორიგინალში აღმოჩნდა ისეთი ადგილებიც, რომლებსთვისაც რუს მთარგმნელს გვერდი აუვლია, ილია ჭავჭავაძეს კი ზედმიწევნით სიზუსტით აქვს გადმოთარგმნილი. მაგალითისათვის იხ.: 134, 136, 137, 138, 139 გვერდები.

ი. ჭავჭავაძე ცდილობს მოხდენილი წმინდა ქართული გამოთქმებითა და ანდაზებით გაამდიდროს და ბუნებრივი იერი მისცეს თარგმანს, როგორცაა: „ელთან, მინამ კაცი რომელიმე ნივთს გადააკეთებს, მერე ხანჯლით ხელში მივარდებიან და წაართმევენ“. გვ. 66.

„შეიყვარე მოყვასი შენი და მთელი რჯულის მცნება აღსრულებული გექნება“. გვ. 69.

„მე შუამავალი ვარ ღვთისა და მის დანაბადთა შორის“. გვ. 72.

„იმ ხალხისათვის თავგადმოდებულს თვითვე ხალხი გაცოფებით მივარდნოდა, რომ ნაჭერ-ნაჭერ ექცივა“. გვ. 73.

„მართო საზოგადოების ხმას შეუძლიან პირქვე დაჰსცე ამისთანა უსამართლობის შენობა“. გვ. 74.

„იგი საზოგადო ხმის კაცია, კაცია წმინდა სახარებისა“. გვ. 74.

„ოფლისა პირისა შენისათა ჰსჭამდე პურსა შენსა“. გვ. 74.

„ამობენ ჩვეულება-რჯულთ უმტკიცესიანო“. გვ. 80 და სხვა საინტერესო ფაქტი.

ილია ჭავჭავაძეს თავის ქართულ თარგმანში სიტყვის მნიშვნელობის უფრო მეტი დაზუსტებისათვის მოცემული აქვს ფრჩხილებში მისი შესატყვისი ფრანგულ და ზოგჯერ რუსულ ენაზე; ვხვდებით ლათინურ გამოთქმებსაც.

სამივე ტექსტის შედარებისას ირკვევა, რომ ილიას ფრანგული გამოთქმები გადმოტანილი აქვს ორიგინალის ტექსტიდან, ხოლო რუსული სიტყვები რუსული თარგმანისაგან დამოუკიდებლად აქვს გამოყენებული:

ფრანგული ორიგინალი:

1. La production et la spoliation

ქართული ტექსტი:

ერთი „ნამუშევრობა“, მეორე „მცარცველობა“ (La production et la spoliation) გვ. 62.

რუსული ტექსტი.

(ფრანგული გამოთქმა არ არის).

2. debat გვ. 132.

შეცილების (debat, состязание) გვ. 65.

რუსულ თარგმანში არ არის.



3. la moralisation გვ. 133.

ზნეობის მცნება (la moralisation) გვ. 67.

რუსულ თარგმანში არ არის.

ასევე ლათინური გამოთქმა ფრანგულ და ქართულ ტექსტებში არის, — რუსულში — არა.

ფრანგული ორიგინალი:

4. in eo vivimos, movemos et sumus გვ. 149.

ქართული თარგმანი:

in eo vivimos, movemus et sumus გვ. 74.

რუსულ თარგმანში არ არის.

5. agent et patient გვ. 151.

agent et petiant (პირი „მოქმედებითი“ და პირი „ვნებითი“).

33. 75.

გადავხედოთ რუსულ გამოთქმებსაც:

6. ქართული თარგმანი:

„ღვაწლი ღვაწლში (услуга за услугу) გვ. 65.

რუსული თარგმანი: услуга обменивается на услугу გვ. 195.

7. ქართული თარგმანი:

თავისუფალი გაცვლა ღვაწლის ღვაწლზედ.

რუსული თარგმანი: услуга на услугу.

8. ქართული თარგმანი:

შეიცვლება (debat состязание) გვ. 65.

რუსულ თარგმანში არის (устраняется посредством силы)

:გვ. 198.

9. ქართული თარგმანი:

ეგვიპტის მოგვები (Маги) ანუ ქურუმები. გვ. 72.

რუსულ თარგმანში არ არის, ფრანგულ ორიგინალში — les prêtres égyptiens (ეგვიპტის ქურუმები). გვ. 136.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ფრ. ბასტიას ცნობილი თხზულება „ეკონომიკური სოფიზმების“ II ნაწილის I და II თავი „მცარცველობის ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“ ილია ჭავჭავაძეს ნათარქმნი უნდა ჰქონდეს ფრანგული ორიგინალიდან სტუდენტობის ხანაში (1857—1861 წწ.).

როგორც აღვნიშნეთ, ილიას არქივში დაცული სტუდენტობის დროინდელი ჩანაწერებიდან (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 110, გვ. 13—14) ირკვევა, რომ ილია სტუდენტობის წლებში კითხულობდა ფრანგულენოვან ლიტე-

რატურას და ფ. ბასტიას „ეკონომიკური სოფიზმების“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის მონაცემები ამის ერთ-ერთი დადასტურებაა.

ეკონომიურ-პოლიტიკური ხასიათის თარგმანებმა — პ. ყ. პრუდონი „სილარიზე, როგორც ეკონომიური პრინციპი“ და ფრ. ბასტიას „მძარცველობის ფიზიოლოგია“, „ორნაირი სწავლა“ — კიდევ ერთხელ დაანახვა ქართველ მკითხველ საზოგადოებას ილიას შემოქმედების მრავალმხრივობა, მისი გონების უნივერსალურობა. ილია ზედმიწევნით იცნობს არა მარტო რუს, არამედ სხვა მრავალი ქვეყნის მოაზროვნეთა ინტერესებს და შეხედულებებს. ამის დამადასტურებელია მისი გენიალური შემოქმედება, კერძოდ, პუბლიცისტური წერილები, სადაც იგი წარმოგვიდგენს თითოეული მათგანის მოძღვრებას და კრიტიკულ გარჩევას:

„ილია ჭავჭავაძე შეიქნა თავისი დროის ენციკლოპედიური გონება, რომელმაც ერთნაირი ძალით შეძლო პასუხი გაეცა ეპოქის მიერ დაყენებულ საჭირობოროტო კითხვებისათვის“<sup>85</sup>.

## დასკვნა

ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის ყოველი საკითხი მეტად ძვირფასი და საინტერესოა ქართველი ერისათვის. ეს ნაშრომი ეძღვნება ილია ჭავჭავაძის მთარგმნელობით მოღვაწეობას, კერძოდ, მის მიერ თარგმნილი ფრანგული ლიტერატურის ძეგლებს. ნაშრომში ვრცლადაა მიმოხილული ფრანგ მწერალთა: ანდრე შენიეს, ალექსი ბუვიეს, ეიულ კლარეტის, ვიქტორ ჰიუგოს, ალფონს დოდეს, პიერ-ჟოზეფ პრუდონისა და ფრედერიკ ბასტიას შემოქმედება და მათი ზოგიერთი თხზულების ქართული თარგმანები, რომლებმაც ილიას ესოდენ დიდი ინტერესი გამოიწვია. თავისი თარგმანების: ა. შენიეს „ზღვათა მფლობელის ენეიდის ზღუდეთა თანა“, ა. ბუვიეს „იზა“, ე. კლარეტის „ერთი უბედურთაგანი“, „სიკვდილით დასჯის გადაგდების საქმე და ამის თაობაზედ ვ. ჰიუგოს წიგნი“, ა. დოდეს „უქანასკნელი გასაკვეთი“, „ტიურკოსი კომუნელთა შორის“, პ. ე. პრუდონის „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“, ფრ. ბასტიას „მკარცველობის ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწაილა“-ს ეურნალ „საქართველოს მოამბესა“ და „ივერიაში“ გამოქვეყნებით ილიამ გააცნო ქართველ მკითხველს არა მარტო ფრანგი პოპულარული მწერლები, არამედ იმდროინდელი საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ვითარება. ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანების წყაროს დადგენის მიზნით იგი შედარებულ იქნა ფრანგულ ორიგინალებსა და რუსულ თარგმანებთან.

ილია ჭავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევდა ა. შენიეს ბერძნული კოლორიტით დამშვენებულ პოეზიას. მის ლექსებში „ცხადად ისმის ის ნაზი და წრფელი სიტყობება მშვენიერებისა, ის უმანკო, უცოდველი და ნამდვილი ძგერა გულისა, ის ქროლა პოეზიისა, რომლითაც ანდრე შენიე ჯადოსავით მოჰხიბლავს ხოლმე კაცსა“. ეს სიტყვები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ილია ჭავჭავაძე ა. შენიეს მრავალ პოეტურ ქმნილებას გასცნობია ორიგინალში და არაერთხელ მოხიბლულა მისი მშვენიერებით, მაგრამ ფრანგი პოეტის უსათაურო ლექსის „ზღვათა მფლობელის...“ (1785—1787) ქართულად თარგმნისას სარკებლობდა ვ. ტუმანსკისეული რუსული თარგმანით.

ილია ჭავჭავაძის ინტერესი, მისი საქმიანობა უთუოდ ეხმაურება

უ ჰიუგოს შემოქმედების ზოგიერთ საკითხს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ბევრი რამაა საერთო მათში, როგორც პიროვნებაში და როგორც შემოქმედში. ჰიუგოსეული პროგრამის საკითხთა უმრავლესობა (სიკვდილით დასჯის გაუქმება, ამნისტია. არჩევნების განახლება, სავალდებულო სამხედრო სამსახური, სავალდებულო, უფასო, დაწყებითი და საშუალო განათლება, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან, ამხანაგობათა თავისუფლება, გაერთიანება, პრესის თავისუფლება, მმართველებისა და თანამემწეების არჩევნები და სხვა) მეტად აქტუალური და პრობლემური ყოფილა ილია ჭავჭავაძისათვისაც, რაშიც გვარწმუნებენ მისი პუბლიცისტური წერილები, როგორიცაა: „ქართული საშუალო სასწავლებლის დაარსების საპირობებაზე“, „სამეურნეო და დაბალი სკოლების შესახებ“, „ჩვენი ზალხი და განათლება“, „სოფლის მმართველობის რეფორმის საკითხზე“, „საქართველოდან და კავკასიიდან ჯარისკაცთა ფაწვევის გამო“, „პრესა და პირადობა“, „ერობის საკითხი და დღეუტატთა საკრებულო“, „საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, „ჭირანაშულის მოპყევანთა გაერთიანებული „ამხანაგობა“, „ტფილისის საღრთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოება“<sup>86</sup> და სხვა ნაწარმოები.

რუსეთის ცარიზმის უღელქვეშ მყოფ საქართველოს წინაშე ილიას, როგორც ერის კაცის მისია, უდიდესი იყო, შესაძლებლობა კი — მეტიწვეტად შეზღუდული. თარგმანებით ქართველი ხალხი ეცნობოდა უცხო ქვეყანას, ხალხის ცხოვრებას, მის ინტერესებს და მისწრაფებებს, ხოლო უსამართლობასა და სიღარიბისადმი ფრანგი ხალხის ქედმოუწრელობა, ცმირული შემართება, კმოწოდებები, ლოზუნგები, ბრძოლა უყუეთესი მომავლისათვის — ყოველივე ეს, ილიას აზრით, დააფიქრებდა ქართველებს თავის ბედზე, აწმყოსა და მომავალზე. გარდა ამ განმანათლებლური ხასიათისა, თარგმანები ერთ-ერთი საშუალება იყო იმ უმთავრესის სათქმელად, რომლის აღიარებას ილია თავისი სახელით ვერ შეძლებდა.

ბევრი რამ იზიდავს ილია ჭავჭავაძეს ა. დოდეს შემოქმედებაში: სიკეთე, ჰუმანურობა, პატრიოტიზმი. როგორც ილიას, ასევე ა. დოდეს შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეთმობა პიროვნებას, მის შინაგან სამყაროს, მის როლს ცხოვრებაში. ა. დოდეს მოთხრობების ღიმილის თუ ცრემლისმომგვრელი სიუჟეტები სინამდვილიდანაა აღებული და იშვიათი გამომსახველობით აღწერს საფრანგეთის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, ფრანგი ხალხის ყოფა-ცხოვრებას. ი. ჭავჭავაძემ თარგმნა და გამოაქვეყნა „ივერიის“ ფურცლებზე ა. დოდეს ორი პატარა მოთხრობა, რომელთა სიუჟეტი, ილიას აზრით, განსაკუთრებით გულსმოსახვედრი და მახლობელი იქნებოდა ქართველ მკითხველ-

<sup>86</sup> ი. ჭავჭავაძე, სოხულებანი, 1927.

თათვის. „უკანასკნელი ვასაკვეთის“ ქართული თარგმანი შესრულებულია რუსული თარგმანიდან, რომელიც უკვე არსებობდა და ხელმისაწვდომი იყო ილია იქნებოდა ილიასათვის, ხოლო „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ ძირითადად ფრანგული ორიგინალიდან არის გადმოთარგმნილი. ეს შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ იგი არც ერთ, ჩვენთვის ცნობილ აღრიზდელ რუსულ გამოცემაში არ არის შეტანილი. „ტიურკოსი კომუნელთა შორის“ ფრანგული ორიგინალიდან არის გადმოთარგმნილი. ამ მოთხრობის ქართულ თარგმანს იმდენად ბუნებრივი იერი აქვს მიცემული მთარგმნელის მიერ, რომ აფრიკელ კადურზე კი არა, უნებლიეთ იმ ქართველზე გაფიქრებინებს, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა უცხო ქვეყანაში, უმადურად სწირავდა თავის სიცოცხლეს სხვათა დიდებას და სამშობლოს გახსენებაზე კადურსავით ცრემლი სდიოდა.

ილია ჭავჭავაძე დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგული ლიტერატურის საუკეთესო ძეგლებს — როგორც მხატვრულს, ისე ფილოსოფიურს და სხვ., ხოლო თარგმნიდა ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც გააცნობდა მკითხველს არა მარტო ფრანგი ხალხის ცხოვრებას, მის ინტერესს და მისწრაფებებს, არამედ დააფიქრებდა კიდევ თავის მდგომარეობაზე, უცხო ხალხის ჭირ-ვარამის ჩვენებით გახსენებდა საკუთარ ტკივილებს.

ა. ბუვიეს ნაწარმოებები დიდი პოპულარობით სარგებლობდა რუსეთში. მკითხველი საზოგადოების მომეტებული ინტერესი ხვდა წილად „დიდებულ იზას“ სერიის რომანებს. ამ სერიის ერთ-ერთი წიგნის „იზას“ ქართული თარგმანის საშუალებით ილია ჭავჭავაძემ გააცნო ა. ბუვიე თავის თანამემამულეებს. ა. ბუვიეს „იზას“ ქართული თარგმანი შესრულებულია ეურნალ „Живописное обозрение“-ში (1879 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით) გამოქვეყნებული რუსული თარგმანის მიხედვით, თუმცა ეს არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ ილიასათვის ა. ბუვიეს „იზა“ ფრანგულ ენაზეც ხელმისაწვდომი იქნებოდა. ამ აზრს გვიძლიერებს ერთი ის, რომ თბილისის გიმნაზიაში ილიას ფრანგული ენა უსწავლია და საკმაო წარმატებითაც; მეორეც, „კაკო ყაჩაღის“ აღრიზდელი ვარიანტის ავტოგრაფიული ხელნაწერი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 110, ბოლო 13—14 ფურცლებზე ილიას ხელით რუსული ეურნალეებისა და წიგნების („Отечественные записки“, кн. 6, 8, 1843 г., 1859, „Библиотека для чтения“; 1843, Литературные прибавления „Русскому инвалиду“, т. 2, 1839, Ж. М. Н. П. 1848, №6 „Современник“, 1847, „Иллюстрация“, 1859, Гамлет, 1828 და სხვ.) გვერდით ჩაწერალია ფრანგული დასახელების შემდეგი გამოცემები: Эмиль Жирардель, Journal de connaissances utiles, Musée de Fa-

milles. Almanach de France, Pantheon littéraire. La Presse: Questions administratives et financières (1858), Le Pour et le contre (1848), Le bien-être universel (1850), La Politique universelle (1852). La liberté (1852) „Cours du droit naturel par Jouffroy“, „La liberté“ (1858), Le Devoir (1857).

რახან „ეკო ყაზალის“ ეს ხელნაწერი 1860 წლით თარიღდება და ამ ხელნაწერში ილიას მიერ ჩამოთვლილი რუსული და ფრანგული გამოცემებიც 1860 წლამდელია, გვაფიქრებინებს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს სტუდენტი ილია ჭავჭავაძე რუსულ-თან ერთად ფრანგულ წყაროებსაც კითხულობდა.

ფრანგი ჟურნალისტის, რომანისტის, დრამატურგისა და ისტორიკოსის ჟ. კლარეტის რომანი „ნოელ რამბერი“ ეძღვნება მშრომელი ადამიანის ტრაგიკულ ცხოვრებას, და რადგან ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებს წინა პლანზე დგას მშრომელი ადამიანი, ამდენად გასაგებია მისი ესოდენ დიდი ინტერესი ამ რომანის მიმართ. ჟ. კლარეტის რომანის „ნოელ რამბერის“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანი სათაურით „ერთი უბედურთაგანი“ იბეჭდებოდა „ივერიაში“ 1879—1880 წლებში. ქართული და რუსული თარგმანების ორიგინალთან შედარებისას ირკვევა, რომ ქართული ტექსტი მისდევს რუსულს, მაგრამ ნათლად ჩანს მისი უპირატესობა ამ უკანასკნელთან შედარებით. რუსული თარგმანი ზოგჯერ ბრმად მისდევს ორიგინალის ტექსტს, ზოგჯერ კი ფრაგმენტული და ზერელე ხასიათისაა. ილია ჭავჭავაძისეულ ქართულ თარგმანში ჩანს შემოქმედებითი ძალა, ილიასაავის ჩვეული ენაშეობა, რამაც მას მისცა განსაკუთრებული ლაზათი და ამავე დროს ქართული ელფერი.

ილია ჭავჭავაძის მიერ პ. ჟ. პრუდონის ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებების გამოქვეყნება ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ საზოგადოებრივი აზროვნების, მისი მსოფლმხედველობისა და ინტერესის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართველი მკითხველი საზოგადოება გაეცნო ფრანგ ეკონომისტს, მის ფილოსოფიურ შეხედულებებს XIX საუკუნის მეორე ნახევრის საერთო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების შესახებ. უფრო მეტიც, ილიამ ამით სერიოზული ბიძგი მისცა ქართველ ხალხს დაფიქრებულებიყო თავის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. იგი ცდილობდა სათანადო მასალების მოშველიებით თავისი ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების გადაჭრით დასმას, მათ გამოაშკარავებდას. პოლიტიკური მიმოხილვებისა და „ივერიის“ მოწინავე წერილებში ილია ჭავჭავაძე მეცხრამეტე საუკუნის როგორც ევროპის, ისე აზიის ეკონომიკურ-პოლიტიკურ და საერთაშორისო

მდგომარეობის ღრმა ანალიზს იძლევა, ბევრ შემთხვევაში — იმდრო-  
ინდელი ქართული სინამდვილის ასპექტით.

ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტისა და საზოგადო მოღვაწის  
ფრ. ბასტიას წიგნის „ეკონომიკური სოფიზმების“ მეორე ნაწილის I  
და II თავის „მცარცველობის ფიზიოლოგიის“ და „ორნაირი სწავ-  
ლის“ თარგმნა და გამოქვეყნება „საქართველოს მოამბის“ VIII—XI  
ნომრებში ილიამ აუცილებლად მიიჩნია, რადგან იგი იდეური შინა-  
არსით ენათესავებოდა მის იმ პერიოდის განწყობილებას, თანაც, რაც  
მთავარია, ფრანგი ბურჟუაზიული ეკონომისტის მეცნიერული ნაშრომი  
ცენზურას საექვოდ არ მოეჩვენებოდა. ილიასთვის კი ეს იყო ცდა,  
რომ „ჩვენი აზრი გაგვეგებინებინა მკითხველისათვის“. თუ რაზდენად  
დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე ფრ. ბასტიას ამ მეცნი-  
ერულ ნაშრომს და რამდენად იზიარებდა მის ფილოსოფიურ შეხედუ-  
ლებას, კარგად ჩანს ილიას შემდეგი პერიოდის პუბლიცისტურ ნაწარ-  
მოებებში, სადაც შეიმჩნევა ფრ. ბასტიას თხზულებაში „ეკონომი-  
კური სოფიზმები“ განვითარებულ ფილოსოფიურ მოსაზრებათა ანა-  
რეკლი.

ამ ნაწარმოების ფრანგული, რუსული და ქართული ტექსტების  
შედარებისას ირკვევა, რომ ფრ. ბასტიას ცნობილი თხზულება „ეკო-  
ნომიკური სოფიზმების“ II ნაწილის I და II თავი „მცარცველობის  
ფიზიოლოგია“ და „ორნაირი სწავლა“ ილია ჭავჭავაძეს ნათარგმნი უნდა  
ჰქონდეს ფრანგული ორიგინალიდან სტუდენტობის ხანაში (1857—  
1861 წწ.). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილიას არქივში დაცული  
სტუდენტობის დროინდელი ხელნაწერებიდან (ხელნაწერთა ინსტიტუ-  
ტი, ილია ჭავჭავაძის პირადი საარქივო ფონდი, № 110, გვ. 13—14)  
ნათლად ჩანს, რომ ილია სტუდენტობის წლებში კითხულობდა ფრან-  
გულენოვან ლიტერატურას და ფრ. ბასტიას „ეკონომიკური სოფიზმე-  
ბის“ ილია ჭავჭავაძისეული ქართული თარგმანის მონაცემები ამის  
ერთ-ერთი დადასტურებაა.

აღსანიშნავია, რომ ეკონომიურ-პოლიტიკური ხასიათის თარგმა-  
ნებმა: პ. ყ. პრუდონი „სიღარიბე, როგორც ეკონომიური პრინციპი“,  
ფრ. ბასტია „მცარცველობის ფიზიოლოგია“, „ორნაირი სწავლა“, კი-  
დევე ერთხელ დაანახვა ქართველ მკითხველ საზოგადოებას ილიას შე-  
მოქმედების მრავალმხრივობა, გონების უნივერსალურობა. იგი ზედ-  
მიწვევით იცნობდა არა მარტო რუს, არამედ სხვა მრავალი ქვეყნის მო-  
აზროვნეთა ინტერესებსა და შეხედულებებს. ამის დამადასტურებელია  
მისი გენიალური შემოქმედება, კერძოდ, პუბლიცისტური წერილები,  
სადაც იგი წრმოგვიდგენს თითოეული მათგანის მოძღვრებას და მის  
კრიტიკულ გარჩევას.

## გ ა მ ო უ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. К. Маркс. Карн и Бастна, СПб, 1905.
2. Маркс—Энгельс. Письма, архив, т. I.
3. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. გამოცემა IV, ტ. 3, სტატია: „არაკრიტიკული კრიტიკა“.
4. ფ. ბასტია, მძარცველობის ფიზიოლოგია, მთარგმნელი „ბ. ვ.“, საქართველოს მოამბე, № 8, 1863.
5. ფ. ბასტია. ორნაირი სწავლა მთარგმნელი „ბ. ვ.“, საქართველოს მოამბე, № 11 1863.
6. მ. ბოლქვაძე. ახლო წარსულიდან (ილია ჭავჭავაძე რუსეთში), ე. „განათლება“, № 3—4, 1908.
7. ა. ბუვიე. იზა, ჟურნ. „ივერია“, № 5—10, 1879; № 1—4, 1880.
8. ა. ბუვიე. იზა. თარგმანი ი. ჭავჭავაძისა, თბ., 1959.
9. გ. გაჩეჩილაძე. აკაცი წერეთელი და მხატვრული თარგმანი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 47, 1965 წ. 19 ნოემბერი.
10. გ. გაჩეჩილაძე. მხატვრული თარგმანის თეორიის შესავალი, თბ., 1966.
11. შ. გოზალიშვილი. ჟაკ ბერტილონი, ფრანგი მოგზაური სტუმრად ი. ჭავჭავაძესთან საგურამოში 1897 წ., გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 4 ივნისი, 1966.
12. შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართველი კულტურის საზღვარგარეთელი მეგობრები, თბ., 1973.
13. შ. გოზალიშვილი. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები (აღწერილობა), თბ., 1951.
14. ფ. გოკიელი. ილია ჭავჭავაძის შემოქმედება ფრანგულ თარგმნით ლიტერატურაში, 1968, ხელნაწ. შრომა დაცულია ილია ჭავჭავაძის თბილისის სასლმუზეუმში.
15. რ. დოდაშვილი. მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.
16. ა. დოდე. უკანასკნელი გასაკვეთი, ნაამბობი პატარა ელზასელისა, ჟურნ. „ივერია“, № 6, 1877.
17. ა. დოდე. ტიურკოსი კომუნელთა შორის, ჟურნ. „ივერია“, № 2 1879.
18. მ. ზანდუკელი. ილია ჭავჭავაძის მხატვრული ოსტატობა, თბ., 1968.
19. ი. ზურაბიშვილი. მოთხრობები, მოგონებები, გამოშვ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977.
20. გ. თოძე. უცხოეთის მწერლები, პეტრე პრუდონი, თბ., 1890.
21. ს. თურნავე. ფრანგული უნივერსალური ენციკლოპედიის ფურცლები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, № 1, 7 იანვარი 1972.
22. ს. თურნავე. თარგმნიდა შოთას, ილიას... გაზ. „კომუნისტი“, 3 ივლისი. 1973.



23. ს. თურნაძეა. ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1978.
24. პ. ინგოროძეა. თხზულებანი, თბ., 1962, ტ. 1,
25. ალ. კალანდაძე. „საქართველოს მოამბე“ (1863—1863), თბ., 1963.
26. ტ. ქასრაძე. ილიას ნაწარმოებები უცხოურ ენებზე, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 25 ოქტომბერი, 1957.
27. აკ. კენჭოშვილი ილია ქავეკაძე, თბ., 1962.
28. აკ. კენჭოშვილი. ორი კომენტარი ილია ქავეკაძის თარგმანებისადმი, კრებ. „ლიტერატურული ურთიერთობანი“, ტ. 2, თბ., 1969.
29. პ. კეშელაძეა. ბუციე და მისი რომანი „იზა“, წიგნში: ა. ბუციე, „იზა“, თარგმ. ი. ქავეკაძისა, თბ., 1959.
30. ე. კლარეტი. ერთი უბედურთაგანი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილია ქავეკაძის ფონდი № 217 (ი. 1722) და ჟურნ. „ივერია“, № 7—8, 1879; № 9—10, 1880.
31. ა. ლაისტო. საქართველოს გული, თბ., 1963.
32. დ. ლაშქარაძე. ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977.
33. გ. ლეონიძე. ი. ქავეკაძის ბიოგრაფიისათვის; „ლიტერატურული მეგვიდრეობა“, I, თბ., 1935.
34. ნ. ლეონიძე. ილია და აკაკი სარდუს პიესების შესახებ, ჟურნ. თეატრ. მოამბე, № 3, 1975.
35. მ. შამულაშვილი. ილია ქავეკაძე სხვადასხვა ენებზე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 30 მაისი, 1937.
36. ი. შანსვეტაშვილი. მოგონებანი, ნახული და გაგონილი, 1936.
37. შ. შარკოზაშვილი. ილიას გახსენება საგურამოში, თბ., 1978.
38. თ. მაკავერიანი. ილია ქავეკაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, თბ., 1957.
39. ე. მურიჯა. ლაიტი. თბილისური, ფრანგული და გერმანული პრესა ილია ქავეკაძის შესახებ, გაზ. „ახალგაზრდა ჟურნალისტები“, № 2, 1975.
40. გ. ნადირაძე, ი. ქავეკაძის შეხედულებანი მხატვრულ თარგმანზე, გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, № 46, 1951.
41. ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერებ, ტ. I, 1962.
42. ნ. ნიკოლაიშვილი. პარიზის კომუნის 90 წელი. პარიზის კომუნის გამოძახილი ილიას შემოქმედებაში, გაზ. „კომუნისტი“, 17 მარტი, 1961.
43. პ. პრუდონი. სილარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი, მთარგმნელი „ბ. ე.“, „საქართველოს მოამბე“, № 10, 1863.
44. გ. რუსია. ილია და პარიზის კომუნა, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 22 ოქტომბერი, 1957.
45. ა. სურგულაძე. ერთგულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მებრძოლი, ი. ქავეკაძის საიუბილეო კრებული, თბ., 1977.
46. დ. ფანჩულიძე. ილია ქავეკაძე და ფრანგული ლიტერატურა, ჟურნ. „სკოლა და სტუდენტობა“, № 9, 1965.
47. დ. ფანჩულიძე. ქართულ-ფრანგული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ., 1969.
48. გ. შარაძე. მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი; თბ., 1983.
49. ა. შენიე. ზღვათა მფლობელის... „საქართველოს მოამბე“, № 9, 1963.
50. დ. შონია. პარიზის კომუნა და ილია ქავეკაძე, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 18 მარტი, 1978.

51. ი. კავკავაძე. თხზულებანი, ქართველთა ამხანაგობის გამოცემა, ტ. IV, თბ., 1892.
52. ი. კავკავაძე. ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტტ. VII, VIII, თბ., 1928.
53. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. III, თბ., 1953.
54. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IV, თბ., 1955.
55. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. V, თბ., 1956.
56. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VII, თბ., 1956.
57. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. VIII, თბ., 1957.
58. ი. კავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქციით, ტ. IX, თბ., 1957.
59. ზ. ქუთუნიძე. ტექსტიანთვის, წგ.: ა. ბუეიეს „იზა“, თარგმ, ი, კავკავაძისა, თბ., 1957.
60. შ. ხანთაძე. მარი ბროსე, ისტორიოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1966.
61. ს. ხუციშვილი. ილია ქავკავაძის სიტყვები და გამოსვლები, ი. კავკავაძის სიუბილეო კრებული, თბ., 1977.
62. მ. ჩაყელი. ა. ბუეიეს „იზა“, გაზ. „თბილისი“, 19 თებერვალი, 1959.
63. გ. ჩიბლაძე. ილია ქავკავაძე. ტ. I—II, თბ., 1984.
64. პ. ჯორბენაძე. ილია ქავკავაძე და მსოფლიო ლიტერატურა, გაზ. „საბჭოთა აქარა“, 23 ნოემბერი, 1962.
65. ვ. ჰიუგო. სიცილით დასჯის გადადების საქმე... მთარგმნ, „ბ“, ვ“, „საქართველოს შოაბე“, № 8, 1863.
66. Н. Я. Абрамович. Виктор Гюго, М., 1918.
67. А. Андрос. Альфонс Додэ, М., 1964.
68. Ф. Бастиа. Экономические софизмы, СПб. изд. товарищества «Общественная польза», I—II части, 1963.
69. Еф. Брук, А. В. Паевская, Виктор Гюго, М., 1952.
70. А. Бувье. Иза, эскиз, пер. с франц. М. Богрова, ж. «Живая мысль», № 9, 1907.
71. А. Бувье. Иза, ж. «Живописное обозрение», СПб, т. I—II, № 1—52,, 1879.
72. А. Бувье. Жена мертвеца, ж. «Мирской толк», № 22—38 (приложенье), СПб.
73. Л. В. Быков. Альфонс Додэ, ж. «Живописное обозрение», № 31, 1877.
74. З. Венгерова. Новости иностранной литературы, рецензия на оригинал Ж. Кларети «Бедняк» ж. «Вестник Европы», т. 6, 1896.
75. В. Гюго. Против смертной казни, за свободу печати, статьи и речи, пер. Анекштенн, Киев, 1906.
76. В. Гюго. Из речей Виктора Гюго до изгнания, СПб, 1886.
77. В. Гюго. Об отмене смертной казни..., «Журнал Министерства юстиции», X—XII, 1862.

78. В. Гюго. Письмо женским членам ревизионного комитета (об отмене смертной казни), «Журнал Министерства юстиции», январь, 1862.
79. Ю. И. Данилин. Виктор Гюго и французское революционное движение XIX века, М., 1953.
80. А. Доде. Собрание сочинений, т. VIII, СПб, 1895.
81. А. Доде. Рассказы, «Современная детская библиотека», СПб, рецензия ж. «Дело», июль, 1878.
82. А. Доде. Критико-биографическая статья в связи с смертью А. Доде, ж. «Читатель», № 3, 1898.
83. Ю. Г. Жуковский. Политическая и общественная теория, Прудон и Луи Блан, СПб, 1866.
84. Э. Золя. Альфонс Доде, его произведения, ж. «Вестник Европы», т. 2. 1876.
85. Ж. Кларети. Бедняк, ж. «Дело», СПб, № 9, II, 1842.
86. Ж. Кларети. Бедняк, ж. «Дело», СПб, X, XI, XII, 1872.
87. Ж. Кларети. Два поэта, ж. «Живописное обозрение», № 30, 1880.
88. Ж. Кларети. В России и за границей, некролог (Ж. Кларети — 73 лет), ж. «Русская мысль», кн. I, 1914.
89. И. Козлов. Стихотворения, СПб, 1828.
90. Краткий биографический очерк А. Доде, Тифлис, 1901.
91. А. Моруа. Олимпико, или Жизнь Виктора Гюго, М., 1982.
92. Н. И. Муравьева. Виктор Гюго, М., 1961.
93. П. Николаев. Альфонс Доде, ж. «Жизнь», СПб, 1998.
94. В. И. Николаев. Виктор Гюго, М., 1952.
95. М. Орлов. За границей, новости науки, литературы, искусств и общественной науки (Гюго в домашней жизни), ж. «Труд», т. XXIV, № 1., 1894.
96. А. Н. Паевский. Виктор Гюго, его жизнь и литературная деятельность, СПб, 1893.
97. П. Ж. Прудон. Бедность, как экономический принцип, ж. «Отчужденные записки», СПб, т. CX VIII, 1863.
98. С. В. Соловьев. Виктор Гюго, как проповедник гуманности и друг детей, СПб, 1912.
99. М. И. Туган-Барановский. П. Ж. Прудон и его жизнь и общественная деятельность, биографический очерк, СПб, 1891.
100. Л. Чайковский, Альфонс Доде, М., 1916.
101. А. Шенье. Гондольер и поэт, перевод неизвестных стихов А. Шенье, пер. В. Туманской, ж. «Русский инвалид», литературное приложение, № 90, 1835.
102. А. Шенье. Стихотворения, пер. А. С. Пушкина, сборник — Мастера русского стихотворного перевода», кн. I, Л., 1968.
103. А. Шенье. «У стен Венеции...», пер. Туманской в кн.: «Французская лирика XVIII века», М., 1914.
104. Aliged A. Victor Hugo intime, mémoires, correspondances, documents inédits.—Paris, 1885.
105. A mouduz M. Proudhon et l'Europe.—Paris, 1945.

106. Angard P. Victor Hugo raconté par les papiers d'état.—Paris, 1961.
107. Audiat P. Ainsi vécut Victor Hugo.—Paris, 1947.
108. Bastiat Fr. Sophismes économiques.— Bruxelles, 1851.
109. Bastiat Fr. Oeuvres complètes.—Paris, 1854—1862.
110. Bourgeat J. P. J. Proudhon.—Paris, 1943.
111. Baudin L. Frédéric Bastiat.—Paris., 1962.
112. Barbou A. La vie de Victor Hugo.—Paris, 1886.
113. A. de Bersaucourt. Les pamphlets contre Victor Hugo.—Paris, 1912.
114. Bonte F. Le chevalier de la paix, Hommage à Victor Hugo.—Paris, 1952.
115. Bouvier A. Grande Isa, Ed. Jules Rouff. Paris.
116. Bouvier A. Grande Isa, La femme du Mort.—Paris, 1878.
117. Bouvier A. Isa Lolotte et Cre.—Paris, Ed. Jules Rouff, 1880.
118. Bouvier A. Isa la Ruine.—Paris, deuxième édition.
119. Bouvier A. La mort d'Isa.—Paris, cinquième édition.
120. Bonnemaine H. Auteurs contemporains.—Paris, 1910.
121. Becq de Fouquières L. André Chénier, dans le livre: „Poésies d'André Chénier“.—Paris, 1888.
122. De Chenier M. G. A. Chénier dans le livre: „Oeuvres poétiques d'André Chénier“, en 3 volumes, Paris.
123. Chenier A. Ceuvres inédites, „Revue de Paris“, 1899, 15 novembre.
124. M. J. et A. Chénier. Oeuvres complètes.—Paris, 1824.
125. De Cherville G. Jules Claretie.—Paris, 1883.
126. Claretie J. Victor Hugo, Souvenirs intimes, Paris.
127. Claretie J. Portraits contemporains, v. 2.—Paris, 1875.
128. Claretie J. Le petit Jacques, Noël Rambert.—Paris, Nelson s. a.
129. Claretie J. Les pauvres geans, Noël Rambert.—Paris, 1872.
130. Claretie J. Célébrités contemporaines, v. II.—Paris, 1883.
131. Claretie J. Alphonse Daudet.—Paris, 1883.
132. Claretie J. Un enlèvement au XVIII siècle, documents tirés des archives nationales.—Paris, 1882.
133. Claretie J. Pages choisies, avec une introduction par H. Bonnemain.—Paris, 1910.
134. Daudet A. Contes du lundi, nouvelle édition revue et considérablement augmentée.—Paris, 1892.
135. Daudet A. Contes du lundi.—Paris, 1873.
136. Daudet A. Contes du lundi.—Paris, 1876.
137. Daundet A. Trente ans de Paris, à travers ma vie et mes livres.—Paris, 1888.
138. Daudet L. Alphonse Daudet.—Paris, 1898.
139. Daudet A. Entre les Frise et la Rampe.—Paris, 1894.
140. Daudet A. L'Entre-Deux-Guerre, souvenirs 1880—1905.—Paris, 1915.
141. Daudet A. Contes du lundi, nouv. éd.—Paris, 1880.
142. Daudet A. La Fantaisie et l'histoire.—Paris, 1882.
143. Daudet Er. Mon frère et moi, souvenirs d'enfance et de jeunesse.—Paris, 1882.
144. Dobbie G. Alphonse Daudet.—London, Nelson, 1949.

145. Duprat J. Proudhon sociologue et moraliste. — Paris, 1929.
146. Gurvith G. Proudhon, sa vie, son oeuvre.—Paris, 1965.
147. Cuvillier A. Proudhon Pierre-Joseph, Paris.
148. Geffroy Margarettte, Paul et Victor. Alphonse Daudet, Ed. Larousse—Paris, 1908 .
149. Garsou J. J. L'Evolution démocratique de Victor Hugo, 1818—1851, Bruxelles, Paris, 1904.
150. Guyard M. F. Histoire d'un romancier.—Paris. 1963.
151. J. Gaspard de Chevillie. Jules Claretie.—Paris, 1883.
152. Hugo V. Oeuvres complètes, pendant l'exil. Paris, 1883.
153. Hugo V. Oeuvres complètes en 56 volumes, v. 43.—Paris, 1880—1892.
154. Lagarde A., Michard G. Collection littéraire, XIX, XX s., les éditions Bordas, 1969, Paris-Montréal.
155. Littérature contemporaine, Dictionnaire de Victor Hugo, chronologie, Larousse.
156. Littérature française XIX, XX s., en deux volumes, Larousse.
157. Latouche M. H. André Chénier, dans le livre: „Poésies d'André Chénier“.—Paris, 1844.
158. Proudhon P. J. Oeuvres complètes, v. IV, système des contradictions économiques ou philosophie de la misère, v. I, 4<sup>ème</sup> éd.—Paris, 1872.
159. Proudhon P. J. La guerre et la paix, recherches sur le principe et la constitution du droit des gens, Bruxelles, v. II, livre IV, I—II chapitres.
160. Proudhon P. J. Correspondance de P. J. Proudhon, Paris.
161. Pelletan C. Victor Hugo homme politique.— Paris, 1907.
162. Silin E. Célébrités contemporaines.—Paris, 1883.
163. Savey—Gasard P. Le crime et la peine dans l'oeuvre de Victor Hugo.—Paris, 1956.
164. Thième P. Bibliographie de la littérature française de 1800 à 1930 par Hugo.—Paris 1933.
165. Toudouze G. Alphonse Daudet, dans le livre: „Pages choisies des grandes écrivains, Alphonse Daudet“. Paris.

## РЕЗЮМЕ

Любой вопрос, касающийся творческого наследия Ильи Чавчавадзе, весьма интересен и дорог грузинскому народу. Данная работа касается переводческой деятельности Ильи Чавчавадзе, в частности переводов памятников французской литературы.

Неоценимы заслуги И. Чавчавадзе перед грузинской литературой, как переводчика различных произведений. Он обогатил родную литературу высокохудожественным переводом произведений как русских (А. С. Пушкин, М. Ю. Лермонтов, И. С. Тургенев и др.), так и западноевропейских классиков (В. Шекспир, Дж. Байрон, Фр. Шиллер, В. Скот, Г. Гейне, Т. Мур и др.), которые служили не только целям просветительства грузинского народа, но и пробуждали в нем стремление к борьбе за лучшее будущее.

Художественные переводы являются неотделимой частью творчества И. Чавчавадзе, они по-новому раскрывают мироозернение писателя, его отношение к своей стране, народу, полнее описывают его природу, стиль, писательские вкусы и настроения. Поэтому исследование переводческой деятельности И. Чавчавадзе заслуживает особого внимания и изучения.

В книге дан краткий обзор творчества французских писателей: Андре Шенье, Алексиса Бувье, Виктора Гюго, Альфонса Доде, Пьера Жозефа Прудона и Фредерика Бастиа, а также обзор грузинских переводов некоторых их сочинений, вызвавших живой интерес у Ильи Чавчавадзе. Переведя и опубликовав в журналах «Сакартвелос моамбе» (Вестник Грузии) и «Иверия» стихотворение без заглавия А. Шенье «Близ мест, где царствует Венеция золотая...», роман А. Бувье «Иза», роман Ж. Кларети «Бедняк», «Письмо к женевцам...» В. Гюго, два рассказа А. Доде — «Последний урок» и «Турок коммуны», статьи П. Ж. Прудона «Бедность, как экономический принцип» и сочинения Фр. Бастиа «Физиология грабежа» и «Два нравственных учения», И. Чавчавадзе, тем самым, познакомил грузинских читателей не только с популярными французскими писателями, но и с социально-политическим положением и культурной жизнью Франции того времени.

Систематизированы и рассмотрены известные на сегодняшний день грузинские переводы И. Чавчавадзе французских

литературных произведений. С целью установления источников переводов найдены соответствующие французские оригиналы и их русские переводы; показаны интересы И. Чавчавадзе к переводимым им произведениям и к их авторам, а также установлена определенная связь между его творчеством и переводами.

Грузинские переводы Ильи Чавчавадзе сравнены с французским оригиналом и соответствующими русскими переводами, в результате чего выяснилось, что две главы сочинения Фр. Бастиа «Экономические софизмы», а также рассказ А. Додде «Турок коммуны» были переведены Ильей Чавчавадзе непосредственно с французского языка, а остальные переводы на грузинский язык были выполнены с русских источников.

В книге дан анализ французских и русских первоисточников, ранее неизвестных грузинскому читателю.

Показано, что переводы Ильи Чавчавадзе тесно связаны с его оригинальным творчеством и занимают значительное место в литературном наследии писателя.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	3
თავი I. ილია ჭავჭავაძე და ფრანგული სინამდვილე	8
თავი II. ილია ჭავჭავაძე — ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელი	22
§ 1. ანდრე შენიე, „ზღვათა მფლობელის...“	22
§ 2. ვიქტორ ჰიუგო, „წერილი ვენეველებისადმი“	27
§ 3. ალფონს დოდე, „უცანასკნელი გასაკვეთი“, „ტიურკოსი კომუნელთა შორის“	40
§ 4. ა. ბუვიე, „იზა“	51
§ 5. ჟიულ კლარეტი, „ნოელ რამბერი“	66
§ 6. პიერ პრუდონი, „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“	85
§ 7. ფრედერიკ ბასტია, „ეკონომიკური სოფიზმები“ მცარცველობის ფიზიოლოგია“, „ორნაირი სწავლა“	97
დასკვნა	111
გამოყენებული ლიტერატურა	116
Резюме	122



დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3708

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოღუა  
მხატვარი ნ. გაბუნია  
მხატვრული რედაქტორი მ. ლომიძე  
ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოკერია  
კორექტორი მ. მახარაძე  
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 20.11.1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 1.3.1988;  
ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 1; ნაბეჭდი თაბახი 80;  
პირ. სალ. გატ. 8,4; გარნიტურა ვენური;  
სააღრიცხო-საგამომცემლო თაბახი 6,8;

უე 02329;

ტირაჟი 2000;

შეკვეთა № 3673;

ფასი 1 მან. 40 კაპ

---

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

---

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19.  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

**Манана Павловна Яманидзе**

**ИЛЪЯ ЧАВЧАВАДЗЕ И ФРАНЦУЗСКАЯ ЛИТЕРАТУРА**  
(на грузинском языке).

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА».

1988

გამომცემლობა „მეცნიერება“ 1989 წელს გამოსცემს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის სრული კრებულის II ტომს.

